ქართველობის გადასარჩენად

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ილორი

www.ilori.ge

№102 (163) 11-18 იანვარი 2011 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

როცა ნდობის კოეფიციენტი ნულზე დაბალ ნიშნულზეა დასული!..

სიყმაწვილეში, როცა ახალგაზრდებს თვალი ყოველივე აკრძალულისაკენ მიგვირბოდა, უფროსები ხშირად გვმოძღვრავდნენ ხოლმე: “საზოგადოების ნდობის მოპოვებას წლები სჭირდება, მისი დაკარგვა კი წამის უმალ შეიძლება”-ო.

ახლა ამ დიდაქტიკურ სენტენციას რომ ვიხსენებ, ნაღვლიანი ღიმილი გამიკრთება ხოლმე სახეზე – მიუხედავად მართვის კომუნისტურ სისტემაში არსებული სერიოზული ხარვეზებისა, არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ კომპარტიის იდეოლოგიის ძირთად ორიენტირს, არაძალადობრივი მეთოდით საზოგადოების ნდობის მოპოვება წარმოადგენდა. ვერც იმას უარვყოფ, რომ იმდროინდელი მართვის სისტემა დაფუძნებული არ იყო თუნდაც პროლეტარიატის დიქტატურაზე, რამაც კომუნისტური საზოგადოების დასასრულის ჟამს საკმაოდ მარაზმატიკული სახე მიიღო, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ კომუნისტთა დიქტატურა, რომელსაც, ასე თუ ისე, საკუთარი არსებობის გამართლების საკმაოდ მყარი იდეოლოგიური საფუძველი გააჩნდა, არ იყო ისეთი ცინიკური და თავხედური, როგორიც დღევანდელ “ნაციონალთა” და მათი ბელადის დიქტატურაა.

ჩაატარეთ ნებისმიერი გამოკითხვა საქართველოს საზოგადოების ნებისმიერ შრეში (სიმრავლით არც ეს შრე გამოირჩევა, რადგან მათი განმასხვავებელი ნიშანი ინტელექტუალურ თუ ფიზიკურ შრომის ფრონტებზე დასაქმებული ხალხის რაოდენობის ურთიერთშეფარდებით განისაზღვრება, ჩვენი საზოგადოების უდიდესი ნაწილი კი მხოლოდ ერთ – უმუშევართა შრეს განეკუთვნება) და დარწმუნდებით, რომ 100 გამოკითხულიდან 95 მაინც (თუ უფრო მეტი არაა) “ნაციონალთა” მიერ ქვეყანაზე თავსმოხვეული კორპორატიული დიქტატურის კატეგორიული წინააღმდეგია! სწორედ ეს ფაქტორი იწვევს მმართველი ძალის სიძულვილს ქართველი ხალხისადმი, რაც მის დამოკიდებულებაში მოსჩანს ქართველი ხალხის გასაჭირის მიმართ. ჩვენი ხელისუფლება რომ ქართველ ხალხს აღარ ენდობა, ამიტომაც აყალბებს არჩევნებს ყველა დონეზე.

ხელისუფლებამ ისე საიმედოდ ჩაკლა საქართველოს ეკონომიკა, რომ ბიუჯეტის შევსების სხვა გზა აღარ დარჩენია, გარდა ჯარიმების სისტემის დამკვიდრებისა. მანქანიდან უნებლიედ სიგარეტის “ბიჩოკი” რომ გადმოგივარდეს, 200 ლარი ჯარიმა უნდა გადაიხადო! არავინ იფიქროს, რომ ჩვენ გზების დანაგვიანების მომხრეები ვიყოთ, მაგრამ ისიც გარდაუვალი აუცილებლობაა, რომ ყველაფერში ზომიერების გრძნობა უნდა დომინირებდეს. “ნაციონალები” არასდროს დააწესებენ ჯარიმას ადამიანის სულის დაბინძურებისათვის, თორემ, რაც ნაოხრალ-ნაბანდიტარი ქონება გააჩნიათ, ერთი საათში არ ეყოფათ სანქციების დასაფარავად და მერე თავიდან დაიწყებენ ქვეყნის ყვლეფას. ამიტომ, თავი რომ დავიზღვიოთ მათივე უბედურებისაგან, აქვე შევთავაზებთ დაჯარიმების ახალ მეთოდებს:

– დაწესდეს ჯარიმა კოჭლებზე, განსაკუთრებით დიდი ოდენობით მათზე, ვინც მარჯვენა ფეხით კოჭლობს, რადგან წრესგადასული “მემარჯვენეობა” საკმაოდ საშიშია ნებისმიერი ტოტალური მმართველობისათვის!

– დაწესდეს ჯარიმა ელამების ან ცალი თვლით ბრმებისათვის, რადგან ისინი მხოლოდ ცალი თვალით, ან ირიბად უყურებენ “ნაციონალთა” წარმატებებს „საქართველოს სახელმწიფოებრიობის განმტკიცების“ საქმეში!

– დაწესდეს ჯარიმა მათზე, ვინც ხმამაღლა გაიცინებს, რადგან დამშეულ ქვეყანაში რომ ვინმე ხმამაღლა გაიცინებს, ესე იგი მას შემოსავლის საიდუმლო წყარო გააჩნია, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ იგი რუსეთის აგენტია და იქიდან ფინანსდება...

ეს, რაც უცებ გაგვახსენდა, თორემ, გვაცადონ “ნაციონალებმა” და საქართველოში კიდევ ბევრ კატეგორიას მოვძებნით დასაჯარიმებლად, რათა სახელმწიფოს ბიუჯეტით შეივსოს და მათი უფსკერო ჯიბეებიც.

აბა, ასეთ პირობებში, “ნაციონალებსა” და მათ წიხლქვეშ მყოფი ქართველი ხალხის რომელ ურთიერთნდობასა და პოლიტიკურ სიმპათიებზე შეიძლება საუბარი. რაც შეეხება გაუცხოებას, იგი რეგიონებში ბევრად უფრო მძაფრ სახეს იძენს, ვიდრე დიდ ქალაქებში.

უნდობლობა მეფობს საქართველოში, იმდენად დიდია ეს უნდობლობის სინდრომი, რომ უკვე “ნაციონალები” დაერიენ თავისიანებს – დღე არ გავა, რომ მათ მიერვე მაღალ თანამდებობაზე დანიშნული ჩინოვნიკი არ დააპატიმრონ კორუფციისა თუ სხვა რაიმე უბედურობის ბრალდებით. ნდობის ამგვარი დეფიციტი ერთ ძველ ანეკდოტს მაგონებს: “თბილისელ კინტოსთან მეგობარი მივიდა და სთხოვა, ფული მასესხეო;

– ვერ გასესხებ! – გადაჭრით მიუგო კინტომ.

– რატომ, არ გაქვს! – გაოგნდა მეგობარი.

– არა, ფული მაქვს, მაგრამ ვერ გენდობი!

– ვის ვერ ენდობი! მე, ბავშვობიდან შენთან ერთად აღზრდილ მეგობარს?

– ეჰ, შენ კი არა, საკუთარ თავსაც კი ვეღარ ვენდობი. გუშინ კუჭის გაზის გაშვება მინდოდა და ჩავისვარე!”

ასე (და)უნდობლებად და ჩასვრილებად, მაგრამ მაინც “ამაყად” და თავაღერილად დაიარებიან “ნაციონალები” გაუბედურებულ საქართველოში.

დღე არ გავა, რომ რეგიონებში ხმა არ დაირხეს გუბერნატორებისა თუ მათი გარემოცვის უახლოეს წევრთა მიერ კანონის უგულვებელყოფის თაობაზე. ამას წინათ ვწერდით, რომ გავრცელდა ხმები: შიდა ქართლის ყოფილმა გუბერნატორმა ლადო ვარძელაშვილმა გერმანიის მიერ საერთაშორისო დახმარების პროგრამის ფარგლებში 2008 წლის საბრძოლო მოქმედებების დროს დაზარალებული გორის საცხოვრებელი სექტორის აღსადგენად გამოყოფილი 8 მილიონი ევროდან 4 მილიონი ევრო დანაშაულებრივად დაიტაცაო... რედაქცია მალე გადაამოწმებს აღნიშნული ხმების რეალობას და დამატებით ინფორმაციას მიაწვდის მკითხველს. მაგრამ ერთი რამ სახეზეა – აღნიშნული ფაქტი რომც არ შეეფერებოდეს ჭეშმარიტებას, ხალხი რომ ასეთ ხმას თუნდაც ჭორად გაგივრცელებს, ეს იმას ნიშნავს, რომ შენი ნდობის კოეფიციენტი ნულზე დაბალ ნიშნულზეა დასული, ხალხს ჭირის დღესავით ეზიზღები და დღედაღამ იმის ნატვრაშია, რომ თავიდან მოგიშოროს. თუმცა, ამას სულაც არ შეუშლია ხელი ლადო ვარძელაშვილის მინისტრად აღზევებისათვის, ისევე, როგორც “გაამინისტრეს” მომღერალი და ჯამბაზი გუბერნატორი გოგა ხაჩიძე, რომლის უწყებაში ლამის ყველა თანამშრომელი (მათ შორის, მინისტრის ერთ-ერთი უახლოესი ნათესავიც!) დაიჭირეს კორუფციისა და სხვა მძიმე ეკონომიკური დანაშაულისათვის!

გეკითხებით, თავმოყვარე და თავისი ქვეყნის სატკივარით გულდამძიმებული ადამიანი შესძლებს, რომ ანგარიში არ გაუწიოს მასის მისადმი ამგვარ ზიზღისმიერ დამოკიდებულებას და თანამდებობა თავისი ნებით არ დასტოვოს? მაგრამ, არავინ იფიქროს, რომ “ნაციონალები” და მათი ბელადი “სინდისის ქენჯნისაგან” გაწამებულ გუბერნატორს ამგვარ საქციელს ღალატად ჩაუთვლიან და ციხეში ამოაყოფინებენ თავს!

გუბერნატორები ხომ იმისათვის არიან დანიშნული, რომ ფეხებზე დაიკიდონ საზოგადოებრივი აზრი და მთელი რეგიონის ძალისხმევა არა საქვეყნო საქმეს, არამედ “ნაციონალებისა” და მათი ბელადის ნულზე დასული ავტორიტეტის ხელოვნურად ამაღლებასა და მათი მატერიალურ-ფინანსური მდგომარეობის შემდგომ გაუმჯობესებას მოახმარონ!

ძნელად მოსასმენია ის, რასაც სხვა გუბერნატორებზეც ამბობენ – თავისუფალ მედიაზე ტერორი გამოაცხადაო, პირადი მართვის ქვეშ მყოფი საკუთარი ავტომანქანით კაცი გაიტანა, მაგრამ სამარშრუტო ტაქსის მძღოლს დიდძალი თანხა გადაუხადა, რათა დანაშაული საკუთარ თავზე აეღო და ციხეში ჩამჯდარიყოო, მოადგილედ ნარკომანი და უსაქმური ადამიანი ჰყავს, რომელსაც თავის ნებაზე ატრიალებსო და ა.შ. და ა.შ.

მოკლედ, დიდი მუხრან მაჭავარიანისა არ იყოს: “აქ რომ საქმე ხდება, მტრისას!..”

ამრიგად, ჟურნალისტური ეთიკის პრინციპებიდან გამომდინარე, ჩვენ, ამჯერად, სათანადო სამხილების არარსებობის გამო არ ვაკონკრეტებთ ამ ვაი-გუბერნატორთა ვინაობას, მაგრამ, როგორც კი სათანადო სამხილებს მოვუყრით თავს, მაშინვე სამართალდამცავი სტრუქტურების წინაშე დავაყენებთ მათი პასუხისმგებლობის საკითხს!

მაგრამ, არ შეიძლება აქვე არ აღვნიშნოთ ჩვენი დამოკიდებულება ამ ფრიად არასასურველი მოსალოდნელი სკანდალების თაობაზე – როცა ადამიანები ამგვარ თუნდაც ყველაზე “უწყინარ” ჭორს გივრცელებდნენ, ეს იმას ნიშნავს, რომ საზოგადოებას ჭირის დღესავით სძულხარ, არ გენდობიან და ყოველგვარ სიმართლესა თუ ჭორს იჯერებენ, რათა საკუთარი თავი მაინც დაირწმუნონ იმაში, რომ მათ გულისთქმას ქვეყანა ოდესმე შეისმენს და აღშფოთებული ხალხი მოუშორებელ ჭირს მოიშორებს თავიდან!

ახლა, იმ გუბერნატორებსაც ვეკითხები: დირს კი ასეთ პირობებში მუშაობა?

ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემაც საზოგადოებისათვის მიგვინდვია!

ახლა კი იმ “ბედნიერებით” ვიხაროთ, სვანებს რომ დაატყდათ თავს შობის დღეებში: საქართველოს ხელისუფლებმა, თუ უკრაინაში ვინმე მომღერალი იყო, ყველა მესტიაში ჩააფრინეს და ისეთი ტაშფანდურა შექმნეს, რომ უშბამ და თეთნულდმა “იწყეს დრეკა”. ნაკლებ სარწმუნოა, რომ უკრაინულმა “ბილინებმა” და “გოპაკმა” სვანებს შიმშილი ან სიცივე დაავიწყოს (შიმშილი ჩვენ გვაწუხებს, თორემ სააკაშვილს იმდენი ჰალსტუხი აქვს, რომ წლების განმავლობაში ეყოფა საჭმელად!), მაგრამ, სამაგიეროდ, რუსები გაიგებენ ზეიმის ხმას და შურით დაიხოცებიან – თუ საქართველოში ასეთ სიმაღლეზეა აყვანილი “Свистопляска”, ესე იგი ქართველებს კარგად აქვს საქმე და თუ რამე რეზონული არ მოვიმოქმედეთ, განწყობას ვერ ჩავუშხამებთო.

ასე ფიქრობენ აქ, სამაგიეროდ, „იქ“ რას ფიქრობენ, არ ვიცი, მაგრამ კარგს რომ არაფერს იფიქრებენ შიმშილით დაოსებული ხალხის შოუებით გუნების გამოკეთებაზე, ეს ნამდვილად ვიცი!

დანამდვილებით კიდევ ვიცი ერთი რამ: მამაპაპური კოშკების თავს გუგულებივით შემომსხდარი ბედნიერი სვანები “შილა ვორგილის...” გუგუნს რომ მორჩებიან, სვანური ინტონაციით, სევდიანად წაუმღერებენ საქართველოს ხელისუფლებას მხიარულ უკრაინულ სიმღერას:

“Ти жь мэне підманула,
Ти жь мэне підвела...”

გაზეთ “ილორის” რედაქცია.

ამაზე გრძელი, ამაზე დიდი... 5

“ოქროს პერგამენტის” 9 ნომინანტები

სამეგრელო დავით დადიანის დროს 8

სისულელეა იმის მტკიცება, რომ ზვიად გამსახურდიამ თავი მოიკლა 3

იგი სახალხო განათლების საქმეს ემსახურებოდა

აფხაზეთის ღირსეული შვილები

(გთავაზობთ ნაწყვეტებს ცნობილი აფხაზი მოღვაწის, პროფესორ არველოდი კუპრავას წიგნიდან "ადამიანები: დრო და ცხოვრება")

ნიკოლოზ ვასილის ძე ლადარია აფხაზეთის განათლების სისტემის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი გახლდათ, რომელმაც ასევე დიდი როლი ითამაშა აფხაზეთში საეკლესიო, რელიგიური ქრისტიანული ლიტერატურის თარგმნისა და გავრცელების საქმეში. იგი მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული სასულიერო მოღვაწე გახლდათ.

ნიკოლოზ ლადარია 1866 წელს დაიბადა თანამედროვე გუდაუთის რაიონის ულამაზეს სოფელ აბგარჰუკში, გლეხის ოჯახში. 1877 წელს მან, ჯერ კიდევ ბავშვობაში, საკუთარ ოჯახთან ერთად მწარედ განიცადა **"მაჰაჯირობის"** საშინელებები. მაგრამ ოჯახი ვერ შეეგუა უცხოეთში ცხოვრებას და, თურქეთიდან დაბრუნების შემდეგ, 1879 წელს, ნიკოლოზი შეიყვანეს სუხუმის მთიელთა სკოლაში, რომელიც სანიმუშო სწავლისა და ყოფაქცევის აღმნიშვნელი ქების სიგელით დაამთავრა 1882 წელს.

ყმაწვილის ცხოვრების ბედი განსაზღვრა მისმა შეხვედრამ დიდ რუს კლასიკოს მწერალთან ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოისთან, რომლის შემდეგ ნიკოლოზ ლადარიამ გადაწყვიტა, რომ მთელი სიცოცხლე აფხაზეთში სახალხო განათლების დამკვიდრებისათვის მიეძღვნა. მან მასწავლებლად დაიწყო მუშაობა სოხუმის მთიელთა სასწავლებელში, სადაც 1895 წლამდე იმუშავა, შემდეგ სამი წელიწადი მუშაობდა ოჩამჩირის ორკლასიან სასწავლებელში, მომდევნო ორი წელი კი სოფლების დურიფშისა და ბარმიშის საეკლესიო-სამრევლო სკოლებში მასწავლებლობდა. ამის შემდეგ ნიკოლოზ ვასილის ძე ლადარია მთელი გუდაუთის მაზრის საეკლესიო-სამრევლო სკოლების მთავარ მეთვალყურედ დაინიშნა.

1900 წელს ნიკოლოზ ლადარიამ კურთხევა მიიღო და მღვდლად ეკურთხა, მაგრამ პედაგოგობა მაინც არ მიუტოვებია – მუშაობას აგრძელებდა სოფლების საეკლესიო-სამრევლო სკოილებში, სადაც ასწავლიდა სხვადასხვა საგნებს აფხაზურ ენაზე. ნიკოლოზი დიდ მონაწილეობას იღებდა სასულიერო პირთა აღზრდის საქმეშიც და სწორედ მისი დაუღლელი შრომის შედეგი გახლდათ ის, რომ მალე აფხაზეთის ეკლესიებში მღვდელმსახურება მიმდინარეობდა აფხაზურ ენაზე. ლიტურგიის აფხაზურ ენაზე დასრულების მიზნით, 1910 წელს, ნიკოლოზ ლადარიას ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა აფხაზ საეკლესიო მომღერალთა ქორო. 1913 წლის ოქტომბერში ლიხნის ეკლესიაში მან ლიტურგია აფხაზურ ენაზე ჩაატარა.

ნიკოლოზ ლადარია აფხაზეთის ეკლესიის ქრისტიანი მისიონერი გახლდათ გუდაუთის საწმყოში, მუშაობდა მღვდლად ლიხნისა და დურიფშის ეკლესიებში. აფხაზეთის მმაჩის ბიუროში ამჟამად ინახება ამ ეკლესიათა მეტრიკული ჩანაწერები, რომელიც შედგენილია მღვდელ ნიკოლოზ ლადარიას მიერ. ამ წიგნების მკვლევარმა, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებელმა ვანდა ფილიამ აღმოაჩინა, რომ მღვდელ ნიკოლოზ ლადარიას ადამიანთა ნათლობისას აღნიშნული აქვს როგორც მისი ქრისტიანული სახელი, ასევე მისი აფხაზური სახელის ეთნიკური ჟღერადობაც. ასე შემოუნახა მღვდელმა მომავალ თაობებს ძირძველი აფხაზური სახელები, რომელსაც შემდეგ უკვე აღარ არქმევდნენ აფხაზ ბავშვებს. ეს ჩანაწერები დიდ ინტერესს წარმოადგენენ აფხაზი ანთროპონიმების შემსწავლელთათვის.

ნიკოლოზ ლადარიამ მჭიდროდ დაუკავშირა თავისი ბედი უბრალო მშრომელ გლეხებს და მუდამ მათზე ზრუნვით იყო დაკავებული. მართალია იგი სასულიერო პირი გახლდათ, მაგრამ მიწაზე ფიზიკური შრომის თვალნათელ მაგალითს აძლევდა თანამემამულეებს. 1900 წელს, როცა ბარმიშის ეკლესიის მოძღვარი გახლდათ, იგი თავის ერთ-ერთ თხოვნაში წერდა: **"ჩემი შემოსავალი არ მყოფნის თავის სარჩენად, რის გამოც სასოწარკვეთილებაში ვიმყოფები"**. მან კარგად იცოდა თავისი ხალხის ცხოვრების წესი და ტრადიციები და მხარს უჭერდა თანამოქალაქეებს ხელისუფლების ანტიხალხური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში. აფხაზეთის რაიონების სოფლებში იგი სისტემატურად აწყობდა საინტერესო სასწავლო სემინარებს სოფლის მეურნეობის საკითხებზე, პროპაგანდას უწევდა მეურნეობის გაძღოლის პროგრესულ მეთოდებს, ეხმარებოდა ხალხს ახალი კულტურების ათვისების საქმეში.

ნიკოლოზ ლადარია გახლდათ საეკლესიო რელიგიურ-ზნეობრივი ლიტერატურის აფხაზურ ენაზე თარგმნის კომისიის წევრი, რომელმაც მუშაობა დაიწყო 1906 წელს. 1912 წელს თბილისში დაისტამბა **"წმინდა სახარების ოთხთავი"** აფხაზურ ენაზე, რომელშიც შევიდა დ. გულიას, ნ. ლადარიას, დ. მაანის და ნ. პატეიპას თარგმანები. ნიკოლოზ ლადარიას ძალისხმევით ითარგმნა ქრისტიანული ლიტერატურის უამრავი ნიმუში აფხაზური სკოლებისათვის.

ნიკოლოზ ლადარიას კალამს ეკუთვნის შესანიშნავი ნაშრომი **"ჩემი ცხოვრების გარიჟრაჟზე"**, რომელიც გამოქვეყნებულია 1891 წელს გამოცემული **"ისტორიული უწყებანი"**-ს 46-ე ტომში. ამ ნაშრომში შემონახულია თვითმხილველთა მოგონებები 1977 წელს ცარიზმის მიერ აგორებულ მაჰაჯირობის პირველ ტალღაზე. ამ ნაშრომმა მიიქცია ფართო საზოგადოებრიობის ყურადღება, რაზედაც მეტყველებენ ოფიციალური გამოხმაურებები. მოვიყვანთ ნაწყვეტს ნიკოლოზ ლადარიას ნაშრომიდან: **"თითქმის ყველას აწუხებდა კუჭის მძიმე დაავადება, მაგრამ ყველაზე მეტად ბავშვები იტანჯებოდნენ: ისინი ტიროდნენ, ყვიროდნენ, ითხოვდნენ წყალს, დედებს კი არ შეეძლოთ მათი დარწყულება. გარშემო კი ზღვა ბობოქრობდა. მისი შემხედვარე ბავშვები უფრო ხმამაღლა ტიროდნენ. სიკვდილის სუნი იდგა, მეტწილად ბავშვები იღუპებოდნენ, ახლობლებთან ერთად ყველანი დასტიროდნენ მიცვალებულს, გამწარებული დედები დასტიროდნენ თმებს იგლეჯდნენ, სახეს იხოკდნენ... მიუხედავად დედების გააფთრებული წინააღმდეგობისა, მცირეწლოვამთა ცხედრებს ზღვაში ისროდნენ..."** და ყველაფერ ამას საკუთარი თვალებით ხედავდა სასწაულებრივად გადარჩენილი ათი წლის ნიკოლოზ ლადარია. მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე **"ჩემი საუბარი მაგომეთიანელთან** (თაფაყვ საბასთან). **სოხუმი, 1913 წელი**".

ნიკოლოზ ლადარიამ აქტიური მონაწილეობა მიიღო სახელმძღვანელოს შექმნაში **"აფხაზურ ენაზე საკითხავი წიგნი აფხაზურენოვანი სასწავლებლებისათვის"**, რომელიც 1908 და 1911 წლებში გამოიცა ქალაქ თბილისში. იგი, როგორც ბევრი რევოლუციამდელი საზოგადო მოღვაწე, ხშირად აქვეყნებდა წერილებს ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებზე, რისთვისაც მას ცარიზმის ხელისუფლება დიდად არ წყალობდა.

მისი მეუღლე ა.ი. დენისოვა ასევე პედაგოგი გახლდათ. ნიჭიერი ვაჟი ეზრდებოდა ოჯახს, რომელმაც წარმატებით დაამთავრა ჯერ სოხუმის რეალური სასწავლებელი, შემდეგ კი ვარშავის პლიტექნიკური სასწავლებელი, მაგრამ იგი მძიმე დაავადებით გარდაიცვალა ჯერ კიდევ ოცი წლის ასაკში.

ნიკოლოზ ვასილის ძე ლადარიას შვილისშვილი – მარგალიტა გლების ასული ლადარია არის ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, რომელიც ხელმძღვანელობს აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსული და უცხო ენების კათედრას.

სჯუმპარი

გთავაზობთ ნაწყვეტს ზაურ ქობალიას ამავე სახელწოდების წიგნიდან



იბერიელნო!

მე ვარ ამირანი, არამხუტუ, ამიერრინა, ალფა-სიცოცხლე! თქვენთან ვცხოვრობდი მე თავიდან და გასწავლეთ სიცოცხლის არსი, თქვენი ყოფის არსობისობა. როცა ადამმა შესცოდა და ვაშლი შეჭამა, ყოვლისშემძლემ წამიყვანა და დამაყენა სიცოცხლის ხესთან, რათა ადამს არ ეჭამა იმ ხის ნაყოფიც და არ ეგემა უკვდავების არსშიც განცხრომა!

თქვენ იყავით ვიდრე ადამი და თქვენ იქნებით ადამის შემდეგ! ყოვლისშემძლე არსთგამრიგემ გამომაგზავნა, რათა გამოვიკვლიო თქვენი თირკმელი და გული. თირკმელი, რადგანაც თქვენ ყოფაში ხართ და გული, რადგანაც თქვენ ჩემში ხართ.

ახლა, როცა ახლოვდება ადამის დასასრული, არსთგამრიგეს სურს გაიგოს, შეგიძლიათ თუ არა გაგრძელდეთ ადამის შემდეგ და გაქვთ თუ არა ამის სურვილი.

ადამი დაბერდა! ადამი კვდება! ადამი აგონიაშია! მალე მზეში აინთება ახალი ფერი და ადამი მოკვდება.

თუ თქვენი თირკმელი და გული ჯანმრთელია და თუ გაქვთ ამის სურვილი, გაგრძელდებით ახალ სიცოცხლედ და მოგეცემათ სიცოცხლის ხის ნაყოფიც.

თუ თქვენი თირკმელი და გული სნეულია, მაგრამ თუ სურვილი დაგრჩათ, რომ გაგრძელდეთ ახალ სიცოცხლედ, ახლავე უნდა შეუდგეთ მკურნალობას. სანამ ადამი მოკვდება, თქვენ უნდა აღსდგეთ და უნდა გადარჩეთ!

მე ვმუშაობ ტესტით **"ალფა-სიცოცხლის უსასრულობა"**. მე მაქვს თორმეტი ადამიანის სია და უნდა გამოვიკვლიო თორმეტივე. წინასწარი მონაცემებით, მათ შორის ერთს ორი გული აქვს და ცალი თირკმელი; ორს კი – სამი თირკმელი და ნახევარი გული. თქვენ მათ ნახავთ ძილშიც და ღვიძილშიც. თქვენც მათში უნდა ნახოთ საკუთარი თავი.

ნუ შეეცდებით თავის დამალვას, მე თქვენ ყველას გიცნობთ!

როცა თქვენთვის ნათელი გახდება ტესტი, რომლითაც ვიკვლევ ადამიანებს და მას საკუთარ თავსაც მიუსადაგებთ, ნახავთ, თუ ვინ ხართ თავად თქვენც, რაა თქვენში უფრო ჯანმრთელი, თირკმელი თუ გული!

საბოლოო სიტყვა თქვენია, ვნახოთ, თუ როგორ შეაფასებთ და გამოიყენებთ ყოფნასა და არყოფნას შორის ფარულად არსებულ შესაძლებლობებს და საბოლოოდ, როგორი იქნება თქვენი სურვილი.

თქვენ არ იცით ადამამდე თქვენი წარსული. თქვენ არ იცით ჩემი ყოფიერი პერიოდი. თქვენს ცნობიერებაში მხოლოდ ჩემმა აჩრდილმა მოაღწია.

თქვენ გგონიათ კავკასიონის მთებზე ვიყავი მიჯაჭვული. მეძებდით მთის მწვერვალზე და ქვაბულებში, კლდეებსა და მის ქარაფებზე; მე კი სიცოცხლის ხესთან დამაბა არსთაგამრიგემ.

როცა განრისხდა ღმერთი ადამზე და ადამი თქვენთან მოვიდა, მაშინ დამაბა არსთაგამრიგემ სიცოცხლის ხესთან, რათა ადამს არ ეჭამა მისი ნაყოფი და არ შეეცნო უკვდავების არსი. მისი ნაყოფი ჯერ არავის უგემია. ამ ხის ნაყოფის საიდუმლოს მე თქვენ ვერ გეტყვით, იგი თავისით გაგეხსნებათ, თუ გაგრძელდებით ახალ სიცოცხლედ.

იბერიელნო! თქვენ არავის არ ჰგავხართ და არცა გყავთ სხვა ნათესავი, რადგანაც თქვენ სხვა საწყისი გაქვთ. თქვენი საწყისი ბნელეთიდან მიდის სინათლისაკენ, ხოლო ადამის საწყისი სინათლიდან მოდის და მიდის ბნელეთისაკენ.

ადამის დროიდან თქვენ იცხოვრეთ დიდი ჩრდილის ქვეშ, რადგანაც ადამის მოსვლით მზეში ჩაქრა თქვენი ფერი და ვერ შეეჩვიეთ უცხო და ცრუ ფერს.

თქვენ იცხოვრეთ დიდი ჩრდილის ქვეშ, რადგანაც ცნობიერებაში დაკარგეთ ის, რაც გასწავლეთ ჩემი ყოფიერების პერიოდში, თქვენ დაგავიწყდათ თქვენი წარსული.

მე ვარ უდაბნო და მოდით ჩემთან! მე თქვენს მზერას უნდა მოვაცილო ლიბრი, რადგან მეძებთ დ ავერ მხედავთ. მხოლოდ მაშინ მიხილავთ და მიცნობთ, როცა საკუთარ თავს იპოვნით, მაგრამ საკუთარ თავსაც ვერ იპოვნით, თუ არ გაგრძელდით ახალ სიცოცხლედ!

მე ვარ უდაბნო და თუ თქვენ მოხვალთ ჩემთან, აგეხილებათ თვალნი და მე ვიქცევი ოაზისად!

თუ თქვენი თირკმელი და გული არ ექვემდებარება მკურნალობას და თუ ვერ შეძლებთ სიცოცხლის გაგრძელებას ადამის სიკვდილის შემდეგ, ლუხუმი მოკვდება ადამთან ერთად, მეც მოვკვდები და სამყაროში დაისადგურებს სქელი ქაოსი.

მე მომავლინეს ყოფნა-არყოფნის ზღვარზე. მე ვარ ნირვანა, ყოფიერების მიღმური ფორმა. ჩემში დაქრის ველური ქარი, თქვენი ყოფის პირველწყარო. თქვენში დაცოცავს ჩემი ნაწილი ლუხუმის სახით და იგი კვდება!

გაიხსენეთ, ჩემი ყოფიერების პერიოდში რომ გასწავლეთ თქვენი არსობის გზა, ცნობიერების ხუთი სიბრტყე, – მხეცთა და ცხოველთა; მეორე – მხეცთა და ადამიანთა; მესამე – ადამიანთა და სულთა; მეოთხე – სულთა და ღვთაებრივთა; მეხუთე სიბრტყე კი არის ღვთაებრივი მარადისობის არსობისობა.

თქვენ უნდა გეცხოვრათ მესამე სიბრტყეზე, მაგრამ დაკარგეთ ამის სწავლება და თქვენ გზას ასცდით. თქვენ შეუხვიეთ იქით, საითაც აკრძალული გქონდათ შეხვევა და დარჩით მეორე სიბრტყეზე, საიდანაც მიემართებით არმაგედონისაკენ!

კვლავ უნდა დაბრუნდეთ გზაჯვარედინზე და უნდა შეხვიდეთ მესამე სიბრტყეზე. მხოლოდ მაშინ შეგეძლებათ არსებობა ადამის შემდეგ!

მე მოვედი როგორც ხმა და როგორც სინათლე, მე თქვენში უნდა გავახარო ვაზი ცხოვრებისა და იმ სისხლმა, რომელიც გასვეს თქვენ და იმ ხორცმა, რომელიც გაჭამეს თქვენ, უნდა გამოიღოს ნაყოფი კეთილი.

მე ვარ გარიჟრაჟის ცისკარი, მე ვარ თხევადი სინათლის სიმყარე. მე ვდგევარ მეოთხე სიბრტყეზე და გიყურებთ თქვენ. თვალყურს ვადევნებ ადამის სიკვდილს. იგი დაბერდა და უნდა მოკვდეს, მაგრამ უნდა გათენდეს თქვენში!

თქვენ ხართ შიშველნი, მაგრამ არ გინდათ აღიაროთ თქვენი სიშიშვლე. თქვენ ვერ ხედავთ საკუთარ თავს, რადგან ბნელში დგახართ. თქვენ გძულთ მაშინ, როცა უნდა გიყვარდეთ და ბოღმით ივსებით მაშინ, როცა უნდა ნეტარებდეთ. ჩაიხედეთ საკუთარ თავში. რას ზეიმობთ, სულის დაცემას და გავერანებას?! მონობას თქვენსას?! ნუთუ ვერ ხედავთ, რას დაემსგავსეთ?! მუცელში ზიხართ და მუცლის იქით არაფერს ხედავთ! განა თქვენა ხართ რუსთაველის მოდგმა?! რა ეუბნებით ილიას, ვაჟას?! ეს რა ჰქენით, დიდ ილიას ტყვია ესროლეთ და ლუხუმი გველს შეატოვეთ?! გამოდით ბნელიდან და მოდით ჩემთან!

თქვენ გწყურიათ და ეძებთ წყალს, იქ, სადაც ის არ არის. თქვენი სიცოცხლის წყარო მხოლოდ მესამე სიბრტყეზეა. დაბრუნდით ცდომილი გზიდან გზაჯვარედინზე, და შეყოვნდით. იქ ბევრი შესახვევია და კვლავ არ შეგაცდინონ! თქვენი გზა ილიას სისხლითაა მონიშნული!

მე ვარ გზაჯვარედინი! მე ვარ უდაბნო! დაბრუნდით ჩემთან. თქვენ უნდა იპოვოთ თქვენი ჭეშმარიტი გზა. თქვენი გზა ილიას სისხლითაა მონიშნული. გამოდით ბნელიდან და მოდით ჩემთან. მე თქვენში უნდა გავახარო ვაზი ცხოვრებისა!

სისულელეა იმის მტკიცება, რომ ზვიად გამსახურდიამ თავი მოიკლა

მიუხედავად დაინტერესებულ პირთა მონდომებისა, ვერავინ ვერასოდეს დაამტკიცებს, რომ ზვიად გამსახურდიამ თავი მოიკლა, რადგან, როგორც ამბობენ, **"ფაქტები ღაღადებენ..."**

როცა დანაშაული გარკვეული ბურუსით იყო ხოლმე მოსილი, ძველი რომაელები სვამდნენ შეკითხვას: **"ვის აძლევს ხელს?"**

როცა დაინტერესებული პოლიტიკური წრის წარმომადგენლები ტუჩებზე დუმომდგარნი ამტკიცებენ, ზვიად გამსახურდიამ თავი მოიკლაო, ხოლო კრიმინალისტიკაში ჩახედულ ადამიანებს ვერასგზით ვერ დაუდგენიათ ჭეშმარიტება, დანაშაულის ორგანიზატორთა მიერ ხელოვნურად შექმნილი ბარიერების გამო, მაშინ ისდა დაგვრჩენია, დავსვათ საკრალური შეკითხვა: **"ვის აძლევს ხელს?"**

ვის შეიძლება შეეპაროს ეჭვი იმაში, რომ ზვიად გამსახურდიას ფიზიკური განადგურებით დაინტერესებული იყო მხოლოდ ედუარდ შევარდნაძე და მისი დანაშაულებრივი გარემოცვა, თუ, რა თქმა უნდა, მხედველობაში არ მივიღებთ შევარდნაძის ევროპელ და ოკეანისგადმელ მხარდამჭერებს, რომელთაც მილიონები არ დაიშურეს საიმისოდ, რომ საქართველოში სისხლიანი ორგია გაემართათ და ქვეყნის სათავეში მისი დამანგრეველი ძალა მოეყვანათ!

ზვიად გამსახურდიასადმი შიში შევარდნაძეს მაშინ გაუძლიერდა ათმაგად, როცა პუტჩის შემდეგ შევარდნაძის მშობლიურ ლანჩხუთის რაიონში ჩასულ საქართველოს კანონიერ პრეზიდენტს თითქმის მთელმა რაიონმა მოუწყო გულთბილი შეხვედრა. მიხვდა შევარდნაძე, რომ სრულიად საქართველომ თავშივე გაშიფრა მისი მზაკვრული გეგმები და ზიზღი გამოუცხადა მას, რაც ზვიადისადმი დამოკიდებულებაში გამოიხატა. სწორედ მაშინ გადაწყვიტეს შევარდნაძემ და მისმა თანამზრახველებმა ზვიადის ფიზიკურად მოსპობა, რადგან ვიდრე გამსახურდია ცოცხალი იქნებოდა, შევარდნაძეს მოსვენება აღარ ექნებოდა.

საქმეში ჩაერთო ყველაზე მზაკვრული იარაღი – ფული!

ფული, რომელიც ყოველთვის თავსაყრელად ჰქონდა ავანტურისტ და სულბინძურ შევარდნაძეს (რითაც თავის დროზე სკკპ პოლიტბიროსაგან იყიდა წევრობის კანდიდატობა და სოციალისტური შრომის გმირის ვარსკვლავი) და არასოდეს არ ჰქონია სამშობლოს სიყვარულს შეწირულ სვეგამწარებულ ზვიად გამსახურდიას!

მათ მალე მიაღწიეს საწადელს და ახალი წლის წინა ღამეს სიცოცხლე მოუსპეს საქართველოს პირველ და ჯერჯერობით ერთადერთ კანონიერ პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას.

მაშინ უბედური ახალი წელი გაუთენდა სრულიად საქართველოს!

მაშინ ბედნიერი ახალი წელი გაუთენდა ედუარდ შევარდნაძეს, რაც თავისთავად უბედურების მომტანი იყო მთელი საქართველოსათვის!

ღიმილისმომგვრელია ბესარიონ გუგუშვილისა და ზვიად გამსახურდიასთან მყოფი სხვა პირების მტკიცება იმის თაობაზე, რომ მათ არ იციან როდის და როგორ მოიკლა თავი ზვიად გამსახურდიამ!

ამ მტკიცებულებათა გასაცამტვერებლად ჩვენ კომენტარი ვთხოვეთ ცნობილი კრიმინალისტს, ზვიადის ხელისუფლებაში დასავლეთ საქართველოს **"ომონის"** უფროსს, ჩვენს აქტიურ მკითხველს ბატონ **შალვა (რამაზ) იაშვილს**:

"მაპატიეთ, მაგრამ იმის მტკიცება, რომ ზვიად გამსახურდიამ თავი მოიკლა, წმინდა წყლის სისულელეა და მე მას ვერასგზით ვერ გავიზიარებ. თვითმკვლელობის ვერსიის აბსურდულობის კიდევ ერთხელ დასამტკიცებლად საჭირო მკითხველს წარმოვუდგინო იმ იარაღის პარამეტრები, რომლითაც, სახელისუფლებო თუ ხელისუფლებას მიტმასნილი იურიდიული და კერძო პირების მტკიცებით, ვითომ თავი მოიკლა სულგანათლებულმა ზვიადმა (ამ შემთხვევაშიც, ალბათ უფრო მართებული იქნებოდა ტერმინ **"თავი მოიკლა"**-ს ნაცვლად გვეხმარა ტერმინი **"მოკლეს"** – **"ილორი"**). ამრიგად, საქმეში ფიგურირებს საბჭოური წარმოების **აუ-44**, ე.წ. **"სტეჩკინის"** სისტემის მაყუჩიანი პისტოლეტი (სწორედ მაყუჩიანი პისტოლეტის გამოყენებაზე ამახვილებენ ყურადღებას ტრაგედიის ღამეს ზვიად გამსახურდიასთან მყოფი ადამიანები, რათა ამტკიცონ, რომ, ღამის სიჩუმეშიც კი, მათ იარაღიდან გასროლის ხმა არ გაუგონიათ – **"ილორი"**), რომელსაც შემდეგი მახასიათებლები აქვს:

იარაღის სიგრძეა 225 მილიმეტრი, მაყუჩის სიგრძე კი 220 მილიმეტრია. ასე რომ, მაყუჩიანი **"სტეჩკინის"** სიგრძე თითქმის ნახევარი მეტრია და ძნელი დასამტკიცებელი არ არის, რომ ამ იარაღის თავზე მიბჯენა, მისი სიგრძის გამო, ძალზე მოუხერხებელი და შეუძლებელიც კია. მით უმეტეს წარმოუდგენელია, რომ ამ იარაღით იყოს გასროლა გაკეთებული პირადად ზვიადის მიერ, რადგან დადგენილი ტრაექტორიის მიხედვით გასროლა მოხდა თავის ზედა მხრიდან. ამრიგად, თუნდაც ეს ფაქტი გამორიცხავს თვითმკვლელობას!

ახლა ავიღოთ მეორე პარამეტრიც – საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანილი მაყუჩიანი იარაღის წონა.

მაყუჩითა და ვაზნებით იარაღის წონა შეადგენს 2 კილოგრამსა და 264 გრამს. შეიძლება ეს დიდი წონა არ იყოს იარაღის თავთან მისატანად, მაგრამ, გასროლის შემდეგ, რაც წამსვე დაშლიდა ტვინის უჯრედებს და გამოიწვევდა მომაკვდავის კონვულსიურ კრუნჩხვებს, გამორიცხული იყო, რომ ამის შემდეგ თვითმკვლელს იმდენი მოეხერხებინა, რომ საკმაოდ მძიმე იარაღიანი ხელი გულზე დაეკრიფა, როგორც ამას **"სახელისუფლებო"** კრიმინალისტები ამტკიცებენ. მით უმეტეს, ზვიად გამსახურდიას ახლობლებმა კარგად იციან, რომ პრეზიდენტს მარჯვენა ხელი ახალგაზრდობიდან ნატკენი ჰქონდა და მას საერთოდ გაუჭირდებოდა იმ ტრაექტორიით გასროლის მოხდენა, რასაც **"თვითმხილველები"** და სპეციალისტები ამტკიცებენ, გასროლის შემდეგ იარაღიანი ხელის გულზე დადებაზე რომ არაფერი ვთქვათ, რისი მტკიცება მართლაც რომ სრული აბსურდია!

ამიტომ, ჩემთვის სრულიად გაუგებარია, რა საჭიროა ამდენი საგამოძიებო კომისიების შექმნა ზვიად გამსახურდიას აღსასრულის მიზეზების დასადგენად, თუნდაც მისი შვილის თავმჯდომარეობით, როცა ჭეშმარიტების დადგენა ელემენტარული ლოგიკითაც კი შეიძლება!"

აი, როგორია კრიმინალისტიკასა და ტყვიის ბალისტიკაში საკმაოზე მეტად გათვითცნობიერებული ადამიანის აზრი ზვიად გამსახურდიას იდუმალებით მოსილი მკვლელობისადმი. განა ასე ძნელია იმის დადგენა, თუ როგორ წარიმართა ზვიად გამსახურდიას მკვლელობის შემდეგ მისი უახლოესი გარემოცვის წევრების ბედი?

ვერავინ დამიმტკიცებს, რომ სააკაშვილის ხელისუფლება ედუარდ შევარდნაძის სულიერი, მორალური, ხნეობრივი და პოლიტიკური მემკვიდრე არ არის. ვინც არ დამეთანხმება, სცადოს რომ საშვის აღებისა და რამდენიმე საგანგებო შემოწმების გარეშე შეაღწიოს საქართველოს პარლამენტის ან საპრეზიდენტო რეზიდენციის შენობაში. უკანონოდ შედწევის პირველივე ცდა წარუმატებელი აღმოჩნდება და ტყვიით გაუხვრეტენ თავს. ვერც იმაში დამარწმუნებს ვერავინ, რომ 2003 წლის ნოემბერში, ავადსახსენებელი **"ვარდების რევოლუციის"** წინა დღეებში სახელმწიფო დაცვის სამსახურის თანამშრომლები მოიხიბლნენ სააკაშვილის გმირული სულისკვეთებით (თუ როგორი **"გმირია"** სააკაშვილი, ეს 2008 წლის აგვისტოში გამოჩნდა, გორში, შორს აფეთქებული ჭურვით დამფრთხალი ცხვირით რომ ხნავდა მიწას თხრილისაკენ მიმავალ ბილიკზე) და ამიტომ არ შეუშალეს ხელი მის დაჟინებულ წინსვლას პარლამენტისაკენ, რაც ფაქტიურად სახელისუფლებო გადატრიალებას ნიშნავდა. ეს რომ შევარდნაძის მორიგი თაღლითური პოლიტიკური სვლა გახლდათ, ამაში უკვე არავის ეპარება ეჭვი. და თუნდაც დავუშვათ, რომ ეს მართლაც სპონტანურად მოხდა, მაშინ, როდისმე, აუცილებლად უნდა დადგეს ყველა იმდროინდელი ძალოვანი სტრუქტურის ხელმძღვანელთა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, რადგან მათ ქვეყანაში ვერ უზრუნველყვეს (ფრაზას **"კონსტიტუციური წესრიგი"** ვერ გამოვიყენებ, რადგან თვით შევარდნაძე იყო ქვეყნის სათავეში არაკონსტიტუციურად, ბანდიტების მიერ მოყვანილი) სახელმწიფოებრივი მდგრადობა და საქართველო გადამთიელებს მიუგდეს საჯიჯგნად!

დაბერდი, ედუარდ შევარდნაძევ და დაგიძველდა თაღლითობის მეთოდები, თორემ ასეთი საქმეები რამდენჯერ **"გაგიიმასქნებია"**, კაცი ვერ დათვლის!

ბრძენიაო, შენზე ვერავინ იტყვის, მაგრამ გლეხური მზაკვრობა და ეშმაკობა რომ თავსაყრელად გაქვს, ვერც ამას უარყოფს ვერავინ.

ყოველთვის მკვლელი და გადაგვარებული არაადამიანი რომ იყავი, ამას შენი ბინძური, სისხლიანი წარსული ამტკიცებს. შენ ხელზე და შუბლზე გაცხია ზვიად გამსახურდიას, ზურაბ პატარიძის, იუზა კობახიძის, **"თვითმფრინავის ბიჭების"**, უდანაშაულო მღვდელ ჩიხლაძის და სხვა უდანაშაულოთა სისხლი, რომელსაც ვერც ამქვეყნიურ საქართველოში ჩამოირეცხავ და ვერც იმქვეყნიურში! და თუ დღეს **"ოქროს გალიაში"** უზიხართ **"ნაციონალებსა"** და მათ ბელადს, გვაფიქრებინებს, რომ მათ "**ოქროს სასახლეც**" ექნებათ თქვენთვის გამზადებული, რადგან ისინი საკუთარ ფარაონად გადიარებენ!

მაგრამ, ვერავითარი ოქრო ვერ დაიცავს სატანას ღვთის სამსჯავროსაგან!

ნურც შენ და ნურც შენს შვილობილებს ნუ გექნებათ ღვთის ან ქართველი ხალხის წყალობის იმედი!

იმიტომ, რომ თქვენ დაღდასმული წყეულები ხართ!

***P.S.** ერთხელ, როცა შევარდნაძეზე მამხილებელი წერილი გამოვაქვეყნე, მეგობრებმა მითხრეს: რაღა დროს ედუარდ შევარდნაძეა, იგი ხომ დიდი ხანია ისტორიას ჩაბარდაო! ვერ დავეთანხმები ამ აზრს, რადგან, დღეს რომ საქართველოში შევარდნაძიზმი მძვინვარებს, ასეთი ძლიერი ეს სინდრომი მისი მმართველობის ჟამსაც კი არ ყოფილა. მართალია შევარდნაძის დანატოვარია, მაგრამ მის დროს აშკარად ისე არ ბობოქრობდა, როგორც ახლა: სიყალბე, თვალთმაქცობა, ხალხის არარსებული კეთილდღეობით ბაქი-ბუქი, სახელმწიფო ხაზინის ძარცვა, გადასახადების განუხრელი ზრდა, პოლიტიკური მკვლელობები და სხვა მრავალი უბედურობები. ამიტომ, ვიდრე ამ სინდრომს ძირფესვიანად არ აღმოვფხვრით ჩვენი ყოფიდან, უნდა გვახსოვდეს, რომ შევარდნაძის აჩრდილი კვლავ დაძრწის საქართველოში და ჩვენი საშველი არ იქნება!*

როლანდ ჯალაღანია,

საქართველო საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფინანსურ დახმარებას ვარძელაშვილის გამო ვეღარ მიიღებს?!

საინფორმაციო სააგენტო საქინფორმმა მკითხველს სკანდალური ინფორმაცია მიაწოდა საქართველოს უმაღლეს ეშელონებში გაჩაღებული კორუფციის, კონკრეტულად კი - შიდა ქართლის ექსგუბერნატორის ლადო ვარძელაშვილის მიერ საქართველოსთვის ევროკავშირის წევრი ქვეყნის, უფრო ზუსტად – გერმანიის მიერ საერთაშორისო დახმარების პროგრამის ფარგლებში 2008 წლის საბრძოლო მოქმედებების დროს დაზარალებული გორის საცხოვრებელი სექტორის აღსადგენად გამოყოფილი 8 მლნ ევროდან 4 მლნ ევროს დატაცების შესახებ.

მოკლედ შეგახსენებთ, თუ რა აცნობა მაშინ სააგენტოს ინკოგნიტო წყარომ: ***„ახლახან გერმანიის მთავრობამ, საქართველოს საკითხებში გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის ჰაიდი ტალიავინის მონაწილეობით, საქართველოს მთავრობის მიერ გამოყოფილი თანხების (8 მლნ ევროს) მიზნობრივი გახარჯვა შეამოწმა. შემოწმების შედეგად გაირკვა, რომ მიზნობრივი საჭიროებებისათვის საქართველოს ხელისუფლებამ მხოლოდ საწყისი თანხის ნახევარი (4 მლნ ევრო) გახარჯა, ხოლო დანარჩენი ნაწილი, კომპეტენტური ევროპელი ექსპერტების აზრით, სავარაუდოდ, შიდა ქართლის მაშინდელმა სამხარეო გუბერნატორმა ვლადიმერ (ლადო) ვარძელაშვილმა მიითვისა“.*** *იმავე წყაროს ცნობით,* ***„ოფიციალური ბერლინი, მიუხედავად სოლიდური ექსპერტების უკიდურესი აღშფოთებისა, დროებით თავს იკავებს ამ ფაქტის საჯაროდ გამოტანისგან, რადგან სურს ევროკავშირის სტრუქტურებში მისი დამატებით განხილვა და საქართველოს ხელისუფლებისგან ამომწურავი ინფორმაციის მიღება ამ საკითხზე“.***

როგორც ჩანს, გერმანიის მთავრობამ უკვე განიხილა ეს აღმაშფოთებელი ფაქტი ევროკავშირის სტრუქტურებში, სადაც ერთობლივი გადაწყვეტილება მიიღეს: 2010 წლის 28 დეკემბერს საქართველოს ფინანსთა მინისტრმა კახა ბაინდურაშვილმა განაცხადა, რომ **„საქართველოსთვის საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფინანსური დახმარების საჭიროება აღარ არის“** და რომ **„სსფ–ს პროგრამები საქართველოში დასრულების სტადიაშია, თუმცა გადმორიცხვები ამ დროისათვის უკვე შეწყდა“.** რაც შეეხება სსფ–თან შემდგომ თანამშრომლობას, ბაინდურაშვილის თქმით, წინასწარი მოლაპარაკებები ამ საკითხზე უკვე დაწყებულია, თუმცა **„საქართველოს მხარესა და ფონდის ექსპერტებს მიჩნიათ, რომ ქვეყანამ უკვე დაძლია კრიზისი და ისეთ აქტიურ დახმარებას აღარ საჭიროებს“ (?!). „თავის დროზე ეს პროგრამა 2008 წლის აგვისტოში შემუშავდა და იმავე წლის მეოთხე კვარტალში გადაიხედა. ძირითადი აქცენტი კეთდებოდა ომის შემდგომი პრობლემების დაძლევასა და ანტიკრიზისულ ღონისძიებებზე. ამ ეტაპზე ჩვენც და სსფ-ს ექსპერტებიც ვთვლით, რომ საქართველომ უკვე დაძლია კრიზისი და შედეგად, პროგრამის გაგრძელების საჭიროება აღარ არსებობს“**, – განაცხადა მინისტრმა.

სააგენტო საქინფორმი

მიძღვნა

ეს ღამეები
მძიმე დარდით
გათანგულები,
ძველ მოგონებებს,
დაუვიწყარს,
არ ჰგავს სრულებით.

შენ ცად
ამაღლდი,
იქ ნათელი
სუფევს ულევი...
მე შევრჩი სოფელს,
გვემული და
ნამარხულევი.

როგორც მგზავრები,
გრძელ შარაგზით
დაქანცულები,–
ისევ ერთმანეთს
შეხვდებიან
ჩვენი სულები.

თინა ცალქალამანიძე
(პენსიონერ პედაგოგი).
მოგვაწოდა ბატონმა თემურ ქორიძემ.



ბერია XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

სერგეი კრემლიოვი

თარგმანი **როლანდ ჯალაღანიასი**

ესე იგი, კი არ *ეშინოდათ*, ***ზოგჯერ ეშინოდათ*** ხოლმე. რა გაეწყობა – ომში, როგორც ომში... ამასთან, აღვნიშნავ, რომ თავად ბერიას კი არ მიაჩნდა საკუთარი თავი უცოდველად! ამგვარად მას მიიჩნევდნენ არა მცირეწლოვანი აფოფინებული ბიჭები, არამედ საბჭოთა ინდუსტრიის მრავალნაცადი **"კაპიტნები"**. გამოდის, რომ მისი ყველა მმართველობითი გადაწყვეტილება ზუსტად ხვდებოდა მიზანს, რაც ასეთ დადებით რეპუტაციას უქმნიდა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წევრ ლავრენტი პავლეს ძე ბერიას.

რაც შეეხება ხალხის **"საპატიმროებში გამომწყვდევას..."**, დიდი სამამულო ომის დაწყებამდე ციხეში ორჯერ გამოკეტილმა შეიარაღების ყოფილმა სახალხო კომისარმა ვანნიკოვმა **"იმდენი მოახერხა"**, რომ **"ატომური პროექტის"** პირველი მთავარი სამმართველოს უფროსად მოგვევლინა და კომპეტენტური ხალხის მეშვეობით შესძლო ქვეყანაში ურანის პრობლემის გადაწყვეტა. ესე იგი, მაშინ, როცა გერმანელები მაინცადამაინც თავს არ იკლავდნენ მოსკოვზე გადამწყვეტი იერიშის წამოწყების სურვილით, მან ციხეში გადაიყვანა ინჟინერი აბრამზონი, რომელმაც სამონტაჟო სამუშაოების ჩატარებისას შეცდომები დაუშვა. ამასთან, თურმე ვანნიკოვი ხუმრობდა: **"შენ აბრამზონი კი არა ხარ, შენ ხარ აბრამი ზონაში"**. და მაინც, ეს იყო დროებითი ღონისძიება, რომელიც ჩაიფიქრა და განახორციელა ვანნიკოვმა.

მაგრამ ვანნიკოვს არავინ მოიხსენიებს **"სატრაპად"**, მასაც ბერიას **"მსხვერპლად"** წარმოგვიდგენენ. თვით ვანნიკოვი კი მოგვიანებით არაერთგზის აღიარებდა, რომ ციხეში სავსებით დამსახურებულად მოხვდა, გარკვეული **"გადახრების"** გამო.

აი, ბერიას სტილი, რომელსაც აღწერს ადამიანი, თუმცა, მის ახელს არ ახსენებს, მიუხედავად იმისა, რომ ეს წიგნი ბერიასადმია მიძღვნილი...

1981 წელს სამხედრო გამომცემლობამ დასტამბა დიდი სამამულო ომის წლებში არტილერიის მთავარი სამმართველოს უფროსის, არტილერიის მარშალ იაკოვლევის წიგნი: **"არტილერიაზე და მცირეოდენი რამ ჩემზე"**. და, აი, რას სწერს იგი:

"თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თითოეულ წევრს სახელდობრ ევალებოდა: ერთს – საავიაციო ტექნიკის მიწოდების გეგმაზე პასუხისმგებლობა, მეორეს – ტანკებზე, მესამეს – შეიარაღებასა და ტყვია-წამლის მიწოდებაზე პასუხისმგებლობა..."

თავშესაქცევია, მაგრამ, ამავე დროს, დასანანია, რომ, იაკოვლევი, მამა-დმერთივით, სამ სახედ წარმოგვიდგენს (რა თქმა უნდა, მისი სახელის ხსენების გარეშე) ლავრენტი ბერიას...:

"თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წევრთან, რომელიც შეიარაღებასა და ტყვია-წამლის მიწოდებაზე იყო პასუხისმგებელი, 1941 წლის მიწურულს შეიქმნა ჯგუფები სახკომსაბჭოს და სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის პასუხისმგებელ პირთა შემადგენლობით, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ პ.ი. კირპიჩნიკოვი (შეიარაღების ხაზით) და ნ.ა. ბორისოვის (ტყვია-წამლის ხაზით). ამის შემდეგ დაგეგმარების პროცესი მიმდინარეობდა ამ ჯგუფების მეშვეობით, რომელთაც მუდმივი კავშირი ჰქონდათ დამყარებული სახალხო კომისარიატებთან და არტილერიის მთავარ სამმართველოსთან".

მკითხველს ნუ გააოცებს ფრაზა **"სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის პასუხისმგებელ პირთა"**, რომელთა თაობაზეც წერს მარშალი იაკოვლევი, რადგან ამ კატეგორიის ადამიანებში იგულისხმება თვით საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ვოზნესენსკი. პირველ რიგში, თავდაცვის სახალხო კომიტეტში, მისი შექმნის პირველივე დღიდან შეიარაღებასა და ტყვია-წამალზე პასუხიმგებლობა დაკისრებული ჰქონდა ლავრენტი ბერიას, რაც შემდეგ სათანადო სახელმწიფო ჯილდოებით აღინიშნა. თვით ვოზნესენსკი კი თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის შემადგენლობაში შეიყვანეს 1942 წლის თებერვალში, იაკოვლევი კი აღგვიწერს 1941 წლის მიწურულის მოვლენებს. ამასთან, 1981 წელს ვოზნესენსკის გვარი არ იყო ტაბუდადებული, როგორც ბერიასი.

არა, იაკოვლევი სწორედ ბერიაზე წერს... და მერამდენედ გვიწევს ხაზგასმა – ამოცანის ზუსტად კონსტრუირება, საჭირო კადრების დასაქმება ხომ ბერიაზე უკეთესად არავის შეეძლო!

სწორედ ეს იძლეოდა სასურველ შედეგს.

სასურველი შედეგი კი სახეზეა!

მაშინ ლავრენტი ბერიამ თავის გარშემო სწორედ ისეთ ხალხს მოუყარა თავი, რაც საქმეს დიდად წაადგებოდა!

აი, რას სწერდა პ.ი. კირპიჩნიკოვისა და ნ.ა. ბორისოვის შესახებ მარშალი იაკოვლევი:

"ესენი იყვნენ მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები, რომლებიც შესაშური შრომისმოყვარეობით გამოირჩეოდნენ. მათ შემოკრებილი ჰყავდათ გარშემო საქმის უბადლოდ მცოდნე ინჟინრები, ექვემდებარებოდნენ უშუალოდ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტს, რომელსაც უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ სახალხო კომისარიატები...

ვერ ვიტყვი, რომ სსრკ სახალხო კომისარიატთა მუშაკებს დიდად გულზე ეხატებოდათ ეს ინჟინრები, პირველ რიგში, წარმოებებზე მათ მიერ დაწესებული მკაცრი კონტროლის გამო. მაგრამ შინაგანად მწამს, რომ ქვეცნობიერად ისინი სავსებით ეთანხმებოდნენ ასეთი მკაცრი სამუშაო რეჟიმის დამკვიდრებას".

სამწუხაროდ, ისტორიკოსები და მემუარისტები ბერიას რატომღაც არ პატიობენ ასეთი მკაცრი სამუშაო რეჟიმის დამკვიდრებას. მის საქმისადმი სერიოზულ დამოკიდებულებას მიაწერენ არა პასუხისმგებლობის გრძნობას, არამედ საკუთარი ტყავის გადარჩენის ინსტინქტს. ამიტომაც შეიარაღების სახალხო კოომისარიატის თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილის ვ.ნ. ნოვიკოვის (რომელიც შემდეგ სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გახდა) მოგონებებზე განსაკუთრებით უნდა გავამახვილო მკითხველის ყურადღება... ცნობილ პასკვილურ მოგონებათა კრებულში **"ბერია: კარიერის დასასრული"**, რომელიც 1991 წელს დაისტამბა, გამოქვეყნებულია ნოვიკოვის მოგონება: **"ბერიას "შეფობა"**. ბოდიშს ვუხდი მკითხველს ტექსტის დამძიმებისათვის, მაგრამ ნოვიკოვის მოგონების რამდენიმე პასაჟს ახლავე უნდა გავუკეთო კომენტარი...

იგი განსჯას რეპრესიებით იწყებს, შემდეგ კი აღნიშნავს:

"...ჩვენი სახალხო კომისარიატი ომის დასაწყისში შინსახკომს დაუქვემდებარეს, ან, ბერიას დაუმორჩილეს, როგორც თავდაცვის სახელმწიფო საბჭოს წევრს (სახელმწიფო მართვის სისტემის ერთ-ერთმა **"ზუბრმა"** ნოვიკოვმა კარგად იცის, რომ მისი უწყება არასოდეს ემორჩილებოდა შინსახკოომს, მაგრამ ამ უწყებას მკითხველის **"დასაშინებლად"** ახსენებს – ს.კ.), **შესაბამისად, იგი ჩვენ მაგივრად აგებდა პასუხს სტალინის წინაშე.**

ახლა ხშირად მოიგონებენ ამ ავადსახსენებელ პიროვნებას, რომელიც ლანდივით მუდამ თან დასდევდა სტალინს (გამოდის, რომ ბერია და ნოვიკოვი სტალინის პირად დაცვაში მუშაობდნენ, სხვაგვარად, ბერია არასოდეს იქნებოდა ყოველთვის სტალინის გვერდით, ყოველივე ამას კი ვერ დააფიქსირებდა ნოვიკოვი – ს.კ.), **მაგრამ მის თვისებებს ახასიათებენ ზედაპირულად და მხოლოდ ეპითეტებით "შავბნელი ფიგურა" და "სისხლიანი ჯალათი" შემოიფარგლებიან. იგი კი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი იყო** (ბერიას სხვა მაღალი სახელმწიფო თანამდებობები ეკავა, რაც ნოვიკოვს არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა, მაგრამ იგი მას მხოლოდ **"ჩეკისტად"** წარმოადგენს – ს.კ.) **და იგი სრულიადაც არ გახლდათ ისეთი მარტივი და პრიმიტიული ფიგურა, როგორც დღევანდელ მწერლებს, ისტორიკოსებს და სხვა შემოქმედებს მიაჩნიათ** (ამაში კი ნოვიკოვი ნამდვილად არ ცრუობს – ს.კ.)

მახსოვს, 1941 წლის ივლისის მიწურულს ბერიამ თათბირი ჩაატარა. მე და დ.თ. უსტინოვი (შეიარაღების სახალხო კომისარი – ს.კ.) **დაბარებული ვიყავით ამ თათბირზე შაშხანების წარმოების მკვეთრად გაზრდის საკითხზე... ბერიამ მაშინ საქმიანი და პრინციპული ადამიანის შთაბეჭდილება დატოვა. სახეგანიერი, სუფთად პირგაპარსული** (ესეც გასაგებია, სისხლის სმაში წვერ-ულვაში ხომ ხელს შეუშლის ადამიანს – ს.კ.), **პეწიანი** (რა-თქმა უნდა!), **საკმაოდ ფერმკრთალი (ნამდვილად არ ექნებოდა 1941 წლის ივლისში იმის დრო, რომ ზღვაზე საფუძვლიანად გარუჯულიყო – ს.კ.), სათვალე-პენსნე ეკეთა** (**"სისხლისმსმელის"** კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიუანსი – **"პენსნე"** – ს.კ.), **თითზე ბეჭედი ეკეთა..."**

მკითხველს ვთხოვ, დაიხსომოს თითზე გაკეთებული ბეჭედი. რაც შეეხება საქმის არსს, ბერიამ ჰკითხა უსტინოვს, თუ როდის მოახერხებდა იუევსკის ქარხანა დღეში 5 ათას ცალ შაშხანას.

უსტინოვმა შეკითხვა ნოვიკოვს გადაუმისამართა, რომელიც ჯერ კიდევ ერთი თვის უკან ამ ქარხნის დირექტორად მუშაობდა. ნოვიკოვმა კი ბოლო ვადად შვიდი-რვა თვე დაასახელა, რადგან მაშინ ქარხანა დღეში მხოლოდ ორ-სამ შაშხანას აწარმოებდა.

შემდეგ მოვლენებს ნოვიკოვი ასე აღგვიწერს:

"ბერია მოიქუფრა:

– თქვენ იცით, ამხანაგო ნოვიკოვ, რომ ფრონტზე ჯარისკაცი ელოდება როდის დაჭრიან ან მოკლავენ მის თანამებრძოლს რომ მის შაშხანას დაეუფლოს? თქვენ კი, ამბობთ შვიდი-რვა თვეო. ეს არ ივარგებს, საჭიროა სამ თვეში ჩაეტიოთ. თქვენ ქარხანას კარგად იცნობთ, კიდევ ვის შეუძლია ამ საქმეში დახმარება?

მე განვუცხადე, რომ ნებისმიერი ხელშემწყობი პირობების შექმნის შემთხვევაშიც კი ამ ვადებში ჩატევა პრაქტიკულად შეუძლებელია.

შექმნეს კომისია, რომელშიც შევიდნენ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის ორი მოადგილეები ვ.ვ. კუზნეცოვი და პ.ი. კირპიჩნიკოვი და მე. წინადადების შემუშავების ვადად ორი დღეს დაგვიწესეს – როგორ გამოგვეშვა, სამი თვის შემდეგ, დღეში ხუთი ათასი ცალი შაშხანა...

კუზნეცოვი და კირპიჩნიკოვი ეთანხმებოდნენ სამთვიანი ვადის დაწესებას. მე უარი ვთქვი ქაღალდზე ხელის მოწერაზე...

კვლავ ბერიასთან ვიმყოფებით მოხსენებაზე, კაბინეტი სავსეა ხალხით, აქ არიან თავდაცვითი სისტემის სახალხო კომისრები და სხვები.

ჩვენი საკითხის რიგმა მოაწია. ბერია კითხულობს ქაღალზე დაბეჭდილ ტექსტს. შემდეგ კუზნეცოვს ეკითხება, თუ რატომ არ არის საბუთზე ჩემი ხელმოწერა.

ვასილი ვასილის ძე პასუხობს, რომ ეს ვადა მე არარეალურად მიმაჩნია.

ვატყობ, რომ ბერიას ბრაზი ერევა:

– რა ვადას თხოულობთ, ამხანაგო ნოვიკოვ?

მე კვლავ ვპასუხობ, რომ მინიმალური ვადა, ყველაზე დაძაბული გრაფიკით – 7 თვეა.

ბერიამ გვერდზე გადააფურთხა (ეს გასაგებიცაა, მართალია იგი ყველას **"თქვენობით"** მიმართავს, მაგრამ მაინც უხეში და გაუზრდელია! – ს.კ.), **შეიგინა** (როგორ შეიძლება ბერია წარმოიდგინო დედის გინების გარეშე – ს.კ.) **და კბილებში გამოსცრა:**

– მიღებულია ნოვიკოვის წინადადება..."

ნოვიკოვი გვაუწყებს – ლავრენტი ბერიამ იმიტომ მიიღო მისი წინადადება, რომ **"სიკვდილივით ეშინოდა სტალინის შეცდომაში შეყვანისა, რადგან სტალინი ბევრს რამეს პატიობდა, მაგრამ მოტყუებას – არავის"...**

ვიმეორებ, საწყენია იმის გაფიქრებაც კი, რომ დამსახურებული ადამიანი ასე ნაძირალურად იქცევა... ჯერ ერთი, ბერიას **"სიკვდილივით კი არ ეშინოდა სტალინის შეცდომაში შეყვანისა"**, მას არ შეეძლო სტალინის მოტყუება! არ შეეძლო იმიტომ, რომ თავადაც ვერ ითმენდა ტყუილს ქვეშემრდომებისაგან, იმიტომ, რომ ხელმძღვანელი, რომელიც ტყუილს მოითმენს ქვეშემრდომებისაგამ, გახლავთ **არა-კომ-პე-ტენ-ტუ-რი!**

რაც შეეხება ფრაზას **"სიკვდილივით ეშინოდა!"**... რახან ასეა, როგორ ფიქრობთ, გაბედავდა ბერია თითზე ოქროს ბეჭდის წამოცმას? სტალინს ხომ მხოლოდ ამისათვის შეეძლო გაეძევებინა საკუთარი კაბინეტიდან ნებისმიერი თანამდებობის პირი! ეს ჰეიდარ ალიევს შეეძლო ეჩუქებინა **"ძვირფასი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევისათვის"** დიდი ბრილიანტისთვლიანი ოქროს ბეჭედი. **"ძვირფასი იოსებ ბესარიონის ძე"** კი მისი უახლოესი გარემოცვისთვისაც არ არსებობდა. იყო მხოლოდ **"ამხანაგი სტალინი"**, რომელიც ორგანულად ვერ იტანდა ნებისმიერ ფუფუნებას!

ნოვიკოვის აზრს კი ბერიამ ანგარიში გაუწია იმიტომ, რომ იგი იყო სპეციალისტი, რომელმაც ყველაზე კარგად იცოდა იუევსკის ქარხანაში შექმნილი მდგომარეობა. ბერიას მმართველობის მეთოდი იყო არა მათრახი, არამედ კომპეტენტური სპეციალისტების აზრის გაზიარება.

მაგრამ, ეს კიდევ არ არის ყველაფერი...

1988 წელს პოლიტგამომცემლობამ დასტამბა ნოვიკოვის წიგნი **"გამოცდების წინა დღეს და მის დროს"**, სადაც არის ქვეთავი **"სახელოვან რუსულ შაშხანაზე და არა მხოლოდ მის თაობაზე"...** იქ ნოვიკოვი საერთოდ არ ახსენებს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტში დაყენებულ საკითხს 5.000 შაშხანის თაობაზე და პირდაპირ ასახელებს ციფრს 12.000!

ამასთან, იუევსკელები უკვე 1941 წლის ნოემბერში აწარმოებდნენ დღეში 4 ათას შაშხანას, 1942 წლის ზაფხულის მიწურულს კი ეს ციფრი ყოველდღიურად 12.000 შაშხანას შეადგენდა! და თავად ნოვიკოვი წერს, რომ იუევსკში ჩასული ვოროშილოვი საკუთარ თვალებს არ უჯერებდა: **"არ შეიძლება, რომ შაშხანები მდინარედ მოედინებოდეს"**. ნოვიკოვი კი პასუხობდა, რომ **"შაშხანები დღითიდღე და თვიდან თვემდე მოედინებიან მდინარეებად"**.

ესე იგი, შაშხანების დღიური წარმოების გაზრდა 5 ათას ცალამდე შეიძლებოდა არა ხუთი, ან ოთხი თვის, არამედ სამი თვის შემდეგაც. მაშ საკითხავია – ვის ეშინოდა, რომ პასუხისმგებლობა ეკისრა შაშხანების წარმოების მკვეთრად გაზრდაზე?

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამაზე გრძელი, ამაზე დიდი...

მიშა, ახლა, მართლა ჩაბ-რეცხეს!!!

“მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის” 2010 წლის ანგარიში არის განაჩენი სააკაშვილის რეჟიმისათვის!

საახალწლო ტაშ-ფანდურას გადაყოლილი სააკაშვილის “ჯიბის ტელევიზიები” გულმოდგინედ მალავენ მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული ინსტიტუტის დასკვნას, რომლის მიხედვითაც, “ვარდოვანთა” მიერ ფართოდ რეკლამირებული “ქართული ეკონომიკური სასწაული”, არც მეტი – არც ნაკლები, უნიჭო ბლეფია! დიახ, “მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის” მიერ მომზადებული ავტორიტეტული ანგარიშით, 2010 წლის შედეგებით საქართველო 139 ქვეყანას შორის სამარცხვინო 93-ე ადგილზე გავიდა!

მაშინ, როდესაც **“მიშავიზიები”** მთელ საქართველოს (განსაკუთრებით კი ინფორმაციულ ვაკუუმში მოქცეულ ჩვენ რეგიონებს) **“აბოლებენ”**, სააკაშვილის რეფორმებმა მთელი მსოფლიო გადარია და პირდია დატოვაო, **“მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის” 2010 წლის შემაჯამებელი ავტორიტეტული დასკვნა პირდაპირ, უზარმაზარი საახალწლო ალიყურია ცრუპენტელა “ვარდოვანი” რეჟიმისათვის!**

იმ ქვეყნის ხელისუფლებას, რომელსაც **“მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის”** ანგარიშით 139 ქვეყანას შორის 93-ე ადგილს მიუჩენენ, საერთოდ, ხმა არ აქვს ამოსაღები!

მაშ, ასე: **“ფორუმის”** დეტალური დასკვნით, რომელსაც **“საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ანგარიში”** ჰქვია, საქართველოს პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან უსწრებენ ესტონეთი (33-ე), ლიტვა (47-ე), აზერბაიჯანი (57-ე), რუსეთი (63-ე), ლატვია (70-ე), ყაზახეთი (72-ე) და უკრაინა (90-ე)!

ამერიკის, ევროკავშირისა და აზიის განვითარებულ ქვეყნებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, საქართველო უკან ჩამოიტოვეს ისეთმა ქვეყნებმა, როგორიცაა კატარი (მე-17), ბრუნეი (28-ე), ტუნისი (32-ე), ომანი (34-ე), ბაჰრეინი (37-ე), პუერტო-რიკო (41-ე), ბარბადოსი (43-ე), პანამა (53-ე), მავრიკია (55-ე), შრი-ლანკა (62-ე), კოლუმბია (68-ე), პერუ (73-ე), ნამიბია (74-ე), მაროკო (75-ე), ბოტსვანა (76-ე), გვატემალა (78-ე), რუანდა (მე-80), სან-სალვადორი (82-ე), ტრინიდადი და ტობაგო (84-ე), ალბანეთი (88-ე), გამბია (90-ე), ჰონდურასი (91-ე) და ლიბანი (92-ე ადგილი)!

ცნობისათვის: **“მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის”** ზემოხსენებული ანგარიში რომ ჰაიჰარად არ დგება, იქიდანაც ჩანს, რომ ამ ორგანიზაციასთან თანამშრომლობენ მსოფლიოს წამყვანი კვლევითი ინსტიტუტები და ბიზნესკომპანიები!

გარდა ამისა, 2010 წლის ანგარიშის შედგენისას 139 სახელმწიფოს 13..500 წამყვანი ბიზნესკომპანიის ხელმძღვანელი გამოიკითხა!

რამდენად დეტალურია **“ფორუმის”** კვლევა, ჩანს იმ კრიტერიუმებიდანაც, რომელთა საფუძველზეც შედგა **“საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ანგარიში”**.

მაგალითად, **საკუთრების დაცვის კრიტერიუმით** ჩვენი ქვეყანა **120-ე** ადგილზე გავიდა! ანუ **“კავკასიის შვეიცარიაში”** ხელისუფლება კერძო საკუთრებას, პრაქტიკულად არ ცნობს!

სასამართლოს თავისუფლების კრიტერიუმით ჩვენი ქვეყანა **104-ეა**! ანუ საქართველოში სასამართლო, როგორც ასეთი, არ არსებობს!

საქართველო **ანტიმონოპოლიური რეგულირების კრიტერიუმით 135-ეა!** ანუ ჩვენში ხელისუფლებას დაქვემდებარებული მონოპოლიების შეუზღუდავი თარეშია!

მაკროეკონომიკური გარემოს მიხედვით საქართველო **130-ეა**! ანუ ჩვენ ქვეყანაში ეკონომიკა, როგორც ასეთი, არ არსებობს!

წვრილ აქციონერთა ინტერესების დაცვის კრიტერიუმით საქართველო **122-ე ადგილზე გავიდა, ხოლო ინოვაციებისა და გამოცდილების ფაქტორით – 121-ზე!**

მოკლედ, **“მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის”** ანგარიშის მიხედვით, საქართველოში ბიზნესის წარმოებისათვის ყველაზე პრობლემური სფეროებია – **დაფინანსების ხელმისაწვდომობა, სამუშაო ძალის არაადექვატური განათლება, საგადასახადო სისტემა, შეუსაბამო ინფრასტრუქტურა, სამთავრობო ბიუროკრატია, ინფლაცია და კორუფცია!**

ძვირფასო მკითხველო, **“მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის”** ანგარიშით, **დიმიტრი შაშკინის რეფორმებიც** კი შეაფასეს: უმაღლესი განათლების დონის მიხედვით საქართველო 105-ეა, საერთაშორისო საბანმანათლებლო სისტემის ხარისხით – 119-ე, ხოლო კვლევითი ინსტიტუტების დონის მიხედვით – 120-ეზე.

“მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის” ანგარიში კიდევ ერთხელ ნათელჰყოფს, რატომ არ შემოედინება საქართველოში უცხოური ინვესტიციები! ასეთ გაუბედურებულ ქვეყანაში, აბა, რომელი სერიოზული ინვესტორი დააბანდებს კაპიტალს?

იმ ქვეყანაში, სადაც სასამართლო არ არის, რომელი ჭკუათმყოფელი გაბედავს ფულის შემოტანას და ბიზნესის დაწყებას?!

მოკლედ **“მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის”** 2010 წლის ანგარიში არის **განაჩენი სააკაშვილის რეჟიმისათვის!** ამ რეჟიმის 7-წლიანი მმართველობის შედეგად საქართველომ განვითარების ყველანაირი შანსი დაკარგა და სახელმწიფოებრივი წარმონაქმნიდან გადაიქცა **შპს**-დ, რომელსაც ერთპიროვნულად მართავს **გაკოტრებული მუცლითმეზღაპრე მიხეილ სააკაშვილი!**

ამიტომ, რამდენიც უნდა იტრაბახოს მოსყიდული რეიტინგების საფუძველზე არსებული მიღწევებით ტელევარსკვლავად გადაქცეულმა შოუმენმა სააკაშვილმა, **“მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის”** ავტორიტეტული დასკვნა ერთმნიშვნელოვანია: მიშა, ჩაბ-რეცხეს!!!

გიორგი გიგაური,
“ასავალ-დასავალი”, 2011 წელი, №2.

“ილორის” კომენტარი – მოკლედ, არც ისეა საქმე საქართველოში, სააკაშვილი და მისი მედაფდაფე ჯიბის ტელევიზიები დღედაღამ რომ გაჰკივიან: **“ჩვენზე გრძელი და ჩვენზე დიდი საქმე ჯერ არავის გაუკეთებიაო”!** უფრო დიდი გაჭირვება მაშინ შეგვახსენებს თავს, როცა საქართველო იმ საგარეო ვალების გადახდას შეუდგება, რომელიც ჯერ შევარდნაძემ მოახვია თავს ჩვენს გაუბედურებულ ქვეყანას, მერე კი მისმა აღზრდილ-გამოკვებილმა სააკაშვილმა!

როგორც იტყვიან, **“კვიცი გვარზე ხტის”** და როგორი **“ბედნიერი”** ქვეყანა შევარდნაძემ აგვიშენა, იგივე **“ბედნიერ”** მომავალს გვპირდება სიცრუისა და მზაკვრობის მორევში თავ-ფეხიანად ჩაფლული სააკაშვილი!

რომც არ მოგვსვლოდა **“მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის”** ანგარიში, ისე რა, არ ვიცით როგორ გაძვალტყავებულ და გაუბედურებულ ქვეყანაში ვცხოვრობთ, სადაც მხოლოდ ერთი მუჭა არაქართველები გრძნობენ თავს ბედნიერად?!

რა გასაკვირია, რომ არასრულფასოვან ერად შეგვაფასონ, თუ ყველასაგან მოძულებული სააკაშვილი და მისი დანაშაულებრივი გარემოცვა კვლავაც არჩევნების გაყალბებით მოახდენენ ხელისუფლების უზურპირებას და შემდეგ ჩვეული მანერებით შეეცდებიან საერთაშორისო საზოგადოების დარწმუნებას: ქართველერს იმდენად ვუყვარვართ, რომ ჩვენი ხელმძღვანელობის გარეშე სიცოცხლე ვერ წარმოუდგენიათო!

ამიტომ არის აუცილებელი მოქალაქეობრივი პრინციპულობის გამოჩენა!

სომეხი მეღვინეები ქართულ მხარეს სასამართლოთი ემუქრებიან

სომხეთის მეღვინეთა კავშირის თავმჯდომარე ავაგ არუთუნიანი ქართული მხარის ბრალდებებს **აბსურდულს** უწოდებს და აცხადებს, რომ მათი გაგრძელების შემთხვევაში **სომხეთი საკუთარი სიმართლის დასამტკიცებლად სასამართლოს მიმართავს** .

ასე გამოეხმაურა სომხური მხარე რამდენიმე დღის წინ ქართულ მედიასაშუალებებში გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ საფრანგეთში ქართული პროდუქცია (საფერავი, ჩურჩხელა, ხაჭაპური) სომხური ბრენდის სახელით იყიდება.

საფერავი ყურძნის ჯიშია, სადღეისოდ კი არავითარი საერთაშორისო დოკუმენტი არ მოიპოვება, რომელიც ყურძნის ამა თუ იმ ჯიშს რომელიმე სახელმწიფოს საკუთრებად აცხადებს. ხომ არ მოითხოვენ, მაგალითად, ფრანგები, რომ შარდონე მათ გარდა, არავინ აწარმოოს მხოლოდ იმიტომ, რომ შარდონე თეთრი ყურძნის ფრანგული ჯიშია?! >განაცხადა არუთუნიანმა.

გარდა ამისა, მისივე თქმით, **საფერავის** ჯიშის ყურძენი ათას წელზე მეტია, სომხეთის ჩრდილოეთით ხარობს და ჯერ კიდევ საკითხავია, პირველმა ვინ დაიწყო **საფერავის მოყვანა** > **ქართველებმა თუ სომხებმა?** .

თუ ქართული მხარე მომავალშიც გააგრძელებს თავისი აბსურდული თეორიების წამოყენებას, ჩვენ ძალიან იოლად, სასამართლო გარჩევის გზით შევძლებთ ჩვენი სიმართლის დამტკიცებას ,> აღნიშნა არუთინიანმა და აქვე დასძინა, რომ **ღვინოები კახეთი და მსხალი , მაგალითად, სომხური ყურძნის ჯიშებისგან მზადდება, რომლებიც საქართველოში საერთოდ არ ხარობს, მათი სახელწოდება კი საქართველოს გეოგრაფიულ სახელწოდებებს შემთხვევით ემთხვევა** .

მართლაც შემირცხვენია იმ ქვეყნის ხელისუფლება, რომელიც აგრერიგად გათავხედებული სომეხი მეკობრეების წინააღმდეგ კრინტს არ დაძრავს და შეარჩენს მათ ისეთ ამაზრზენ სიცრუეს, როგორიც ძირძველი ქართული პროდუქციის სომხურ **“ბრენდად”** გამოცხადებაა. განა სწორედ იმიტომ არ გადაიხადეს სან-ფრანცისკოელმა სომეხმა მილიონერებმა დიდძალი თანხა იმისათვის, რომ საქართველოს მართვის სადავეები ვიღაც უჯიშოებს ჩაეგდოთ ხელთ, რომელიც საკუთარ ტრადიციებსა და ეროვნულ პროდუქციას ხელაღებით მიუგდებდნენ საჯიჯგნად იმ სომეხ ვანდალებს, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ ყოველივე ლამაზი ქართულის მისატაცებლად. თუნდაც ის რად ღირს, რომ ვიღაც სომეხმა დეგენერატებმა და მათ მიერ მოსყიდულმა არაკაცებმა გერმანიაში გამოსცეს სომდერების კომპაქტ-დისკი სახელწოდებით **“ტაიგის მონატრება”,** სადაც **“ჩაკრულო”** და **“მრავალჟამიერი”** სომხურ სიმღერებადაა გამოცხადებული.

ჩვენი მეგობრები ხშირად გვსაყვედურობენ, რომ სომხების მიმართ წრესგადასულ სიმკაცრეს ვიჩენთ და დაუნდობელი კრიტიკის ქარცეცხლში ვხვევთ მათ. ეს კრიტიკა ჩვენი დაწყებული არ გახლავთ. შორეულ წარსულში ჯერ კიდევ ტაციტუსი წერდა, რომ **სომხები დასაბამიდან ორსახოვანი ერია,** რომელთა სიხარბე და მიმბაძველობის უნარი ყოველგვარ ფარგლებს სცილდებაო.

აბა, მითხარით, როგორ არ უნდა ვუპასუხოთ ისეთ ზნედაცემულ პიროვნებას, როგორიცაა სომხეთის მეღვინეთა კავშირის თავმჯდომარე ავაგ არუთინიანი, რომელიც ამტკიცებს, რომ ღვინოები **“კახეთი”** და **“მსხალი”** (მისი კომპეტენტურობა მეღვინეობის სფეროში იმითაც დასტურდება, რომ კლიენტურას სთავაზობს აქამდე არარსებულ ღვინოს **“მსხალი”**), სომხური ბრენდებიაო. რაზე უნდა ვედავოთ ვიღაც გადამთიელ უსახურ სომეხს, როცა ყველაზე დიდი სომეხი მიხეილ სააკაშვილის სახელმწიფოს სადავეში გვიზის (ურია ედუარდ შევარდნაძის ბუნძური გარიგების წყალობით) და ყველაფერს აკეთებს საქართველოდან ქართველების გადასახვეწად!

არ მეგულება ქართველი, რომელიც იტყვის, რომ **“სუჯუხი”** და **“ბასტურმა”** ქართული პროდუქციაა, იმიტომ, რომ ჩვენისთანა მდიდარი სამზარეულოს მქონე ხალხს არ გვჭირდება სხვისი უმი ხორცით დამზადებული პროდუქტის მითვისება. იმან იკითხოს, ვისაც არაფერი გააჩნია და სხვისი კულტურის მითვისებით სურს საკუთარი ფენომენის განდიდება. ასეთები კი სწორედ სომხები არიან, რომლებიც ყოველივე ძირძველ ქართულს გვედავებიან და ნაქურდალ-ნაოხრალით სურთ ფონს იოლად გასვლა. ასეთებად კი მთელ მსოფლიოს სწორედ სომხები მიაჩნიათ. განა მათზე არ სწერდა დიდი რუსი პუბლიცისტი ვასილ ველიჩკო **“სომხები უსინდისოდ ძარცვავენ ქართველებს და მათი ყოველი სიკეთის მიტაცებაში ბადალი არ გააჩნიათო”**.

ჩვენ მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ქალბატონ ვერა ქობალიასადმი, რომელმაც სავსებით ობიექტურად გამოხატა პროტესტი საფრანგეთში ქართული პროდუქციის სომხური მარკით რეალიზაციის გამო. იმედია, რომ ახალგაზრდა, ენერგიული მინისტრი ბოლომდე მიიყვანს ამ საქმეს, თუ, რა თქმა უნდა, სომეხმა სააკაშვილმა მიაყვანინა!

ისე კი, სიფრთხილეს გირჩევთ, ქალბატონო ვერა! სომხების სიცრუეში მხილება პირად შეურაცხყოფად არ მიიღოს სომეხმა სააკაშვილმა, თორემ...

ახლა კი ჩვენს იმ ერთგულ მკითხველსაც გვინდა ვკითხოთ, რომლებიც არ გვიწონებენ სომხების მიმართ ასეთ მკაცრ მიდგომას: რა ვქნათ, ღირსეული პასუხი არ გავცეთ იმ უსინდისო სომხებს, რომლებიც თავხედურად იჩემებენ ყოველივე ქართულს და ცდილობენ ჩვენი ეროვნული ღირსების დაკნინებას?

გაზეთი “ილორი”

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს ბატონ თ. გამყრელიძეს

ბატონო თამაზ,

მოგმართავთ მსოფლიოში უდიდეს მეცნიერს იმ იმედით, რომ დღეს ქართველი ერის წინაშე მწვავედ მდგარ პრობლემას თქვენ გადაჭრით და არ დაგვჭირდება უცხოეთიდან მეცნიერ-სპეციალისტთა მოწვევა.

უკანასკნელი გამოკვლევების შედეგად დგინდება, რომ ქართველი ერის ისტორია აშკარად გაყალბებულია და, სწორედ ამიტომ, მეცნიერთა გარკვეული ნაწილი, ცრუ დოგმების მიმდევარნი, გააფთრებული იბრძვიან ამ დოგმების საზოგადოების ცნობიერებაში მყარად დამკვიდრებისათვის, მიუხედავად იმისა, ბრწყინვალედ იციან მათს უსაფუძვლობაზე.

აშკარაა, რომ ლეონტი მროველის **ცხოვრება ქართველთა მეფეთა** იბერიული კვალის წასაშლელადაა დაწერილი, თორემ ამ თხზულების ავტორმა როცა იცის ქართველი ერის ისტორია ბუნდოვანია ძვ. წ. აღ-ის მე-VI საუკუნის წინარე ხანისა და ამას იყენებს იმისთვის, რომ სომეხი ერი წარმოადგინოს ქართლოსიანთა წინაპრად, რომ შემდგომ, შესაძლებლობის შემთხვევაში ჰქონდეს ჩვენს მშობლიურ მიწებზე პრეტენზიის წამოყენების, მორალური თუ არა, სამართლებრივ-კანონიერი უფლება მაინც. განა არ იცის რა ვერაგულად წაართვა (თუმცა დროებით) სომეხთა მეფემ – ტიგრან II იბერიას მშობლიური მიწები ძვ. წ. აღ-ის პირველ საუკუნეში, ამაზე ერთ სიტყვასაც რომ არ იმეტებს? განა არ იცის, რომ ძვ. წ. აღ-ის 331 წლიდან ახ. წ. აღ-ის 523 წლამდე არსებობდა იბერიის სახელმწიფო, რომლის შემადგენლობაში შედიოდა ქართლი (რომელიც ამ პერიოდის მანძილზე მუდამ ცდილობდა სპარსეთის წაქეზებით იბერიიდან გამოყოფას) და ჰეგემონი ეთნოსის სახელმწიფო ენად ვერ დაკანონდებოდა ქვეშევრდომის ენა, რომ ამას გვერდით უვლის და ერთი სიტყვითაც არ მოიხსენიებს იბერებს და იბერიას? ბავშვური გულუბრყვილობა არ არის, რომ ვირწმუნოთ ბოლოსართი **ხი** ქართველურ ენათა კუთვნილებაა და **სომეხი** ქართველთა წინაპარი იყოო, როცა, ქართველების გარდა, თვით **არმენებიც** არ უწოდებენ თავიანთ თავს **სომეხს**, ხოლო ამ ერს მრავალი საუკუნის განმავლობაში ისტორიულ წყაროებსა და სახელმწიფოებრივ დოკუმენტებში მხოლოდ **სომხებად** მოიხსენიებენ მხოლოდ ქართველები? თუ ოდესღაც არსებობდა იბერიული მოდგმის **სომეხი** ტომი, ის ტიგრან II დროისათვის, რა დროიდანაც მეფობენ სომეხი არშაკუნიანები **ქართლის ცხოვრების** მიხედვით ქართლში, გათქვეფილი იყვნენ არმენებში და ამ პერიოდში იბერიული მოდგმის **სომეხის** ჭაჭანება არ იყო. ე. ი. ტიგრან II დროის **სომეხი** ინდოევროპული მოდგმის **არმენი** გახლდათ და გამორიცხულია ეს არ სცოდნოდა **ქართლის ცხოვრების** ავტორს.

ადვილი მისახვედრია, რომ **ქართლის ცხოვრების** ავტორმა კარგად იცის ეგრისაფხაზეთის მეფის – თეოდოს II ისტორიული ნაბიჯი, რომელმაც ქართლის უფლისწული, თავისი დისწული – ბაგრატ III ბაგრატიონი 978 წელს ეგრის-აფხაზეთის მეფედ აკურთხა და 523 წლიდან დაშლილ იაფეტურ-იბერიული მოდგმის მოძმე ხალხთა გაერთიანება უსისხლოდ, დინასტიური გზით მოახერხა, მაგრამ ეს ისტორიული ფაქტი **„ოსტატურად“** გადააქვს ფარნავაზის ხანაში, როცა დასავლეთისა და აღმოსავლეთის იბერია ერთიანი იყო, ქართლი იბერიაში შედიოდა და თეოდოს II ისტორიულ ნაბიჯს არარსებულ **ქუჯის** აბრალებს, ხოლო ფარნავაზი, იბერიის მეფე, ქართლოსიანად და მცხეთის მამასახლისის ძმისწულად გამოჰყავს, რითაც ქართლელთა მდაბიურობას ხაზს უსვამს და ცინიზმსაც ვერ მალავს, როცა გაერთიანებული სამეფოს ტახტზე ასული **„მამასახლისის ძმისწული“** – ფარნავაზი დასავლეთ იბერიის (ეგრისის) მეფეს – **ქუჯის** (ფაქტიურად არარსებულს) რიონსა და ენგურს შორის ტერიტორიას უსაზღვრავს სამთავროდ. სინამდვილეშიც იბერები (ე. წ. მეგრელები) **ქართლის ცხოვრების** სომხურად დაწერის დროისათვის (1279-1311) დანარჩენ ტერიტორიაზე ქართულიზებული იყო. ასევე, აღსანიშნავია, რომ **ქართლის ცხოვრების** ავტორმა კარგად იცის იბერია-სომხეთის ომზე, როცა ტიგრან II მეფობის დროს სომხეთმა იბერიას წაართვა მიწები, მაგრამ ერთ სიტყვასაც არ იმეტებს, რადგან ამაზე სიტყვა რომ ჩამოაგდოს, ფარნავაზის დროიდან ვერც ქართული ენის სახელმწიფო ენად არსებობას დაამტკიცებს და ვერც სომხეთის კეთილმეზობლურად განწყობას ქართველების მიმართ. ამ ომის დამალვის ხარჯზე ახერხებს სომეხთა სამეფო დინასტიის – არშაკუნიანების გამეფებას ქართლში, სწორედ, ძვ. წ. აღ. I საუკუნიდან, ანუ ტიგრან II ეპოქიდან.

იბერთა და იბერიის არსებობის იგნორირების, ქართლელთა დაკნინების [თურმე ქართლელებს თავად-აზმაურობაც არ ჰყოლიათ, რომ არაფერი ვთქვათ სამეფო დინასტიაზე, და ქართლის მეფედ ითხოვენ სომეხ უფლისწულს – არშაკს, რომელიც **„ყოვლითა ნიჭით აღავსებს“** ქართველობას (ქ-ცა, 1955, გვ. 29)] და სომეხი ერის როლის ქართველი ერის ცხოვრებაში აგრერიგად გაზვიადების მიუხედავად, არავის მოსდის კითხვები: საიდანაა დაწერილი ნუსხები, ანასეული – XV საუკუნისა, ჭალაშვილისეული - XVI საუკუნისა, მარიამისეული – 1633-46 წლისა, თეიმურაზისეული – XVIII საუკუნის პირველი მეოთხედისა, დადიანისეული XVIII საუკუნის შუა წლებისა, და სომხური ხელნაწერი 1279-1311 წლისა? თუ ყველა ეს ნუსხები დედნიდანაა, სადაა დედანი? სომხური ხელნაწერი ხომ არ არის თვით დედანი **ქართლის ცხოვრებისა**? ან ლეონტი მროველისათვის ხომ არ არის დაბრალებული ამ თხზულების ავტორობა? რას გვიწოდებს სომხური ხელნაწერი – ვრაცებს, თუ ქართველებს?

ცხადია, ვრაც ნაწარმოებია ტერმინ **იბერიელი**-ს სომხური სახელიდან **იბერაც,** ევოლუციის შემდეგი გზის გავლით: **იბერაც – ივერაც – ივრაც – ვრაც.**

საინტერესოა, რა გააკეთეს იბერებმა ქართების საწინააღმდეგოდ ისეთი, რომ, მიუხედავად **ქართლის ცხოვრებისეული** გადმოცემა, **„თარგამოსმა სომეხთა ეთნარქს – ჰაოსს მისცა კავკასიის ნახევარი, უმჯობესი ნაწილი ქვეყნისა“** (ქ-ცა, 1955, გვ. 4) და **„ქართლოსანთა ენა ძვ. წ. აღ-ის VI საუკუნემდე სომხური იყო“** (იქვე, გვ. 16), დიდად სახიფათოა ქართველი ერისათვის [იხ. **„მოგზაურობა ახალქალაქში...“**, გ-თი **ასავალ-დასავალი,** 2009, 17-23 აგვისტო, №33 (778)], ისე გაუტკბა გადმოცემა **„ფარნავაზმა განავრცო ენა ქართული** (პერიფრაზი აქ და ზემოთ ჩვენია, კ. ფ.) **და არღა იზრახებოდა ქართლსა შინა სხვა ენა თვინიერ ქართულისა. და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“** (იქვე გვ. 26), რომ ქართველი მოღვაწენი არაფრად აგდებენ ამ საშიშროებას იმ წყენასთან შედარებით, რაც მათ იბერებმა მიაყენეს, სომეხთა ბატონობას არჩევენ და იბერიული კვალის წაშლას მიჰყვეს ხელი? არც იმ მოსალოდნელ კიხთვას და უხერხულობას ერიდებიან, რომ, თუ ქართული ენა ფარნავაზის დროიდან სამწიგნობრო და სახელმწიფო ენა იყო, 14 საუკუნის განმავლობაში რატომ დარჩა **მდაბიოთა ენად** იოანე პეტრიწამდე (1050-1125) (იხ. იონაე პეტრიწი, შრომები II, 1937, გვ. 220), როცა ისეთი პოტენციალის ყოფილა რომ იოანე პეტრიწიდან შოთა რუსთაველამდე, ერთ საუკუნეში, შეძლო მსოფლიოში ერთერთ კლასიკურ ენად ქცეულიყო? არსებობს კიდევ მრავალი კითხვა, რომელიც დიდ უხერხულებაში ჩააგდებს ლეონტი მროველის მიმდევრებს, მაგრამ, ვფიქრობთ, ესეც საკმარისია.

ცხადია, რომ ქართველი მეცნიერები შეგნებულად არიდებენ თავს ამ კითხვებს, მეცნიერებისთვის შეუფერებელ **ჩვენ ასე გვსურს**-ს შთაბეჭდილებას ტოვებენ და **არ ვიცნობთ**-ს ილუზიას ქმნიან ბგერების წარმოშობის მექანიზმებზე, რაც გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, საერთოდ, მეტყველების წარმოშობის საკითხის გადაჭრაში. ასევე თვალებს ხუჭავენ და ყურებს იხშობენ კაცობრიობის პირველი დამწერლობის ქართულისა და ასომთავრულის იბერიულ ნიადაგზე წარმოშობის გაგონებისას და ეროვნული წარმოშობის ლექსიკის ძირისეული ფორმების ჩასახვისა და განვითარების პროცესის კვლევაში გამოვლენილი ფაქტების წინაშე, რადგან, გარდა ე. წ. მეგრულისა (იბერიულისა), სხვა ენაზე ეს შეუძლებელია. ე. წ. მეგრული ენის ამ მონაცემებით შესაძლებელი ხდება ჩვენი საერთო სალიტერატურო ენის კაცობრიობის დასაბამთან დაკავშირება.

ამდენად, **ჩვენი საერთო სალიტერატურო ქართული ენა არის იაფეტურ-იბერიული განშტოებების - სვანურისა და ქართლურის ამ ძირისეულ ენასთან ისევ კონსოლიდაციით მიღებული ენა, ოღონდ უფრო გამარტივებული და დახვეწილი, სრულად გახმოვანებული და გრამატიზებული ახალი იაფეტურ-იბერიული ენა, ხოლო ე.წ მეგრული არის იგივე იაფეტურ-იბერიული ენა, ოღონდ კაცობრიობის დასაბამიდან მომდინარე, არქაული მონაცემების დღემდე მფლობელი ენა და ეს ორი, თითქოსდა, სხვადასხვა ენა სხვადასხვა ერის ენა კი არ არის, როგორც მავანთ სურთ იყოს, არამედ ერთიდაიმავე ერის ენაა, ოღონდ სხვადასხვა ეპოქისა.** მაგრამ ფაქტია, რომ თავიდანვე ქართველი მოღვაწენი წამოეგნენ ლეონტი მროველის **ცხოვრება ქართველთა მეფეთა**-ს ვერაგულ პროვოკაციას და შემდეგ მეცნიერების მნიშვნელოვანი ნაწილი თავიანთ შრომებს აგებს ამ მოგონილი თხზულების საფუძველზე, რაც ჩვენს საზოგადოებას და მომავალ თაობას აშკარად ხელს უშლის ჭეშმარიტების შემეცნებაში და მიზეზ-შედეგობრიობის შეუვალი კანონის ძალით, უეჭველად, გამოიწვევს ნეგატიურ შედეგს.

ზოგი მეცნიერის (ანანია ჯაფარიძე, ტარიელ ფუტკარაძე, თეიმურაზ გვანცელაძე, მანანა ტაბიძე) თვალსაზრისით, თუ სვანური და ე.წ მეგრული არ იქნება გამოცხადებული და დაკანონებული ქართული სალიტერატურო ენის კილო-კავებად, ე.ი თუ თავს არ მოვიტყუილებთ და ჩვენი საერთო სალიტერატურო ენის გულს – ე.წ მეგრულ (დასაბამიერ იაფეტურ-იბერიულ) ენას არ შევრაცხავთ კილო-კავად, თურმე, საერთო სალიტერატურო ენა და საქართველო დაიშლება და დავიღუპებით. ჩვენი აზრით კი, რამდენადაც ეროვნული წარმოშობის სიტყვების ძირისეული ფორმების ეტიმოლოგიას არკვევს მხოლოდ ე.წ მეგრული (იაფეტურ-იბერიული) ენა, მის გარეშე ჩვენი სალიტერატურო ენა იქნებოდა უცხო (სპარსულ-ბერძნულ-ლათინურ-სომხურ-არაბულ-თურქულ) ენათა კონგლომერატი, ხოლო ქართველი ერი უსაძირკვლო, სხვადასხვა ერის წარმომადგენელთა ნაზავი, რაც მტრული ძალების მიზანიცაა და ნამდვილად დაშლის ქართველ ერს.

ბატონო თამაზ, მახსოვს, 1984 წლის 6 ნოემბრის გაზეთ **კომუნისტში** წერდით: **„ქართველთა ეთნო-გენეტიკური პრობლემების უფრო ღრმად და ფართოდ შესწავლის მიზნით, ქართველურ ტომთა პრეისტორიული განვითარების ადეკვატური სურათის აღსადგენად საჭიროა ქართველური ენების მიმართ შესრულდეს იმავე ხასიათის სამუშაო, როგორც ეხლა ინდოევროპულ ენათ მიმართ არის შესრულებული. სათანადოდ გაანალიზდეს საერთო ქართველური ლექსიკა. ეს კი საშუალებას მოგვცემს უფრო სრულად აღვადგინოთ საერთო ქართველური სულიერი და მატერიალური სამყარო ჩვენი წინაპრებისა, რომლებიც ქართველურ ენაზე მეტყველებდნენ, რათა ღრმად და ფართოდ გამოვიკვლიოთ-ქართულ-ქართველური ტომების ჩამოყალიბების გზები“**. მართალია, ის სამუშაო, რაც მე ე.წ მეგრული ენის მიმართ შევასრულე, ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რაც თქვენ მიზნად დაუსახეთ ენათმეცნიერებს, მაგრამ ამ მოკრძალებული ნაშრომიდანაც ნათელია, რომ ე.წ მეგრული ენა-ესაა იგივე პროტოქართული, ანუ იაფეტურ-იბერიული ენა და მისი შერაცხვა ქართული ენის კილო-კავად და, საერთოდ, საზოგადოების ცნობიერებაში და ენათმეცნიერებაში ასეთად დამკვიდრება, სწორედ, ეს დაღუპავს ქართველ ერს. ამიტომაა თქვენი ჩარევა აუცილებელი.

შეიძლება, ჩემი ოპონენტები ჩემზე უკეთ მოქართულენი არიან და ჰგონიათ ჩემზე უკეთ იციან ქართული ენა. არა, არ იციან. არ გჯერათ? მაშ კარგი მეცნიერები არიან და ახსნან წმინდა ეროვნული წარმოშობის სიტყვების (ნათელი, ბნელი, თეთრი, თოვლი, სიყვარული, სიხარული, სიძულვილი, სირცხვილი და ა.შ.) ჩასახვისა და განვითარების გზა (ჩვენ 200 –მდე სიტყვა გვაქვს შესწავლილი). აბა, მასწავლებლები და ლექტორები არიან, ახსნან, თუნდაც, ერთი სიტყვის **მოძღვარი** ჩასახვის მომენტში მიღებული მნიშვნელობა და ჩამოყალიბებამდე განვითარების გზა. ვერა, ვერ შეძლებენ ე.წ მეგრული ენის ღრმად შესწავლის გარეშე. მე და ე.წ მეგრული ენა ამას ვახერხებთ. ჩემს ოპონენტებს ამის შესწავლა ეზარებათ და სურთ ე.წ მეგრული ენა-გლოტოგონიური ფენომენი, ყველა ენათა დედა ქართულის კილო-კავად აქციონ და ამით სიკვდილი მოუსწრაფონ მას, რადგან კილო-კავი და დიალექტი ძირისეული ენის განშტოებაა და გვიანდელი წარმონაქმნი. ამ ძირისეული ენის **კილო-კავად** შერაცხვით ისპობა მის უძველესობაზე წარმოდგენა და მისი, როგორც პროტოქართული ენის სიკვდილი ახლოვდება, რაც ქართველი ერის მტრების ოცნებაა.

ამის შემდეგ მათ უყვართ საკუთარი შვილები და სამშობლო? არა, არ უყვართ, მათ საქართველო შვილიშვილებისთვისაც არ ემეტებათ, თავიანთი სტომაქის ამოსაყორად სჭირდებათ მხოლოდ.

ბატონო თამაზ, ჩვენთვის ცნობილია თქვენი აზრი, მაგრამ მისი ოფიციალურად დაფიქსირებაა აუცილებელი. ამიტომ გთხოვთ წერტილი დაუსვათ აღნიშნულ მეცნიერთა გამოიშველურ საქმიანობას.

ჩვენ გვესმის, რომ ძალზე ძნელია (დრამატიულიცაა) მთელი შეგნებული ცხოვრების მანძილზე გაწეული შრომის შედეგის უარყოფა, მაგრამ ვისაც უყვარს საკუთარი შვილები და სამშობლო, თქვენი დასკვნის შემდეგ, თანდათანობით შეელევა ადრე ჭეშმარიტებად მიჩნეულ შეცდომებს და ტრაგიკულ შედეგს აარიდებს შთამომავლობას.

ჩვენ არ გვინდა შუღლი და უთანხმოება ქვეყანაში, მაგრამ გვინდა ვიცოდეთ რა დანაშაული მიუძღვის ჩვენს წინაპრებს – იბერებს მისივე მოდგმის ქართების წინაშე, რომ გასაწირად გვიმეტებენ, რომ მისმა მემკვიდრეებმა მაინც მოვინანიოთ წინაპართა ცოდვები, გაკვეთილად გამოვიყენოთ კატაკლიზმებით სავსე განვლილი ცხოვრება და ურყევი სიმტკიცით დავადგეთ ჭეშმარიტი ქრისტიანული ცხოვრების გზას.

პატივისცემით,

კუკური ფიფია,
“ფაზისის” აკადემიის წევრი

***P.S.** ვეთანხმებით რა, ბ-ნ კუკური ფიფიას მიერ დანახულ პრობლემებს და შეხედულებებს, მიგვაჩნია, საბოლოოდ უნდა დასრულდეს სიცრუისა და ბოროტების ზეიმი საქართველოში, უნდა შეწყდეს საპნის ბუშტებზე დაშენებული მაქინაციებით ფრენა და ჭეშმარიტად მტკიცე ნიადაგზე დავიწყოთ ჩვენი ქვეყნის მომავლის შენება. ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ, თქვათ თქვენი გადამწყვეტი სიტყვა არსებული პრობლემის გადასაჭრელად.*

უღრმესი პატივისცემით,

კლიმენტი შელია,
ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, მეცნიერების
დამსახურებული მოღვაწე
ვაშა ებრისელი,
მწერალთა, მეცნიერთა
და საზოგადო მოღვაწეთა
აკადემია “ქალდეას” პრეზიდენტი,
პოეტი-აკადემიკოსი,
ვახტანგ ხარჩილავა,
“საერთო გაზეთის”
მთავარი რედაქტორი
ლაშა ნადარეიშვილი,
გაზეთ “ასავალ-დასავალის” მთავარი
რედაქტორი,
რევაზ მიშველაძე,
პროფესორი
როლანდ ჯალაღანია,
ჟურნალისტი, გაზეთ
„ილორის“ მთავარი რედაქტორი
გიორგი სიჯინავა,
ჟურნალისტი, ჟურნალ “აიას” მთავარი
რედაქტორი
გივი ხაზალია,
ფილოსოფიურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

საქართველო (კოლხეთი) — კაცობრიობის ცივილიზაციის აკვანი

საქართველო (კოლხეთი) ჩვენი სამყაროს უპირველესი და უდიდესი ქვეყანაა

იბერიადა იწყება კოლხეთით, კოლხეთშია ქართული და მსოფლიო ცივილიზაციის სათავე

პროფ. ლევან სანიკიძე

(დასაწყისი "ილორი" კოლხეთს №97, 98, 100, 101)

ხოტუ (ჰოტუ) მატუა – აღდგომის კუნძულის პირველი მეფე

არსებობს მეცნიერთა მოსაზრება, რომ კანარის და მადეირის კუნძული დიდი ატლანტის კონტინენტის უკანასკნელი ნარჩენებია, რომელიც წინაისტორიულ ხანაშიც ატლანტიკის ოკეანეში აფრიკასა და ამერიკას შუა მდებარეობდა. მეცნიერები იმაზეც მიუთითებენ, რომ ამ კუნძულზე მცხოვრები ხალხი – **უანჩები** (ან **გუანჩები**) – ატლანტის ამ დიდი ხალხის უკანასკნელი შთამომავლები არიან, რომლებიც ცხოვრობდნენ ატლანტიდაზე და მათთან ერთად ოკეანის უფსკრულში დაიღუპნენ.

"უანჩები (გუანჩები) – ბედნიერი კუნძულის მკვდარი მოსახლეობაა, – წერს ვ. იანი, – რომელთა წარმოშობა აქამდე საიდუმლოებით არის მოცული, გარდა იმ შეხედულებისა, რომ უანჩები დაღუპული ატლანტელებიდან წარმოიშვნენ. არსებობს კიდევ ასეთი აზრიც – აგრძელებს – ვ. იანი, – რომ უანჩები უძველესი ეგვიპტელების და ჩრდილოეთ აფრიკაში მცხოვრები ბერბერების მონათესავეები უნდა იყვნენ". ისიც ცნობილია, რომ ჩრდილოეთ აფრიკაში მცხოვრები ბერბერები მეგრული ტომები არიან, რომ მათ მნიშვნელოვან ნაწილს შენარჩუნებული აქვთ ქართული ტრადიციები, ზნე-ჩვეულებანი, ადათ-წესები, ქართული ცეკვის მანერები და ქართულ-მეგრული სამზარეულო. **"უანჩებში შემორჩენილი სიტყვები ჩრდილოეთ აფრიკის ტომების ბერბერების სიტყვებს ჰგავს"**, ბერბერები თავისუფლად, გასაგები ენით ესაუბრებოდნენ უანჩებს. (ვ. იანი. **"ფინიკიური ხომალდები"**, 1967 წელი, გვ. 150-161).

ვ. იანს აღწერილი აქვს ფინიკიელთა მოგზაურობა გემით კარტ-ხადაშტიდან, რომ ამ მოგზაურობის მონაწილე მოხუცმა ბრძენმა ფინიკიელმა, თიხიდან ქოთნების ვაზების ფილების მომზადების და გამოწვის სპეციალისტს გაამზადებინა და გამოაწვევინა მრავალი თიხის ფილა, რომელშიც ჩაწერა ამ მოგზაურობის ისტორია. აღნიშნული ფილები მან **"გამოქვაბულში ჩაფლა, სადაც უანჩების წინაპრებს"** ეცხოვრათ.

მოხუცი ბრძენი ფინიკიელი თავის მონათხრობს ასე ამთავრებს: **"მთელი ჩემი სიცოცხლე ვეძებდი ხალხს, უსამართლოდ რომ არ ექცევა და არ ჩაგრავს სხვას – თავისზე სუსტს, და აი, მივაგენი მათ** (ლაპარაკია ურჩებზე, ბერბერებზე, ბერბერების მონათესავე მეგრულ ტომებზე – კ.შ.). **თუმცა დღითი დღე ძალ-ღონე მაკლდება. ოდესმე დადგება ბედნიერი დღე, ეს იქნება ერთი, ორი ან სამი ათასი წლის შემდეგ. მაშინ, რასაკვირველია, ხალხთა შორის ომი აღარ იქნება, აღარ იქნება მონობა, ძალადობა და მკვლელობა. ხალხი შეისწავლის ქვეყნიერებას. გათხრიან მიწას, რომ გაიგონ რა არის მის წიაღში, მაშინ იპოვნიან ჩემს ფილებს, წაიკითხავენ და გაიგებენ, როგორ უსამართლოდ და უნუგეშოდ ცხოვრობდა ხალხი ჩვენს დროში და რა ძნელი იყო ბედნიერი ცხოვრების მოწყობა"** (ვ. იანი. **"ფინიკიური ხომალდები"**, 1967 წელი, გვ. 3-4).

უფრო კონკრეტულად, ვასილ გრიგორის ძე იანის წიგნში **"ფინიკიური ხომალდი"**, რომელიც თარგმნა თინათინ ჯავახიშვილმა, აღწერილია: სიძველეთა მოყვარულმა ვიქტორ მარტინმა, მცირე აზიაში, საიდში გათხრების დროს პატარა ბიბლიოთეკა იპოვნა. ამ ადგილას ოდესღაც ფინიკიური ქალაქი სიდონი მდებარეობდა. ნაპოვნი **"წიგნები"**, თანაბარი ზომის უამრავი თიხის ფილებისაგან შედგებოდა; ფილებზე ასოები იყო გამოხატული. წიგნები დაწერილია სამი-ოთხი ათასი წლის წინათ.

მეცნიერებმა ამოიკითხეს და თარგმნეს ფილებზე ნაწერი უძველესი სამედიცინო, ასტროლოგიურ და ისტორიულ თხზულებათა ნაწყვეტები, მათ შორის წააწყდნენ ზღვაოსნის დეტალურ ჩანაწერებს, რომელიც მეზღვაურმა სხვადასხვა ზღვებზე მოგზაურობის დროს საკუთარ თავზე გადამხდარი საოცარი ამბები, საოცარი ისტორია აღწერა. ისინი, სწორედ ეს ჩანაწერები დაედო საფუძვლად ვ. იანის რეალურ ისტორიას. (ვ. იანი. **"ფინიკიური ხომალდები"**, 1967 წელი, გვ. 3-4).

მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ **"უანჩები** (გუანჩები) **ბედნიერების კუნძულის მკვიდრი მოსახლეობაა"**. რომ ამ კუნძულზე მცხოვრები **"უცნაური ხალხი – უანჩები"** ატლანტის დიდი ხალხის უკანასკნელი შთამომავლები არიან, რომლებიც ცხოვრობდნენ ატლანტიდაზე და მათთან ერთად ოკეანის უფსკრულში დაიღუპნენ (ვ. იანი. **"ფინიკიური ხომალდები"**, 1967 წელი, გვ. 161-162). უანჩების რამდენიმე შემორჩენილი სიტყვა ჩრდილოეთ აფრიკის ტომების, განსაკუთრებით კი ბერბერების სიტყვებს ჰგავს (ამიტომაც, რადგან ბერბერები მეგრული ტომებია, უანჩებიც მეგრელი, ანუ მათი მონათესავე ტომებია). **"უანჩი მამაკაცნი მაღალი, ახოვანნი და ძლიერები იყვნენ. ისინი მამაცურად იბრძოდნენ და თავგანწირვით იცავდნენ თავის სამშობლოს, როდესაც თავს ესხმოდნენ მეკობრეთა ბანაკები. შემდეგ: ბიგვაიამ** (ბიგვამ-ბიგვავა უძველესი მეგრული გვარია – კ.შ.) **ბერბერულად დაუწყო ლაპარაკი უანჩს"** (მსგავსი მაგალითები მრავლად აქვს მოტანილი ვ. იანს თავის შრომებში).

XV საუკუნის დასაწყისიდან კანარის კუნძულებს ესპანელები მიაწყდნენ, რომლებთან ბრძოლაში მრავალი უანჩი დაიღუპა, ზოგი მონებად გაიხადეს, დანარჩენებმა კათოლიკური სარწმუნოება მიიღეს და ესპანელებს დაუნათესავდნენ. ამიტომ დაიკარგა უანჩების ტომის ყოველი კვალი. ამჟამად ამ კუნძულებზე ესპანურ ენაზე ლაპარაკობენ (იანი წერს: **"იბერიას იმ დროს ესპანეთს ეძახდნენ"**).

(გაგრძელება იქნება)

კორუფციასთან ბრძოლა მიშას მეთოდებით

ტელევიზიით თითქმის ყოველდღე გვიჩვენებენ, როგორ დააკავეს ამა თუ იმ უწყების ხელმძღვანელი კორუფციის ფაქტზე და გვაჯერებენ, რომ **''ვარდების რევოლუციის''** შემდეგ საქართველოში შენობების მსგავსად ხელისუფლების საქმეებიც გამჭირვალე გახდა, მაგრამ საქინფორმის ჟურნალისტს თბილისის ერთ-ერთი სახელმწიფო საბავშვო ბაღის მშობელმა რადიკალურად განსხვავებული ამბავი უამბო:

„არ მინდა დავასახელო ბაღი და ჩემი ვინაობა, ჩემს შვილს კიდევ ერთი წელი დარჩა იქ სასწავლი, მაგრამ აღშფოთებული ვარ, ყოველ დღე იმას მეუბნებიან, კორუფცია ამოვძირკვეთო და, ბაღებსა და სკოლებში რაც ხდება, დავიჯერო, არ იციან? თუ ამას კორუფცია არ ჰქვია? საახალწლოდ მასწავლებლებს ჩვენივე სურვილით მშობლებმა მცირედი საჩუქარ გავუკეთეთ, რაზეც ბაღის თანამშრომელმა დამირეკა (რადგან მე ვხელმძღვანელობდი ამ საკითხს) და ძალიან გაბრაზებულმა მითხრა, იცი ჩვენს ბაღში ასე არ ხდება, საჩუქარი მასწავლებელს რომ უყიდე, რა, დირექტორს არ უნდაო? თან ისეთი ტონით მეკითხებოდა, მეგონა, ახლოს რომ ვყოფილიყავი, ხელითაც შემეხებოდა. იგი საჩუქარს, ასევე, მუსიკის მასწავლებლისთვისაც მთხოვდა, რომელიც, როგორც აღმოჩნდა, მისი შვილია, თვითონ კი მომმარაგებლად მუშაობს. ნამდვილად ვერ ვხვდები, დირექტორსა და მუსიკის მასწავლებელს საჩუქარი რატომ უნდა ვუყიდოთ, მითუმეტეს მუსიკაზე ჩემი შვილი საერთოდ არ დადის და, რომც დადიოდეს, წრეები ბაღში ფასიანია და იგი ამაში ხელფასს იღებს. ერთი დასკვნა გამოვიტანე - დირექტორს საჩუქარი მარტო იმიტომ უნდა გავუკეთოთ, რომ საჩუქრების ჩუქება არ აკრძალოს მასწავლებლებისთვის და თვითონაც წილში გავიდეს. როგორც მერე გაირკვა, თურმე დირექტორს მოჭრილი თანხაც ჰქონია დაწესებული, თითოეულმა ჯგუფმა ზეიმზე მას 30, ხოლო მუსიკის მასწავლებელს 15 ლარი უნდა მიუტანოს, ეს ჩემთვის მიუღებელია, მასწავლებლებს ყველა მშობელი პატივისცემის ნიშნად ვჩუქნით სიმბოლურ საჩუქარს და არა ფულს, თუმცა ვალდებული არც ვართ. ვერ ვხვდები, რა შეიცვალა ''ვარდების რევოლუციის'' შემდეგ, რომელი კორუფციის მოსპობაზეა საუბარი და რაც ყველაზე მთავარია, უკვე საკმაოდ მოხუცებული დირექტორი იმიტომ ბედავს ამდენს, რომ მისი შვილი გიგი უგულავას ბავშვობის ძმაკაცია და კაბინეტშიც უკიდია მერის სურათი. არადა, უგულავა სწორედ იმ ხელისუფლების წევრია, რომელიც მისი ასაკის ადამიანებს მუშაობის საშუალებას არ აძლევს და თინეიჯერებით ანაცვლებს გამოცდილ ადამიანებს“.

სოფლის მეურნეობის მთავარი პრობლემა

ქართული სოფლის მეურნეობის მთავარი პრობლემა ამ დარგში მთავრობასა და ინვესტორებს შორის შეთანხმებული სტრატეგიის არარსებობაა. ამ განცხადებას „ფაინენშელთან“ ინტერვიუში ამერიკის სავაჭრო პალატის ხელმძღვანელი აკეთებს.

გამოცემა ბიზნეს წრეების წარმომადგენლებთან იმის გარკვევას ცდილობდა, რა განაპირობებს საქართველოს სოფლის მეურნეობის არაკონკურენტუნარიანობას და რატომაა ქართული სოფლის მეურნეობის პროდუქტები ძვირი. დევიდ ლის განმარტებით, ყველა ქვეყანაში, სადაც სოფლის მეურნეობის სექტორი ეკონომიკის წამყვანი დარგია, სახელმწიფო ფერმერების მხარდაჭერის კუთხით წამყვან როლს ასრულებს.

კრიზისების აცილების საერთაშორისო ცენტრი საქართველოს რთულ მომავალს უწინასწარმეტყველებს

ბრიუსელში არსებული კვლევითი ცენტრის - კრიზისების აცილების საერთაშორისო ჯგუფის **(International Crisis Group - ICG)** მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის თანახმად ორიოდე წელიწადში საქართველო დიდი გამოწვევების წინაშე დადგება. ანგარიშში აღნიშნულია, რომ ეს, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია საქართველოს დამოკიდებულებით იმპორტსა და უცხოურ ფულად შემოდინებებზე.

„საქართველოს საგარეო ვალი 2008 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის 21%-დან 2009-ში 31,4%-მდე, ხოლო 2010-ში 38%-მდე გაიზარდა. ეს მაჩვენებელი, ანგარიშის მიხედვით, 2011 წელს, სავარაუდოდ, 43.2% მიაღწევს,“ - ნათქვამია დოკუმენტში.

ანგარიშის თანახმად, საგარეო ვალის ნაწილის დაფარვის ვადა 2012-2013 წლებზე მოდის, რამაც, შესაძლოა, კიდევ უფრო გაზარდოს საგარეო ვალი, რადგან ხელისუფლება უკვე განიხილავს დამატებითი ევროობლიგაციების გამოშვებას, რათა არსებული ვალის ნაწილი დაიფაროს.

დოკუმენტში, ასევე, საუბარია, რომ ხელისუფლება შემოსავლების გაზრდას საგადასახადო ადმინისტრირების გამკაცრებითა და ჯარიმების დაწესებით ცდილობს.

თბილისში დასუფთავების მოსაკრებელი ორზე მეტჯერ იზრდება

დასუფთავების მოსაკრებელი იზრდება და 2011 წლიდან 2.50 ლარი გახდება, რაც ახლანდელ 1.20 ლართან შედარებით 1.30 ლარით მეტია.

ეს გადაწყვეტილება თბილისის საკრებულოს სხდომაზე 27 დეკემბერს მიიღეს.

მერიის დასუფთავების სამსახურის უფროსმა **ტარიელ ხიზანიშვილმა** განაცხადა, რომ ფასების ზრდა ხელს შეუწყობს თბილისში სისუფთავის დონის გაზრდასა და გაუმჯობესებას (შეუწყობს თუ არა ეს გაძვირება ხელს ქალაქის ისედაც დამშეული მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობას, ამაზე ხიზანიშვილს არაფერი უთქვამს. ალბათ მან არ იცის, რომ ადამიანებს სისუფთავეში შიმშილით სიკვდილს მაინც ნაგავში სიცოცხლე ურჩევნიათ. ნაგავი კი, მით უმეტეს – პოლიტიკური საქართველოს არასოდეს დაჰკლებია და არც მომავალში დააკლდება, რამდენადაც არ უნდა გაიზარდოს დასუფთავების მოსაკრებელი – **"ილორი"**).

როგორც საქინფორმის კორესპონდენტს ქალაქის მერიიდან აცნობეს, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ადამიანები, რომლებსაც 100 000 ქულაზე ნაკლები გააჩნიათ, 50-პროცენტიანი შეღავათით ისარგებლებენ.

მურად ალაშვილი

მეგობრებო გვეხმაურებიან

გაზეთ **"ილორის"** რედაქციას!

უდრმეს მადლობას მოგახსენებთ ესოდენ დიდი პატივისცემისათვის, რაც გამოიხატება გაზეთის ჩვენთვის რეგულარულად გამოგზავნაში. ჩვენი ოჯახი **"ილორის"** ერთგული მკითხველია. უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს თქვენი გაზეთის მეშვეობით მიღებული ფასეული, საინტერესო და მეტად ღრმა სულიერების მატარებელი სტატიები. ამას წინათ მეგრული ენის წარმომავლობაზე წაკითხულმა სტატიამ პოეტ ვახტანგ ხარჩილავას ლექსის ბოლო სტროფები გამახსენა: **"უკიდებს ბატონი ყალიონს, და ელის ლაზარს აღდგინებას".**

თქვენისთანა მადლიანი ადამიანების წყალობით ჩვენი ქვეყნის ულამაზესი კუთხის – სამეგრელოს უნიკალურ ენას – მეგრულს მართლაც აღდგინება უწერია!

პატივისცემით,

ნათია სიჯინავა

„ილორი“-ს მთელს რედაქციას სულითა და გულით ვულოცავ შობის ბრწყინვალე დღესასწაულს!

მოგილოცავთ **„ილორის“** მე-100 ნომრის გამოსვლას და გისურვებთ წარმატებებს ჩვენი სამშობლოს გადასარჩენად და სადიდებლად თქვენს შეუპოვარ ბრძოლაში!

პატივისცემით,

კუკური მეტრეველი

სამეგრელო დავით დადიანის დროს

ჩვენს მკითხველებს ვთავაზობთ ნაწყვეტებს ცნობილი ქართველი მწერლისა და მეცნიერის იონა მეუნარგიას მიერ 1939 წელს გამოცემული წიგნიდან "სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი".

ლევანის გარდაცვალება. დავითის წერილი ნიკოლოზ I-თან. დავით დადიანის ტახტზე ასვლა. ინვესტიტურა.

ამის შემდეგ დავით დადიანი იყო სრულის უფლებით აღჭურვილი სამეგრელოს მთავარი, თუმცა სანამ მამა მისი ცოცხალი იყო, ის ამის შემდეგაც იწოდებოდა სამეგრელოს მემკვიდრე-მმართველად. როგორც თინათინს, რომელსაც როსტევანმა გადასცა თავისი ტახტი, აკლდა **"მართოდენ კეისრობა"**, ისე დავით დადიანს, რომელსაც მამა მისმა დაუთმო მთავრობა, აკლდა მართოდენ მთავრის სახელი, მთავრობა.

სამეგრელოს მმართველად დავით დადიანი იჯდა მამა მისის ტახტზე 1840 წლიდამ 1846 წლამდე. ამ წელს სოფელ აბასთუმანს (სოფელი ზუგდიდის რაიონში, ამჟამად იწოდება ძველ აბასთუმნად, სადაც სააგარაკო სახლი ჰქონდათ სამეგრელოს მთავრებს – რედ.) გარდაიცვალა მთავარი ლევან დადიანი და თანახმად მთავარ-მართებლის თავ. ვარანცოვის წარდგინებისა, 4 დეკემბერს 18436 წელს ხელმწიფე იმპერატორმა ნიკოლოზ პავლესძემ მემკვიდრე-მმართველი დავით დადიანი დაამტკიცა სამეგრელოს მთავრად.

ლევან დადიანი რა გარდაიცვალა, მისმა მემკვიდრემ შემდეგი წერილი მისწერა ხელმწიფე იმპერატორს მთავარ-მართებლის თავად ვარანცოვის საშუალებით:

უქვეშემრდომილესი წერილი თავადის დადიანისა 1846 წლის აგვისტოს 8-დღესა.

"ჩვენს ოჯახსა ზედა განრისხებულსა მამა ზეციერსა ენება წარსულ ივლისის 30-ს ამიერ ჩათვლით წარეყვანა ჩემი ძვირფასი მშობელი და კეთილისმყოფელი, ხოლო თქვენის იმპერატორებითის უმაღლესობის ერთგული ქვეშემრდომი. შევუდექი რა სამეგრელოს მართვას თანახმად 1831 წლის მაისის 30-ს თქვენი იმპერატორებითის უმაღლესობის მიერ უმოწყალესად ბოძებულ ღრამოტისა, ბედნიერად ვთვლი ჩემს თავს შევუვრდე პატივსაცემელ ფერხთა თქვენთა, უუმოწყალესო ხელმწიფეო, და განგიცხადოთ ჩემი უქვეშემრდომილესი ერთგულება. მსგავსად ჩემის ღვთივგანსვენებულის მშობლებისა, თავმდებად დავიყენებ უზენაეს გამჩენს, რომ ურყეველად ერთგული და თავდადებული ვიქნები ტახტისა და თქვენის წმინდა გვარისა, აგრეთვე ღვთისა და თქვენის იმპერატორობითის უმაღლესობის მიერ ჩაბარებულ სამეგრელოს ხალხისა. მიგვიღეთ, ხელმწიფეო, მე და თქვენი ერთგული და თქვენთვის თავდადებული მეგრელები თქვენის უმაღლესობის საფარველის ქვეშ და ნება გვიბოძეთ ჩემი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე მოწიწებით მაქვნდეს ბედნიერება ვიყო თქვენი იმპერატორობითის უმაღლესობის, უმოწყალესის ხელმწიფის, ერთგული ქვეშემრდომი".

ეს წერილი მთავარ-მართებელმა თავ. ვარანცოვმა წარუდგინა ხელმწიფე იმპერატორს შემდეგის რაპორტით:

უქვეშემრდომილესი რაპორტი თავადის ვარანცოვისა 1846 წელს აგვისტოს 28 დღესა, №664 კისლოვოდსკით.

"წარსულ ივლისის თვის 30-ს გარდაიცვალა სამეგრელოს მთავარი ლევან დადიანი. მისმა უფროსმა შვილმა, დავითმა შემატყობინა, რომ იგი შეუდგა სამეგრელოს მართვას თანახმად თქვენის იმპერატორობის უმაღლესობის მიერ 1831 წლის მაისის 30-ს ბოძებული ღრამოტისა და მთხოვს თქვენს ფერხთა ქვეშე შევუვრდო, უუმოწყალესო ხელმწიფეო, თავისი და მისი ხალხის უქვეშემრდომილესი ერთგულება და თქვენს იმპერეტორობითს უმაღლესობას მივართვა მისი წერილი.

ვასრულებ თავადის დადიანის სურვილს და წმინდა მოვალეობადა ვთვლი დავსძინო, რომ თავის მამის ხანგრძლივის ავადმყოფობის დროს დიდი ხანია მართავდა სამეგრელოს და არ მეპარება ეჭვი მისი ერთგულება თქვენის იმპერატორობითის უმაღლესობის ტახტისადმი და ის უქვეშემრდომილესი გრძნობანი, რომელთაც ის გამოთქვამს".

ამის პასუხად მთავარ-მართებელს თავად ვარანცოვს მოუვიდა ჩერნიშევისაგან შემდეგი წერილი.

წერილი თავად ჩერნიშევისა თავად ვარანცოვთან 1846 წელს დეკემბრისს 4-ს №1750.

"ხელმწიფე იმპერატორმა, თქვენის ბრწყინვალების ოქტომბრის 16-ის №1003 მოხსენება რომ მივართვი, უმაღლესად კეთილნება დაემტკიცებია ამ წერილთან ერთად პროექტი საინვესტიტურო გრამოტისა სამეგრელოს მთავრის თავად დადიანისათვის.

ამის შესახებ მე მოვახსენე საგარეო საქმეთა სახელმწიფო კანცლერს.

ახლა გრაფ კარლ ვასილის ძისგან მივიღე ნამდვილი გრამოტა ოქროს ფარჩის ყდაში ჩასმული. ეს გრამოტა ნოემბრის 30-ს ღირსიქმნა უმაღლესის ხელისმოწერისა, დაეკრა სახელმწიფო ბეჭედი და ჩაედვა ოქროცურვილ ვერცხლის კიდობანში. მე პატივი მაქვს ეს გრამოტა თქვენს ბრწყინვალებას გამოვუგზავნო, რათა მიართვათ თავად დავით დადიანს, და უმორჩილესად გთხოვთ პატივი მცეთ და მისი მიღება მაცნობოთ.

ამ პასუხთან ერთად თავად ვარანცოვს მოუვიდა ხელმწიფისაგან დამტკიცებული ინვესტიტურის გრამოტა დავით დადიანის სახელზე, რომლის პროექტი თვით ვარანცოვისაგან იყო შედგენილი.

სამეგრელოს უკანასკნელი მთავარი
დავით დადიანი

აი თვით ეს გრამოტა, რომლის დედანი ინახება დღეს სამეგრელოს თავადის კაბინეტში" (ი. მეუნარგიას ხელით დედანში ამავე თავის პირველ გვერდზე მიწერილია **"აკლია ინვესტიტურის გრამოტა"**. მაშასადამე ეს ინვესტიტურა აქ უნდა იყოს ჩართული, რაიც ავტორს შეუსრულებელი დარჩენია. ჩვენ თუმცა მივმართეთ სამეგრელოს მუზეუმს, სადაც დაცულია ეს **"სამეგრელოს თავადის კაბინეტი"** მაგრამ აღნიშნული დოკუმენტი ჯერჯერობით იქ არ აღმოჩნდა – ს.ც.).

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეგრისის სამეფო და ქართული სახელმწიფოებრიობა

გთავაზობთ ნაწყვეტს აკადემიკოს
***ანზორ შოენიას** ამავე სახელწოდების*
წიგნიდან
(დასაწყისი №№ 91, 92, 93, 94, 95, 96, 98)

სხვათა შორის, XII საუკუნიდან მოყოლებული, აფხაზთა ერისთავები, შემდგომში მთავრები, უცვლელად იყვნენ ლაზური წარმომავლობის დიდებულები, მათი გვარია **"შარაშია"**, რომელმაც, შემდგომში (დაახლოებით XIX საუკუნე) მიიღო ფორმა შერვაშიძე. ვფიქრობ, რომ დადიანების პირვანდელი გვარიც ბადვაში უნდა ყოფილიყო.

ყოველ შემთხვევაში, ერთიანი საქართველოს ეპოქაში ლაზი დიდებულები მეტად აქტიურად მონაწილეობდნენ სამეფოს ცხოვრებაში. ქართული სინამდვილედან ლაზების ერთგვარ გაუცხოებას სათავე დაუდო შემდეგმა მოვლენამ: 1203 წელს თამარ მეფემ ლაზიკის იმ ნაწილში, რომელიც მცირე აზიის ჩრდილოეთით, დაახლოებით დღევანდელი ლაზისტანის ტერიტორიაზე მდებარეობდა, დააარსა **"ტრაპიზონის იმპერია"**.

ეტყობა, ეს პოლიტიკური სიტუაციით იყო განპირობებული; მაგრამ ამ მოვლენამ ორად გაყო ლაზიკის საერისთავო და, ფაქტობრივად, ამის შემდეგ ის აღარ იხსენიება საქართველოს ისტორიაში. მისი სამხრეთი ნაწილი ტრაპიზონის სახელმწიფოში აღმოჩნდა, ხოლო ჩრდილო ნაწილი, – დღევანდელი გურიისა და აჭარის ტერიტორია,– დასავლეთ საქართველოს **"უცილოდ"** პატრონის, ვარდან დადიანი მფლობელობაში დარჩა.

ამ ეპოქიდან ჩანს გურია, როგორც საერისთავო, მის შემადგენლობაში იყო აჭარის ტერიტორიაც, ვინაიდან აჭარა მაშინ ადმინისტრაციული ერთეული არ იყო. იმ დროიდამ გურიის ერისთავებად, შემდგომში მთავრებად, უცვლელად იყვნენ ვარდან დადიანის შთამომავლები, რომლებიც "დადიან-გურიელებად იწოდებოდნენ".

მართალია, ტრაპიზონის იმპერია თამარ მეფის ქვეშემრდომი ქვეყანა იყო, მაგრამ ეტყობა, იქ **"ქართიზაციის"** პროცესი არ ყოფილა, ხოლო ტრაპიზონის იმპერიის ოსმალეთის იმპერიის საზღვრებში მოქცევის შემდეგ ლაზიკის ეს ნაწილი საქართველოს მოწყდა.

სამწუხაროდ, იქ მცხოვრები ლაზები (ჭანები) ისე დაშორდნენ მშობლიურ ხალხს, რომ ვერ მოასწრეს ზოგადეროვნული ცნების **"ქართველის"** გათავისება, ვფიქრობ, ეს სწორედ იმის შედეგია, რომ დღეს ლაზებს ეჭვი ეპარებათ თავიანთ ქართველობაში, მაშინ, როდესაც ლაზებს არც ერთი სხვა კუთხის ქართველებზე ნაკლები პრეტენზია არ უნდა ჰქონდეთ ჭეშმარიტი ქართველობისა.

ამდენად, ლაზიკა ეგრისის სამეფოს ერთ-ერთი პროვინციალ იყო და ლაზები ისეთივე მეგრელები არიან, როგორც სამეგრელოს ნებისმიერი რაიონის მკვიდრები. ლაზების სამეტყველო ენა მეგრულია, უფრო სწორად, მეგრული ენის კილო-კავი. სამწუხაროდ, ეს არ იციან არა თუ ლაზებმა, რომლებიც საუკუნეებია მოწყვეტილი მშობლიურ ხალხს, არამედ ბევრმა ქართველმაც, რაც, რა თქმა უნდა, ამ პრობლემის გარშემო ჩვენი მეცნიერების ერთგვარი **"დიდი დუმილის"** შედეგიც შეიძლება იყოს...

...ეგრისის სამეფოში ქრისტიანული რელიგია გავრცელდა I-II საუკუნეებში და აფხაზებიც ამ ეპოქიდან მოყოლებული ჭეშმარიტი ქრისტიანები არიან. უძველესი აფხაზების უშუალო შთამომავლები არიან დღეს აფხაზეთში მცხოვრები მეგრელები, ასევე სუფთა მეგრული გვარის მქონე მათი შთამომავლები, რომლებიც აფხაზებად იწერებიან...

...როგორც ზემოთ აღვნიშნე, ერთიანი საქართველოს დაშლის შემდგომ (XV საუკუნე) დასავლეთ საქართველოში, ყოფილი ეგრისის სამეფოს ტერიტორიაზე, წარმოიქმნა იმერეთის სამეფო. მართლია, მას თითქოს მთელი დასავლეთი საქართველო უნდა დამორჩილებოდა, მაგრამ ფაქტობრივად იმერეთის ბაგრატიონების მფლობელობაში აღმოჩნდა ეგრისის სამეფოს აღმოსავლეთი ნაწილი – მარგვეთის საერისთავო, მოხირისი (დაახლოებით დღევანდელი სამტრედიის ტერიტორია), ქუთაისის შემოგარენი (სამოქალაქო) და რაჭის საერისთავო.

ამავე საუკუნეში ლაზიკის საერისთავოს ის ნაწილი, რომელიც მდებარეობდა მცირე აზიაში, ოსმალეთის იმპერიის საზღვრებში აღმოჩნდა.

ყოფილი ეგრისის სამეფოს დანარჩენ ტერიტორიაზე, სადაც ძირითადი მოსახლეობა ისევ მეგრული იყო, ჩამოყალიბდა სამეგრელოს სამთავრო, რომლის შემადგენლობაში დარჩნენ გურიის, ოდიშის, ლეჩხუმისა და აფხაზეთის საერისთავოები. XVI საუკუნეში სამეგრელოს სამთავროსაგან გამოცალკევდა გურიის საერისთავო, ხოლო XVII საუკუნის დასაწყისში აფხაზეთის საერისთავო, რომლებსაც შემდგომში სამთავროებად მოიხსენიებდნენ. აჭარა ჯერ კიდევ გურიას ეკუთვნოდა.

სამეგრელოს მთავრები, დადიანები, მეტნაკლებად შეურიგდნენ უფლების დაკარგვას ამ ტერიტორიაზე, რომელიც იმერეთის სამეფოს საზღვრებში აღმოჩნდა, ვინაიდან ისინი ერთგვარად სცნობდნენ ბაგრატიონის უფლებებს დასავლეთ საქართველოზე, მაგრამ კატეგორიულად წინააღმდეგნი იყვნენ გურიისა და აფხაზეთის საერისთავოების დაკარგვისა, რამაც გამოიწვია აშკარა დაპირისპირება სამეგრელოსა და გურია-აფხაზეთის სამთავროებს შორის.

აფხაზეთის ერისთავებმა, შარაშიებმა (იგივე შერვაშიძეებმა) დადიანისგან თავის დასაცავად მიიღეს გარკვეული ზომები – თითქმის ნებაყოფლობით შევიდნენ თურქეთის მფლობელობაში და, ამასთანავე, დაიწყეს ჩრდილო კავკასიიდან სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლების ჩამოსახლება, რომლებსაც მეომარ ძალად და დამხმარე მუშებად იყენებდნენ...

...ცნობილია, რომ XIX საუკუნის 60-იან წლებში ხალხი იძულებით მიდიოდა საქართველოდან თურქეთში, მათ შორის აფხაზეთიდანაც, რაც **"მაჰაჯირობის"** სახელითაა ცნობილი. ეს იმით იყო განპირობებული, რომ ქართველები ვერ შეეგუენ რუსულ რეჟიმს. რამდენი კაცი წავიდა აფხაზეთიდან, სხვა საკითხია, მაგრამ აფხაზეთიდან თურქეთში ძირითადად წავიდნენ აფხაზეთში მცხოვრები მეგრელები, რომლ;ებიც ჯერ კიდევ აფხაზებად იწოდებოდნენ, ხოლო აფხაზეთიდან არ წასულა არც ერთი ჩერქეზულ-ადიღეური მოდგმის კაცი, არც ბერძენი და არც სომეხი. თუ რომელიმე ჩრდილო კავკასიელი წავიდა აფხაზეთიდან, ისინი იქ დღემდე თავიანთი სახელით მოიხსენიებიან და არა აფხაზებად...

...როგორც ქართველებს გვჩვევია, დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენ ყველაზე კარგები ვართ, ყველაზე ჭკვიანები, ყველაზე სამართლიანები, ყველაზე ტოლერანტულები, ყველაზე ძლიერი პოლიტიკოსები და ა.შ. ამიტომ თითქმის გამორიცხულია ვაღიაროთ ჩვენს მიერ დაშვებული შეცდომები, არადა, დროა ხალხი სწორად იყოს ორიენტირებული, ვინაიდან არც შემდგომში ვართ დაზღვეულები იმისთანა საშინელი მოვლენისაგან, როგორიც აფხაზეთში მოხდა.

ამდენად, ქართველ ხალხში არსებულმა არასწორმა წარმოდგენამ სამეგრელოზე, მეგრელებზე და მათ ეროვნულ ორიენტაციაზე აშკარად უარყოფითი როლი შეასრულა აფხაზეთში განვითარებული მოვლენებისადმი ქართველი ხალხის დამოკიდებულებაში. ეტყობა, მის ისტორიულ მეხსიერებას სრულიად სამართლიანად შემორჩა ის გაგება, რომ აფხაზები აფხაზეთში მცხოვრები მეგრელები არიან და, შესაბამისად, ვფიქრობ, ქართველ ხალხს აფხაზეთში მიმდინარე პროცესებზე ძირითადი პრეტენზია მეგრელების მიმართ ჰქონდა, რამაც ასახვა ჰპოვა იმ სიტუაციაში, რომელიც შეიქმნა აფხაზეთში მიმდინარე ომის დროს: ხალხში ისეთი განწყობა იყო, თითქოს ჩვენი ეროვნული ვალი კი არ იყო მშობლიური აფხაზეთისათვის ბრძოლა, არამედ ეს საქმე სხვებს უნდა გაეკეთებინათ.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ ზუგდიდში ჩატარდა "ოქროს პერგამენტის" კონკურსი, რომელმაც დიდი მნიშვნელობა შეიძინა. კონკურსის მიზანი გახლდათ ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა და პოპულარიზაცია.
მკითხველებს ვთავაზობთ კონკურსის მონაწილეთა ნაწარმოებებს.

"ოქროს პერგამენტის" ნომინანტები

დათა ბესელია

ტერენტი ბრანელს

იმ თეთრ საყდართან მომელანდები
იქ რომ იწექი მშვიდად, ეულად,
იქ პოულობდი შვებას დარდების
და დარდი ლექსად გადარეულა.
აღარ გტკიოდა იქ არაფერი,
იმ დასაწვავი ლექსების გარდა.
არ გქონდა ბინა, არ გქონდა ჭერი
და არც უფალი აღარსად ჩანდა.
იხედებოდი მაღლა ზეცაში
და მხოლოდ მაშინ არ ჩანდა დაღლა,
და რა იცოდი, რომ თურმე, მაშინ
იდექ მიწიდან ძალიან მაღლა.
მე მინდა იყო ჩემ გვერდით ახლა,
როცა ამ ლექსს ვწერ ძარღვების გლეჯით.
გალაქტიონი დავლანდე მაღლა
დაჭრილ გულით და ნატკენი ბეჭით.
ერთი მხარის ვართ, ერთი ფიქრებით,
და მეც შენსავით მიწა მაწვალებს
და მეც შენსავით მთელი ცხოვრება
ერთ გენიალურ ცრემლში გავცვალე.
შენი ფიცის ვარ ერთგული დღემდე,
მეც მათოვს შენი სევდის ფანტელი
და შენი ლექსის წაკითხვის შემდეგ
მიდგას სიკვდილის კორიანტელი.

* * *

ბოლო ოცნების დავრჩი ამარა,
ბოლო ფიქრები არის ლექსები,
თავზე მადგია ზეცის კამარა,
რომელსაც ისევ ლექსს ვესესხები.
სულ მეშინია რაღაც ახლისა,
ახლა არ ველი ახალს არაფერს
და თითქოს ღმერთმა წამახალისა –
ვიღაცა თავის ტკივილს მაბარებს.
მე არ ვიცოდი, მე არ მინდოდა,
რომ მე მქონოდა საქმე პოეტის,
შორია რადგან ეს ჩემი ბოდვა
და სისხლი ლექსის უდაბნოეთის.

ნუბზარ გვენეტაძე

რჩეული

ბაქანთან ბრძოლის სუსხი მომედება,
მწარედ ჩემს ფილტვებში სუნთქავს ნოემბერი,
ჩვენ კი, რჩეულები, უკვდავ პოეტებად
სიცოცხლეს სიკვდილად არასდროს
მოვედებით.
მშიერი მუცელიც კი გრძნობს სიამაყეს,
უცნობი "გავეხი" ხურდას რომ დამიყრის,
იანვარს გადავწევ, მოვძებნი ბალახებს
და გულში ცინიკის ნაპერწკლებს ჩავითვლი.
ჩაივლის ქარი და აპრილიც მოაყოლებს,
ყინვასთან უნებურ პაემანს შევწყვიტავ,
ვარდების სურვილი ქვეყანას ააყროლებს,
პატარა ძამიკო არ მეტყვის – შემცივდა.
ახლა პატარა გულს (ზიზღი რომ ეტევა)
ჭამენ მაწანწალა ფიფქის ნაფლეთები,
ჩვენ კი, რჩეულები, უკვდავ პოეტებად,
ლექსებში, რითმებში აღარ დავბერდებით.
მაშინ ჩაიარა მთელმა საუკუნემ,
როცა იანვარი სულში მომედება,
დმერთო, არ გაბედო ჩვენი დაბერება,
თორემ მოხუცებულ სულს ჭამს ბოროტება.

ორთქლის ნახატი

კიდევ ერთი დღე გაილია შენს მოლოდინში,
ისევ იწვიმა, აღარ მოხვედი, ისე დაღამდა,
შენ მიატოვე სიყვარული ძველი ოდიშის,
ვდგავარ სარკმელზე მიხატული ორთქლის ნახატთან.
მახსოვს პირველი პაემანი ლილისფერ ბაღთან,
არითმიულად აკინძული შენი სიტყვები,
თავარეული ჩუმი ტრფობა შემომასახლდა
შენი გულიდან მოპარული ძგერის რითმებით.
ცივი თითებით ასხლეტილი მზა უკვდავება,
მემუარები, შემოჭრილი ფერთა გამაში,
მწვანე ფერებით მოხატული თვალების სიღრმე
და სიყვარული...
სიყვარულის მწველი თამაში.
ეს უსხეული მოლოდინიც შენ შეგაბერდა,
ნაიარევი ჩამოქცეულ ციხე-ქალაქის
და სინანული ცრემლიანი გზებით გაბევრდა,
ვნებებით სავსეს, მონატრების მუქი ხალათით.
აქ შენს ნატერფალს დაესია ჭადრის ფოთლები,
წახვედი! ვიცი, სიხარულიც გადაჰყვა შენს თმებს,
ჩამოიხურება მერამდენედ სიჩუმის ფარად
და
მერამდენე მონატრებით შემოგერითმე.
სველი თითებით მოხატული ორთქლის ნახატი, –
ეს იყო ჩემი ამ ცხოვრების მთავარი როლი,
გაუჩინარდი, შეერიე ჰაერის ნაწილს,
როგორც ნიავში გახლართული თამბაქოს
რგოლი.

როგორ გასხვისდა აფხაზეთი

გთავაზობთ ნაწყვეტებს ნაპოლეონ მესხიას ამავე სახელწოდების წიგნიდან

აფხაზეთში ძალიან ბევრი მეგობარი და გულშემატკივარი მყავდა. ხშირად მსმენია, ჩემს ზურგს უკან ჩემს პროაფხაზურობაზე – იმასაც ამბობდნენ, რომ ზედმეტად ვქომაგობდი აფხაზებს და ა.შ.

ნურას უკაცრავად!

ვერავინ ვერასდროს დამაბრალებს, რომ მე პრინციპულ საკითხებში ერთხელ მაინც დამეთმოს ქართული პოზიცია!

მე, უბრალოდ, კარგად ვერკვევი ფერებში და ვხედავ საკუთარს და სხვის ძლიერ თუ სუსტ მხარეებსაც. თუ აფხაზების მიმართ ზომაზე მეტად ლოიალურობაში მდებენ ბრალს, ეს ჩვენს მიერ გაუმართლებლად გადადგმული ნაბიჯებით, მათი მცირერიცხოვნობითა და მათზე გადამხდარი სიძნელეებით იყო განპირობებული. კიდევ ერთი, აფხაზთა წეს-ჩვეულებების გავლენის ქვეშ ვარ გაზრდილი და ყოველთვის მხიბლავდა მათი უფროს-უმცროსობის კულტი, განსაკუთრებით სტუმართმოყვარეობა, მოწიწება უფროსებისა და ქალების მიმართ.

ხშირად მეკითხებოდნენ ხოლმე ქართველი მეგობრები, ვისაც გაუგია, მაგრამ არ იცნობდა აფხაზურ მენტალიტეტს: ნაპო, მაინც რა გხიბლავს, რა მოგწონს, რა განსხვავებაა ჩვენსა და მათ შორის? ერთხელ დაუფიქრებლად, რაღაც სპონტანურად ვთქვი: იცით რა? აი, ვართ სუფრაზე, აფხაზი წამოდგება და ისე დაგისხამს ღვინოს. სამეგრელოში – დაგისხამენ, ხოლო სხვაგან კი უფრო... "გაუმარჯოს პავლესა, დაისხამს და დალევსა"...

მოკვდნენ სიცილით, მაგრამ ამაში რაღაც სიმართლის მარცვალი არის.

როგორც ხედავთ, ყურადღებას საგანგებოდ ვამახვილებ საზოგადოების აფხაზურ ნაწილზე, მათ წარმომადგენლებზე და, გასაგები მიზეზის გამო, ნაკლებად ვამბობ სხვებზე. ასეთი იყო ჩემი საქმიანი და პირადი ურთიერთობა საზოგადოების წარმომადგენლებთან, მუშაობის სტილი და ზრუნვის საგანი. ამით ვიყავი გართული და პირადი ცხოვრებისათვის დრო ნაკლებად მრჩებოდა.

ასეთ დროს ქვეყანაში იწყება რთული პროცესები, ე.წ. გარდაქმნა, ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა, ამ ფონზე საზოგადოების ეთნიკური ნიშნით პოლარიზაცია და საერთო დესტაბილიზაცია. საზოგადოების აფხაზური ნაწილი მოითხოვდა საქართველოსაგან გამოყოფას და ცალკე დამოუკიდებელი რესპუბლიკის დაფუძნებას...

...ორი დღე და ღამე ვმუშაობდი აგუძერის ჰოსპიტალში. დღისით და ღამით, შეუსვენებლივ მიმდინარეობდა ოპერაციები.

26 სექტემბერს, გამთენიისას, ოპერაციის დროს მოგვესმა თვითმფრინავის ძრავის ხმაური. ყველას გაგვიკვირდა! მას შემდეგ, რაც ჩვენი თვითმფრინავი ჩამოაგდეს, მგზავრები, მათ შორის, ოლიმპიური და მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონის ლევან თედიაშვილის ვაჟიც ცოცხლად დაიწვა, აეროპორტი აღარ ფუნქციონირებდა. თვითმფრინავის ხმა ამიტომაც იყო მოულოდნელი. მივხვდი, რომ რაღაც განსაკუთრებული ხდებოდა. როგორც მოგვიანებით შევიტყვეთ, გაფრენილა სახელმწიფოს მეთაური.

ასე რომ, ბატონი ედუარდი ბრძოლის ველიდან უკანასკნელი კი არ გამოსულა, როგორც თავის მემუარებში: **"ფიქრები წარსულსა და მომავალზე"**, ამტკიცებს! იგი გაფრინდა ბაბუშერიდან 26 სექტემბერს, დილის ხუთის ნახევარზე (ამ ფრაზას ჩვენ მაინც ბატონი ნაპოლეონ მესხიას **"წრესგადასულ"** პატიოსნებას და მის **"წმინდა გულუბრყვილობას"** მივაწერთ, რადგან ედუარდ შევარდნაძემ, მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე, უწმინდურებაში, სიცრუესა და მზაკვრობაში გალია და მისი იმ, დიდი სიცრუეის ფონზე, რასაც ზოგადად **"აფხაზეთის დაკარგვა"** ჰქვია, ამ მართლაც უხსენებლის ვირეშმაკული მტკიცება: **"აფხაზეთი ყველაზე ბოლოს მე მივატოვეო"**, ანგარიშში ჩასაგდები ნამდვილად არ არის – **"ილორი"**).

ბოლოს გამოვედით ჩვენ – ექიმები: **ანტონ ბაგათელია, გივი იმნაიშვილი, მალხაზ მირცხულავა, სლავა სექანია, ზურაბ ენუქიძე** და სხვები.

მანმადე ჰოსპიტალში 26 დაღუპული დაუკრძალავი რჩებოდა, გვამები იხრწნებოდნენ. დამკრძალავიც არავინ იყო – დაჭრილები გაგვყავდა და ამით ვიყავით დაკავებულნი. ჩვენს ავტობუსში, რომელშიც დაჭრილებს ვათავსებდით, რამდენიმე ჯარისკაცი და, მათ შორის, სახალხო ფრონტის ლიდერი ნოდარ ნათაძეც ამოვიდა, გამგზავრებას აპირებდნენ (ყველას გვახსოვს, ბატონი ნათაძე რუსების მიმართ ყოველთვის რადიკალურად ნეგატიური დამოკიდებულებით გამოირჩეოდა). მე ვთხოვე მათ, ჩამოსულიყვნენ მანქანიდან და დაგვხმარებოდნენ მიცვალებულების დაკრძალვაში, მაგრამ ამაოდ! არც განძრეულან, ისე გაჰყვნენ ავტობუსს (ესეც ნათაძის **"დიდი ქართველობა და ქრისტიანობა"**, რასაც იგი მუდამ დაურიდებლად გვატენიდა ცხვირში! – **"ილორი"**).

დაღუპული მეომრები მიწას მაინც მივაბარეთ. ისე წამოვედით იქიდან. მათი ვინაობა, გვარ-სახელი, სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობი დარჩა. არც ერთს არ აღმოაჩნდა ჟეტონი ან რაიმე სხვა პირადობის დამადასტურებელი საბუთი.

27 სექტემბერს აგუძერის ჰოსპიტალიდან დაჭრილების ახალი წყება გავიყვანეთ ავტობუსით. გაზეთ **"ლიტერატურნაია გაზეტას"** დასასვენებელ სახლთან გემსადგომზე რუსეთის ხომალდი უნდა დაგვხვედროდა, რომელსაც გავაყოლებდით მათ ფოთი-ბათუმის მიმართულებით. მაგრამ გემი არ ჩამოდგა და მოგვიწია უკან დაბრუნება.

იქ უცაბედად გადავაწყდი ჩემი დიდი მეგობრის, **ოთარ დავითაიას** შვილს – მერაბს. ასეთი შეხვედრისათვის შესაფერისი მოკითხვების შემდეგ მან იქვე ახლოს, თავის ოჯახში შემიყვანა. ვემუდარე მის დედ-მამას, ოთარსა და ქალბატონ ნადიას, გასცლოდნენ აქაურობას. მაგრამ ამაოდ! ოთარი მეუბნება: **"ნაპო, შემეშვი, ჩემი ძმა და მისი ოჯახი არ მიდის, მე სად ჯანდაბაში წავიდე?"** ოთარი ისეთი კაცი იყო, რომ ზედმეტს ვერ შეჰკადრებდი.

ოთარ დავითაია ჩემთვის ყოველნაირად ძვირფასი და ახლობელი იყო. დღემდე ვნანობ, რომ ვერ დავიყოლიე და ვერ გამოვიყვანე სამშვიდობოზე! ის ჩემთვის განსაკუთრებული პიროვნება გახლდათ: სხვა მეგობრებთან ერთად, ის ერთი დღითაც არ მომცილებია ჩემი პირველი ტრაგედიის დროს – 5 წლის ბიჭის დაღუპვის შემდეგ, კარგა ხანს მიჭირდა საოპერაციოში შესვლა და ოპერაციების ჩატარება, მით უფრო, პატარა პაციენტებისათვის. სწორედ ოთარმა ჩამაცვა ხალათი და (ტრაგედიიდან სამი თვის თავზე) პირველად შემიყვანა საოპერაციოში, სადაც 6 წლის ბავშვი საოპერაციოდ გამზადებული მელოდებოდა.

ოთარის ძმა – ჟორა დავითაია, ასევე ცნობილი პიროვნება, თავის დროზე, ისევე როგორც ოთარი, გულრიფშის რაიკომის პირველ მდივნად მუშაობდა. ამდენად, ეს ორი ძმა აფხაზებისთვის ფრიად ცნობად სახეებს წარმოადგენდნენ და მათი დარჩენა გულრიფშში სახიფათო იყო. მიუხედავად ამისა, ბატონ ოთარს აზრი ვერ შევაცვლევინე. მან მარტო თავისი შვილისშვილი, 15-16 წლის ჭაბუკი – პაატა დავითაია მომაბარა.

იმ საღამოს კი სანაპიროდან დიდხანს გავყურებდით სოხუმს, საიდანაც აფხაზთა ჟრიამული, ფეიერვერკი, სროლები ისმოდა – ზეიმობდნენ გამარჯვებას! მათ ჩვენთვის არ ეცალათ და სწორედ ამან გადაგვარჩინა!

МИШИКО ЗАИГРАЛСЯ В ГОРОДА

Под Новый год президент Грузии Михаил Саакашвили сделал жителям Кутаиси подарок, от которого невозможно отказаться. Он сказал им: "2011 год, это год Кутаиси". Теперь жители второго по значению города страны не знают, что им делать - плакать или смеяться. Они не представляют пока, что им даст такой статус.

"города года" настоящее возрождение или возведение безвкусных построек. Но скорее всего, кутаисцы не почувствуют особых изменений от своего нового статуса. Как и большинство прожектов грузинского лидера, разговоры о Кутаиси – обычная эмоциональная болтовня.

Свой царственный взор президент Грузии обратил на Кутаиси давно. Больше года прошло с тех пор, как он разрушил здесь мемориал памяти погибшим во Второй мировой войне, якобы для того, чтобы построить на этом месте новое здание парламента. Строительство, правда, пока не продвинулось ни на шаг. С того момента планы Саакашвили относительно Кутаиси заметно расширились. Теперь он решил перевести туда почти все правительство страны. Более того, свой день рождения он провел в одном из местных ресторанчиков, уютная атмосфера которого ему пришлась по душе.

Пока внимание лидера Грузии на практике реализовалось в виде реставрации Кутаисского оперного театра, где разместится также мюзик-холл. Этот театр 29 декабря президент открывал вместе с Патриархом Илией II. На концерте, посвященном открытию обновленного здания, были исполнены музыкальные произведения Каталикоса-Патриарха. Стройка обошлась почти в три миллиона долларов.

Как и водится в таких случаях, Саакашвили по случаю открытия оперы сказал много громких слов: "2011 год в Грузии будет годом Кутаиси, так как в наступающем году в этом городе будут открыты новые здания парламента, правительства, откроются новые предприятия и это будет хорошей перспективой для общества", - отметил президент.

Кутаиси - второй по значению город Грузии с почти 200-тысячным населением. Он расположен практически в самом центре страны, но период разрухи затянулся здесь слишком надолго.

Известный российский дизайнер Артемий Лебедев, побывавший в городе в этом году, назвал его слишком мягко - "запущенный". На самом деле, здесь большая часть первых этажей многоэтажных зданий занята магазинами, закрывшимися пятнадцать лет назад, перед подъездами лужи и строительный мусор, а на зданиях облупившаяся штукатурка. Правды ради стоит сказать, что в историческом центре города появились образцово-показательные кварталы.

ГРУЗИЯ ПЫТАЕТСЯ ВЫЙТИ ИЗ РОССИЙСКОЙ ТЕНИ

Грузия мечется между двух огней. С одной стороны, затянувшийся конфликт между Тбилиси и Москвой, похоже, порядком утомил Михаила Саакашвили, поскольку счет в итоге всегда оказывается не в его пользу. И в последнее время кавказская республика все чаще вызывает Российскую Федерацию на душевную беседу. С другой стороны, грузинское правительство очень печалит тот

факт, что провозглашая суверенитет своего государства, оно до сих пор продолжает зависеть от России в области энергоресурсов. Министр энергетики Александр Хетагури недавно объявил, что часть акций энергораспределительной компании будет выставлена на торги международных фондовых бирж.

„Мы ведем переговоры с „Интер РАО ЕЭС“, с тем чтобы до конца 2011 года было положено соответствующее заключение, и определенная часть акций „Теласи“, которые находятся в собственности государства, были размещены на международной бирже“, - объяснил замысел грузинского правительства господин Хетагури.

На сегодняшний день Грузия является счастливой обладательницей 24 процентов акций энергораспределительной компании „Теласи“, которая действует в рамках законодательства республики и осуществляет расчет с потребителями в соответствии с нормативными актами Национальной комиссии по регулированию энергетики и водоснабжения. Остальные 75 процентов принадлежат российской стороне, а точнее компании „Интер РАО ЕЭС“.

Кроме того, грузинских активов у российского энергетического гиганта полна котомка: 9-й энергоблок ТбилГРЭС, AES Transenergy, которая была создана для экспорта электроэнергии в Турцию, а также право управления ХрамиГЭС (Храми-1, Храми-2) и паритет в совместном предприятии „ГрузРосэнерго“, владеющем ЛЭП-500 на территории Грузии.

Понятно, что такой „груз“ серьезно давит на Михаила Саакашвили. Каждый раз, рассылая проклятия в адрес Кремля, ему приходится помнить, что энергетическое благополучие грузинского населения зависит от его собственного поведения. И в последнее время выступления на международных аренах ставят под сомнение не только здравомыслие грузинского президента. Складывается впечатление, что он совсем заплутал в трех соснах, не успевая лавировать между делами стратегической важности и личными прихотями.

„Когда дело касается энергетики, конечно, в первую очередь грузинское правительство обращает свой взор на российские возможности. Ни для кого не секрет, что на фоне активной брани в адрес российских властей их грузинские коллеги передают в собственность капитала важные объекты. Поэтому, как бы часто и громко ни говорилось в адрес Грузии, что ее вектор политической стратегии направлен на Запад, на самом деле компас экономических симпатий твердо укреплен в направлении северного соседа. Зачем грузинскому правительству хранить эти 24 процента акций, когда можно отдать их в руки России и быть спокойными в случае военных действий? Потому что российские власти дали очень четкий сигнал инвесторам, что в Грузии может себя чувствовать себя спокойно только российский капитал. Свидетельством тому - и секретный договор между правительствами Владимира Путина и Михаила Саакашвили о передаче права управления ИнгуриГЭС, подписанный еще до конца 2008 года. Поэтому не стоит искать логики в делах грузинских властей. И обычно новые предложения финансового плана поступают на грузинский рынок сразу же после очередного заявления Саакашвили о том, что Грузия готова без всяких предварительных условий начать переговоры с Россией. Во что это обойдется Грузии в будущем, будем считать тогда, когда сменится власть в стране“, - поведал в интервью *GeorgiaTimes* **эксперт по экономическим вопросам Сосо Цискаришвили.**

И вот акции крупнейшей сетевой компании Грузии, которая обслуживает Тбилиси и его пригороды, выставляются на торги. Примечательно, что заявление министра энергетики Александра Хетагури удачно совпало с очередным траншем, который грузинское правительство выпросило у Европейского банка реконструкции и развития (ЕБРР). Он предоставил „Теласи“ кредит на двадцать пять миллионов долларов для реабилитации сети электрораспределения.

Сердобольные европейцы полагают, что на выделенные деньги грузины хотя бы попытаются профинансировать работы по расширению и реабилитации сети среднего и низкого напряжения, подстанций. И провести внедрение новой системы наблюдения, контроля и сбора данных (SCADA) для дистанционного мониторинга всех сетей компании. Кстати говоря, участие в подписании соглашения на кредит российской стороны оказалось серьезным подспорьем для кавказской республики.

„Российский капитал еще до появления на грузинской территории солидно штрафуют. И уже потом, после начала работы в нормальном режиме, российские бизнесмены могут чувствовать себя более спокойно. Но все-таки риск есть, поскольку никто не знает, что завтра взбредет в голову законодательным органам Грузии, и в каком направлении какой закон будет меняться. В целом, инвестиционное поле Грузии зависит от многих субъективных факторов, и закрепиться могут только те компании, у которых есть опыт преодоления трудностей на российском инвестиционном рынке. Поэтому в первую очередь это российский капитал, который знает, как взаимодействовать с грузинскими властями“, - подчеркнул эксперт.

Илона Раскольникова

სვანებს მესტიის „გაქალაქების“ არ სჯერათ

როგორც ჩანს, მალე სვანეთში ძველი და ტრადიციული მხოლოდ სისხლის აღების წესი, მახვშის ინსტიტუტი, სადღეგრძელოების თანმიმდევრობა, სვანების თავისებური ხასიათი და აქა-იქ – სვანური კოშკები დარჩება. ახალგაზრდები ზემო სვანეთში თითქმის არ არიან, თუ ბავშვებს არ ჩავთვლით და ისიც ისეთებს, რომელთა დედ-მამა ჯიბეზე ქესეტად არიან და იმის საშუალება არა აქვთ, შვილებს განათლება ქალაქად მიაღებინონ.

თუმცა, ვინც ბოლო სამი წლის განმავლობაში მესტიაში არ ყოფილა, ჩასვლისას მასში დაბას ვერ ამოიცნობს: თუ შეიძლება ასე ითქვას, მესტია თანდათან ქალაქდება. სვანეთი რომ ყოველწლიურად უამრავ ტურისტს იზიდავს, სიახლე არ არის. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, სვანეთის ცენტრში ძნელად თუ შეხვდებით საშუალო ასაკის სვანს (მოზარდებზე არაფერს ვამბობთ), გერმანულად ან ინგლისურად რომ არ ლაპარაკობდეს.

უცხო ენებისადმი სვანების მიდრეკილების მიზეზი კერძო სასტუმროების მომრავლება, ამ სასტუმროებში კი უცხოელი ტურისტების სიმრავლე გახლავთ. სულ რაღაც სამი წლის წინ მესტიის ცენტრში სასტუმრო არ იყო – კერძო სახლებში მიჰყავდათ დამსვენებლები თუ სვანეთს შემორჩენილი სტუმრები. ახლა ცენტრში 6 კერძო სასტუმროა, საკმაოდ ლამაზი ინტერიერით, მომსახურებით და კომფორტით და კიდევ სამი შენდება. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ მესტიაში ოთხვარსკვლავიანი სასტუმრო გაიხსნა.

სასტუმროს მშენებლობისთვის ინვესტიცია ადგილობრივმა, რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენმა, თეზო ჯაფარიძემ ჩადო. საერთო ჯამში, ეს კერძო ინვესტიცია 4 მლნ დოლარს შეადგენს. ჯაფარიძეს საკმაოდ ამბიციური გეგმა აქვს – მის სახელსვე უკავშირდება მესტიაში ჯერ კიდევ საბჭოთა ეპოქაში გაუქმებული საბაგირო გზის აღდგენის სამუშაოების დაწყება და საბაგირო მარშრუტის შეცვლა. მესტიაში საბაგირო გზა 1975 წელს ამოქმედდა. იგი მესტიიდან აღმოსავლეთით მდებარე მთებზე გადადიოდა და დამსვენებლები ზაფხულიდან ზამთარში – სათხილამურო ტრასაზე გადაჰყავდა. საბაგირომ მხოლოდ ერთ თვეს იმუშავა და გაუქმდა: აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთიდან ერთ-ერთ საყრდენ ბოძამდე მანძილი 300 მეტრი იყო, რაც უსაფრთხოების ზომების აშკარა დარღვევა გახლდათ. კომუნისტებმა სვანეთის საბაგირო გზა მიივიწყეს და ახლა ამ დიდ პრობლემას სვანები ხელახლა შეეჭიდნენ, კაცმა რომ თქვას, არცთუ უშედეგოდ.

საბაგირო გზა მესტიაში უკვე დამონტაჟებულია. **„რუსთავი2“**–მა და აკაკი გოგიჩაიშვილმა კი სულ ტყუილად **„იღადავა“** სვანებზე: ბოძების დამონტაჟებისას არსებული ცდომილება სვანების ბრალი ნამდვილად არ არის: ადგილობრივებმა მხოლოდ ტყე გაკაფეს, ბოძებს კი ბარიდან ამოსული სამი სამშენებლო კომპანიის მუშები ამონტაჟებდნენ. მართალია, პრეტენზია იტალიურმა ფირმამ, ანუ მთავარმა ინვესტორმაც გამოთქვა, მაგრამ გოგიჩაიშვილმა მაინც იჩქარა სვანებისთვის სეზონის გახსნის შესაძლო გადავადების ან, სულაც ჩაგდების დაბრალება – ისინი არაფერ შუაში არიან.

მესტიაში დიდი დღეა: სეზონი გაიხსნა: საბაგირო გზაზე არსებული პრობლემები თითქმის აღმოიფხვრა. ერთადერთი პრობლემა თოვლის დეფიციტია: **„პრესა.ჯი“**-ს ინფორმაციით, მთავარ ტრასაზე თოვლის საფარის სიმაღლე რამდენიმე სანტიმეტრია.
მესტიაში სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი, ზაზა გოროზია ჩავიდა და თვითონ დაათვალიერა მიმდინარე სამუშაოები. სავარაუდოდ, იგი ამაღამაც მესტიაში დარჩება. გოროზიამ, როგორც ჩანს, ეს დავალება ცენტრიდან მას შემდეგ მიიღო, რაც საბაგირო გზის გამო სოციალურ(და არა მარტო) მედიაში სვანებზე ქილიკი დაიწყო. გუბერნატორი ხვალინდელი სტუმრების დასახვედრად ამზადებს სვანებს. რა თქმა უნდა, ხვალ აუცილებლად ვიხილავთ თხილამურებზე შემდგარ ქვეყნის პირველ პირს, თუმცა, მის სრიალს მხოლოდ მისი პირადი კამერა გადაიღებს, დაამონტაჟებს(შესაძლო დაცემის კადრებს ამოშლის) და ცენტრალური პრესის ჟურნალისტებს მხოლოდ შემდეგ დაურიგებს.

როგორც საქმეში ჩახედულმა პირებმა გვითხრეს, მთებიდან ჩამომავალი სათხილამურო ტრასა, საქართველოში და ამიერკავკასიაშიც კი, ერთადერთი იქნება, რომელიც მსოფლიო სტანდარტებს დააკმაყოფილებს და სადაც ნებისმიერი სახის შეჯიბრების ჩატარება იქნება შესაძლებელი. ჯერ ეს მხოლოდ გეგმაა, მაგრამ ბიზნესმენები მიიჩნევენ, რომ საკმაოდ რეალური. ამისათვის 10 ჰა წიწვოვანი ტყის გაჩეხვა გახდა საჭირო და ეს ერთადერთია, რაზეც სვანებს – ბუნების ჭეშმარიტ შვილებს გული წყდებათ, თუმცა იხტიბარს არ იტეხენ და ამბობენ, რომ სამაგიეროდ, საშვილიშვილო საქმე გაკეთდება, რომელიც უდიდეს შემოსავალს მოუტანს რაიონს და, რაც მთავარია, სვანეთიდან ახალგაზრდების მიგრაციას შეაჩერებს.

თეზო ჯაფარიძის პროექტის მიხედვით, მესტიის ძველი ტურბაზის ადგილზე წამომართული ოთხვარსკვლავიანი სასტუმროს ბინადრებს საშუალება ექნებათ, პირდაპირ სასტუმროს აივნიდან მოთავსდნენ საბაგირო გზის სკამებზე და რამდენიმე წუთში თავი ზაფხულიდან ზამთარში ამოჰყონ. მეტიც: სასტუმროს პატარა აეროდრომი და ორი საკუთარი ვერტმფრენი ეყოლება, რომელიც სასტუმროში გაჩერებულ მოქალაქეებს მოემსახურება – ექსკურსიით ჰაერიდან ან შხარის ფერდობზე გადაყვანით, ისევ თხილამურით სრიალისთვის. რასაკვირველია, სასტუმროში ნომრის ფასი და მომსახურების სრული პაკეტი საკმაოდ სოლიდური თანხა დაჯდება – ის საშუალო ფენისთვის არაა განკუთვნილი. მაგრამ სიამოვნება ყველგან ფული ღირს და მესტია გამონაკლისი ვერ იქნება.

მესტიის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები თვლიან, რომ ამ ამბიციური პროექტების ამოქმედებამდე მესტიაში სასმელი წყლის პრობლემაა მოსაგვარებელი. დაბაში წყალი არის, მაგრამ ნაკადის დაბალი სიძლიერის გამო ზედა უბნამდე ვერ აღწევს. ამას გარდა, სვანების უმრავლესობა ზამთარში ონკანებს ღიას ტოვებს, რათა მილებში წყლის გაყინვა აიცილოს თავიდან და ნაკადის სიძლიერეს ესეც დამატებით პრობლემებს უქმნის. მესტიის გამგებელი ამბობს, რომ წყალსადენის სისტემა და სათავე ნაგებობა მთლიანად უნდა შეიცვალოს, რადგან მთაში გაყვანილი მილების შეკეთება და ერთმანეთზე მიდუღება შეუძლებელია მათი სიძველის გამო. ამისთვის ცენტრალური ბიუჯეტიდან სოლიდური თანხაა გამოყოფილი.

მესტიაში სვანური კოშკების რეაბილიტაციაც წარმატებით ჩატარდა. ღამით მესტიაში და მის შემოგარენში აღმართული ყველა კოშკი სპეციალური განათებითაა აღჭურვილი და შემაღლებული ადგილიდან გადმოხედვის შემთხვევაში ისე ჩანს, თითქოს მთელი მესტია ცეცხლშია გახვეული. ცოტა ხნის წინ გავრცელდა ინფორმაცია რამდენიმე სვანური კოშკის უცხოელებისთვის მიყიდვის შესახებ, მაგრამ ეს აშკარად გადაჭარბებულია, რადგან კოშკი კულტურულ მემკვიდრეობად ითვლება და იგი მის პატრონსაც კი არ ეკუთვნის – მასზე სახელმწიფო ზრუნავს.

ასე რომ, სულ ცოტა ხანში მესტია დაბა კი არა, ქალაქი გახდება, მაგრამ ამ **„ურბანიზაციის“** პროცესს აღფრთოვანებით სულაც არ ხვდებიან უფროსი თაობის სვანები. მესტიის ცენტრში, სეტის მოედანზე შეკრებილი სვანი მამაკაცები იმაზე ჩივიან, რომ **„დედლების გამამლების და მამლების გადედლების“** პროცესი, ბარის მსგავსად, უკვე სვანეთსაც შეეხო. ძველი ტრადიციები თანდათან ბარდება წარსულს. ასე მაგალითად, ახლა აუცილებლად არ ითვლება სისხლის აღება და პიროვნების გადასაწყვეტია, იძიებს შურს თუ არა – ამისთვის მას არავინ არაფერს წამოაყვედრის. მახვშების ინსტიტუტი თანდათან სიმბოლური ხდება.

ერთადერთი, რასაც, სვანები, ალბათ, არასოდეს დათმობენ, ხატზე დაფიცების ცერემონიალი და სადღეგრძელოების თანმიმდევრობაა სუფრასთან, განსაკუთრებით, წმინდა გიორგის, იგივე – ოჯახში ქუდის დამხურავების და ბოლო – ღვთისმშობლის, ლამარიას სადღეგრძელო, რომლითაც დიასახლისებსაც ლოცავენ.

დათო ჯაფარიძე

საქართველო – ევროპული ფასებისა და არაევროპული ხელფასების ქვეყანა

საახალწლო განწყობა წინასაახალწლოდ თბილისში საერთოდ არ იგრძნობოდა. მითუმეტეს ახლა, როდესაც ახალმა წელმა უკვე ჩაიარა, ვერც კი იგრძნობ, რომ სულ რაღაც ორიოდე დღის წინათ ქვეყანა ახალ, 2011 წელს შეხვდა, თან ისე პომპეზურად, როგორც ეს ჩვენს პრეზიდენტს სურდა,თუმცა რამდენად გამოუვიდა ეს საკაშვილს, ამას ქვემოთ მოგახსენებთ, აღსანიშნავია დედაქალაქის აქტივობაც. წინა პერიოდშიც და თვითონ ახალი წლის ღამესაც ქუჩები თითქმის ცარიელი იყო, საქინფორმის კორესპონდენტი ბაზარში გამყიდველსაც ესაუბრა:

„ ასეთი ახალი წელი ჯერ არ მახსოვს, ადრეც უჭირდა ხალხს, მაგრამ ასეთი რამ არასდროს მომხდარა. გოჭი, ქათამი, ინდაური წელს თითქმის არ გამიყიდია, კარტოფილი და მჭადის ფქვილი კი - იცოცხლე!.. ნეტა საერთოდ არ დამეკლა ის საცოდავები, მაგრამ რას წარმოვიდგენდი?.. ის, რომ ხალხს ფული საერთოდ არ აქვს, ეს სიტყვის მასალა არ არის, მართლა ძალიან გვიჭირს, ამაში მე წელს დავრწმუნდი. ანდა როგორ უნდა გვილხინდეს, როცა სამსახური, ერთეულების გარდა, არ აქვთ ახალგაზრდებს“.

კონცერტი ბათუმში, რომელიც მილიონები დაჯდა და რომლის სარეკლამო რგოლიც ყოველ დღე ყველა არხზე 15-წუთიანი შუალედით ტრიალებდა და თითქოს ხალხს აძალებდა, ადექით, დაირაზმეთ და წამოდითო, პირდაპირი მნიშვნელობით წყალში გადაყრილი ფული აღმოჩნდა. ისეთი წვიმა წამოვიდა, რომ საქართველოს ელიტას, რომელიც ნებით თუ დაძალებით იქ იმყოფებოდა, მაკიაჟი და საგანგებოდ დაყენებული თმები სულ ჩამოურეცხა, თუმცა აღსანიშნავია, რომ მოითმინეს და ბოლომდე დაესწრნენ სანახაობას, მაგრამ ბათუმში ჩასვლა და ეს კონცერტი რად დაუჯდა ჩვენს ელიტას, საკითხავი სწორედ ეს არის. საცოდავად გამოიყურებოდნენ მოცეკვავეები, რომლებსაც წყალში ცეკვისას ფეხი უცდებოდათ და ზოგი მათგანი წყალში მოჯდა კიდეც, მაგრამ სრულიად სველები მაინც ცდილობდნენ საახალწლო განწყობილების შენარჩუნებას.

თბილისში კი სიცივისაგან აკანკალებულ მომღერლებს ერთი სული ჰქონდათ, კონცერტი მალე დაემთავრებინათ და თბილ რესტორნებში გაქცეულიყვნენ. ბევრს, ალბათ, არც უღირდა ამ კონცერტზე გამოსვლა, მაგრამ კარგად აქვთ გაცნობიერებული, რა **„მოუვიდოდათ“** ჩვენი ხელისუფლებისგან უარის შემთხვევაში.

ზოგმა გათბობის აპრობირებულ მეთოდს, სასმელს მიმართა, რამაც თიკო სადუნიშვილს სრულებით მოუხსნა ყველა კომპლექსი და **„იმედის პრიმადონამ“** საახალწლო კონცერტზე, რომელსაც ბავშვებიც ელოდნენ და დაჟინებით უყურებდნენ ტელეეკრანებს, ქართველ მაყურებლებს ვნებიანი და არაესთეტიური კოცნა **„გვაჩუქა“**, ამან ჩვენზე არანაკლებ გააოცა მისი პარტნიორი და თანაწამყვანი მომღერალი, ვინმე **„თლ“**. მარტო მისი გამომეტყველებით მიხვდა მაყურებელი, რომ ეს დაგეგმილი არ იყო და ეს თამამი ნაბიჯი თიკო სადუნიშვილს ზედმეტმა სასმელმა გადაადგევინა.

ხალხის სიმცირე იგრძნობოდა საახალწლო ნივთების მაღაზიებშიც. ნაძვის ხეები, სათამაშოები, წვიმები და სხვა გასაფორმებელი ნივთები დახლებზე თითქმის იმავე რაოდენობით დევს დღესაც, საქინფორმის კორესპონდეტთან საუბრისას ნანა ჩივაძემ ყურადღება საჩუქრების ფასებზე და თავის ხელფასზე გაამახვილა:

„ საახალწლოდ მაღაზიაში რომ შევედი და ფასებს შევხედე, მეგონა, ევროპაში ვიყავი, მაგრამ იქვე გამახსენდა ჩემი არაევროპული ხელფასი. ნაძვის ხე, რომელიც მომეწონა 400 ლარი ღირდა, ჩემი შვილის თოვლის ბაბუასთვის შეკვეთილი თოჯინა კი - 90 ლარი , ხელფასი კი სულ 250 ლარი მაქვს. მაინტერესებს, როგორ გავწვდე ამდენს ამ ხელფასით? დაფიქრებულა ჩვენი მთავრობა ამაზე?“

ასე დაიწყო 2011 წელი, ქართველი ხალხის ახალი წლის ღამეს ჩაფიქრებული სურვილები თითქმის იდენტურია. საქინფორმის კორესპონდენტის მიერ გამოკითხულთა 99 პროცენტმა ახალ წელს ჯანმთელობა, ბევრი ფული და მთავრობის შეცვლა ჩაუთქვა.

ტრადიციული საახალწლო ქართული სუფრა მხოლოდ გამოკითხულთა 38 პროცენტის ოჯახებში გაიშალა

ახალი წლის დადგომას მოსახლეობის 43 % სადღესასწაულო განწყობით შეხვდა.

ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში შესაბამისი სოციოლოგიური სამსახურების მიერ ჩატარებულმა გამოკითხვამ დაადასტურა, რომ ყველა ვერ შეხვდა ერთნაირად ამ საყოველთაო დღესასწაულს.

საინტერესოა ახალი მონაცემების წინა წლების მახასიათებლებთან შედარებაც. 2009 წელს, ახალი წლის დადგომის გამო სადღესასწაულო განწყობა ჰქონდა გამოკითხულთა 42 პროცენტს, 2008 წელს - 29-ს, 2007 წელს - 47-ს, 2006 წელს 43-ს, 2005 წელს - 40-ს.

ახალი წელი ჩვეულებრივი დღეა გამოკითხულთა 28 პროცენტისთვის (2009 წელს - 29 პროცენტისთვის, 2008 წელს - 38, 2007 - 24, 2006 წელს - 23, 2005 წელს - 24პროცენტისთვის), არასადღესასწაულო (პრობლემების გამო) განწყობა აქვს - 29 პროცენტს.

ტრადიციული სადღესასწაულო ქართული სუფრა (გოჭი, ინდაური, საცივი, გოზინაყი და ა.შ.) გაიშალა გამოკითხულთა 38 პროცენტის ოჯახში (2009 წელს - 40 პროცენტის, 2008 წელს - 32-ის, 2007 წელს - 45-ის, 2006 წელს - 46-ის, 2005 წელს - 42-ის). 36 პროცენტმა სრულყოფილად ვერ შესძლო მისთვის სასურველი სუფრის გაშლა (2009 წელს - 33-მა, 2008 წელს - 42-მა, 2007 წელს - 36-მა, 2006 წელს - 34-მა, 2005 წელს - 37-მა).

გამოკითხულთა 26 პროცენტის ოჯახებში საახალწლო სუფრას ყოველდღიური მენიუსგან განსხვავებული არაფერი შემატებია (2009 წელს - 27პროცენტისათვის, 2008 წელს - 28, 2007 - წელს -19, 2006 წელს - 20, 2005 წელს - 21 პროცენტისათვის).

აზერბაიჯანი ტერიტორიების დასაბრუნებლად ყველა საშუალებას გამოიყენებს

„თუ დიპლომატიური მეთოდები შედეგს არ მოიტანს, ჩვენ მზად ვართ, ჩვენი ტერიტორიების დასაბრუნებლად ნებისმიერ საშუალებებს მივმართოთ“, – განაცხადა აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ელმარ მამედიაროვმა.

„მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი აზერბაიჯანის ყველაზე დიდი პრობლემაა. ჩვენი ტერიტორიების თითქმის 20 პროცენტი სომხეთის მიერაა ოკუპირებული... როგორც საგარეო საქმეთა მინისტრი, ყოველთვის დიპლომატიურ გადაწყვეტილებებს ვანიჭებ უპირატესობას. ჩვენ შევეცდებით, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებისთვის დიპლომატიური საშუალებები გამოვიყენოთ, არ ვთვლი, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ყველა დიპლომატიური ვარიანტი ამოვწურეთ. მაგრამ, თუ აზერბაიჯანის წინააღმდეგ გამოყენებული იქნება საომარი საშუალებები, როგორც ეს უკვე იყო წარსულში, საკითხის გადაწყვეტა, შესაძლოა, ამჯერადაც ომის გზით მოხდეს“, – ბრძანა მინისტრმა.

საქონლის ხორცს ზუგდიდელები ენგურს გაღმა აბარებენ

ზუგდიდში ჯერჯერობით საქონლის სასაკლაო არ არსებობს, მაგრამ უახლოეს მომავალში იგეგმება მისი გახსნა, რაც გარკვეულ პრობლემებს შეუქმნის საქონლის დაკვლა, ჩაბარება და გაყიდვის საქმიანობით დაკავებულ ადამიანებს. ეს პროცესი საქონლის ხორცსაც გააძვირებს ბაზარში.

ამჟამად მოსახლეობისგან საქონლის ხორცს 1კგ. ხუთ ლარად იბარებენ, ბაზარში კი 8-9 ლარად იყიდება, ამიტომაც ზუგდიდის რაიონის მოსახლეობისათვის უფრო ხელმისაწვდომია საქონლის გადაყვანა ენგურს გაღმა, გალის რაიონის ტერიტორიაზე, სადაც უპრობლემოდ, ყოველგვარი საბუთების გარეშე იბარებენ საქონლის, სასაკლაოც აქვთ მოწყობილი, და ხორცს ზუგდიდთან შედარებით მაღალ ფასად – 1კგ-ს 6 ლარად იბარებენ.

ზუგდიდის სოფლებს მგლები შემოესია

ზუგდიდის რაიონის სოფლებს: ერგეტას, გროგოლიშს, ჭაქვინჯს მგლები შემოესია და მოსახლეობას მარჩენალი საქონელი დაუგლიჯა. ზუგდიდის მონადირეთა და მეთევზეთა კლუბის ხელმძღვანელის - გურამ თირქიას განმარტებით, მათ ჯერჯერობით მგლების მოკვლა ეკრძალებათ, რადგან ხელშეკრულებას ვადა დაუმთავრდა, რომელიც კლუბს დადებული ჰქონდა ხობისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტებთან, რომლის თანახმადაც მათ ხობში უნდა მოეკლათ ხუთი, ხოლო ზუგდიდში შვიდი მგელი. მაგრამ მათ ხობში მხოლოდ ორი მგლის მოკვლა შეძლეს, ზუგდიდში კი – ერთის, რის გამოც მათ უსაყვედურეს კიდეც.

„მგლების დახოცვა მთელ რიგ სიძნელეებს უკავშირდება. მთავარი პრობლემა და სიძნელე კი ის არის, რომ, ყოველდღე თუ არა, ყოველ მესამე დღეს მაინც უნდა გახვიდე მგლების მოსაკლავად, უნდა დაუდარაჯდე. ეს კი გარკვეულ თანხებთანაა დაკავშირებული, რაც ჩვენ არ გაგვაჩნია. შეიძლება ათჯერ წახვიდე და ერთი მგელიც ვერ მოკლა, თანხას კი მაშინ იძლევიან, როცა მგელს მოვკლავთ, ამიტომაც საჭიროა მუდმივი დაფინანსება ან ხელფასებით უზრუნველყოფა,“ – აღნიშნა გურამ თირქიამ.

გამგეობები ხელშეკრულების გაფორმებას დაჰპირდნენ გურამ თირქიას, დროც არ ითმენს. აპრილში მგლების გამრავლებაა მოსალოდნელი. ერთი მგელი 5-6 ლეკვს ყრის.

ზაზა გოროზია ზუგდიდის "ბაიას" ვერ პატრონობს

ზუგდიდის საფეხბურთო კლუბი **"ბაია"** ძალიან მძიმე მდგომარეობაშია. გუნდის 51 პროცენტის მფლობელია სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი ზაზა გოროზია (ეკონომიკის სამინისტროს სახით), 49 პროცენტი კი ეკუთვნის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ზვიად სიჭინავას. სიჭინავა, ასე თუ ისე, ასრულებს თავის მოვალეობას, რაც გამოიხატება გუნდის ბაზით, ტრანსპორტითა და კვებით უზრუნველყოფაში; ზაზა გოროზიას მოვალეობაში კი შედის ფეხბურთელებზე ხელფასების გაცემა. არადა, ფეხბურთელებს, ხუთი თვეა, ხელფასი არ მიუღიათ. ზუგდიდის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის – როლანდ მაქაცარიას განმარტებით, მიზანმიმართულად მიმდინარეობს **"ბაიას"** დაშლა. **"გუნდიდან ხელფასების გაუცემლობის გამო ათამდე ფეხბურთელი წავიდა, არ არის არანაირი იმედი მდგომარეობის გამოსწორებისა, დაპირებასაც არავინ იძლევა. ჩვენ ვითხოვთ, გამოვიდეს გუბერნატორი ტელევიზიით ან შეხვდეს გულშემატკივრებს, აუხსნას და განუმარტოს, თუ რას აპირებს ან თქვას, რომ არ შეუძლია გუნდის პატრონობა და ჩააბაროს გუნდი ზუგდიდის გამგებელს – ალექსანდრე ქობალიას. ჩვენ ყველას გვჯერა, რომ ის ნამდვილად მიხედავს და უპატრონებს ზუგდიდის ბაიას,"** – აღნიშნა მაქაცარიამ.

მოსკოვში ბინის ქურდობის ფაქტზე საქართველოს ორი მოქალაქე დააკავეს

მოსკოვში საქართველოს ორი მოქალაქე ბინის ქურდობისთვის დაავეს, - ამის შესახებ სააგენტო **„ინტერფაქსი“** სამართალდამცავ ორგანოებში სანდო წყაროზე დაყრდნობით იუწყება .

სააგენტოს ცნობით, სამართალდამცავები ვიშნესკის ქუჩაზე საცხოვრებელი სახლიდან განხორციელებული სატელეფონო ინფორმაციის საფუძველზე მივიდნენ, სადაც ბინის ქურდობის ფაქტზე 29 და 35 წლის საქართველოს მოქალაქეები დააკავეს. ჩხრეკისას მათ გასაღებების რამდენიმე ასხმა, დამაფონების უნივერსალური გასაღებები, ბინიდან მოპარული ფული და ძვირფასი ნივთები აღმოაჩნდათ. როგორც გაირკვა, ბინის მეპატრონე 27 წლის მოსკოვის მცხოვრები აღმოჩნდა, რომელიც თანამედროვე სასიგნალიზაციო სისტემების სპეციალისტია.

მას ბინაში შეუმჩნეველი სასიგნალიზაციო აპარატურა ჰქონდა დამონტაჟებული. ბინის გატეხვის შესახებ კი ინფორმაცია პირად მობილურ ტელეფონზე მიუვიდა.

სომალელების ტყვეობაში მყოფთა ოჯახები პრეზიდენტთან შეხვედრას ითხოვენ

უკვე მეოთხე თვეა, 15 ქართველი მეზღვაური სომალელი მეკობრეების ტყვეობაში იმყოფებიან. გამოსასყიდის გადაუხდელობის შემთხვევაში, მეკობრეები მათი დახვრეტით იმუქრებიან. თანხა, რომელსაც ისინი ითხოვენ, მილიონი დოლარია. ტყვეობაში მყოფი მეზღვაურების ოჯახები მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრას ითხოვენ.

მეზღვაურების მშობლებმა გუშინ სწორედ ამ მიზნით პრეზიდენტის ელფოსტაზე წერილი გააგზავნეს, შეტყობინებები გაიგზავნა, ასევე, საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საპატრიარქოში.

"ჩვენ გვინდა, შევხვდეთ პრეზიდენტს და პირადად მოვუყვეთ იმ ქართველ მეზღვაურთა გაუსაძლისი მდგომარეობის შესახებ, რომლებიც ახლა სომალელთა ტყვეობაში იმყოფებიან; ასევე, ვთხოვთ პატრიარქსა და საგარეო უწყებას, შეძლებისდაგვარად დაგვეხმარონ მათ გათავისუფლებაში", – აღნიშნა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბრისას ერთ-ერთი მეზღვაურის, დავით დევაძის მამამ, სერგო დევაძემ.

მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები

მას შემდეგ, რაც მე-19 საუკუნეში ინგლისელებმა აღადგინეს სპორტის უძველესი სახეობა, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში იბადებოდნენ დიდი ფეხბურთელები, რომლებიც ქმნიდნენ მთელ ეპოქას და მათი მიღწევები ოქროს ასოებით იწერებოდა პლანეტის სპორტულ ისტორიაში. ისინი გვხიბლავდნენ თავიანი საფეხბურთო საშემსრულებლო ოსტატობით. ეს ხდებოდა მაშინ, როცა ფეხბურთი ის-ის იყო იდგამდა ფეხს მსოფლიოში და ჯერ კიდევ არსად არ იყო აშენებული, არამც თუ გიგანტური, არამედ ათასმაყურებლიანი სტადიონებიც კი. მაგრამ სწორედ მათმა ოსტატობამ დაუდო სათავე სპორტის ამ ულამაზეს სახეობას, რომელსაც დღეს ლამის მთელი მსოფლიო ეთაყვანება. მას შემდეგ უამრავი დიდი ფეხბურთელი მოევლინა სამყაროს, მაგრამ ჩვენი რუბრიკა მაინც წინ აყენებს იმ დიდი სპორტსმენების ხსოვნას, რომელთაც მსოფლიოს განახლებული სახით უძღვნეს ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე დიდი ხნით ადრე ჩინეთში შობილი სანახაობრივი სპორტი – ფეხბურთი! მალე დაინტერესებულ პირთა ვიწრო წრეში აღიარებული ეს სანახაობა მასიურ ღონისძიებად იქცა, რამაც წარმოქმნა შესაბამისი სპორტული ბაზების აშენების აუცილებლობა. სწორედ წარსულის დიდი ფეხბურთელების დამსახურებაა, რომ გვაქვს შესანიშნავი სპორტული კომპლექსები "მარაკანა", "აცტეკა", "ნოუ კამპი", "სანტიაგო ბერნაბეუ", "ლუჟნიკები", "ოლიმპიაშტადიონი", "ჰემპდენ პარკი" და სხვა და სხვა. სწორედ ამ სპორტულ "მონსტრებს" ავსებენ პირთამდე დღეგანდელი ფეხბურთის "გრანდები", რომლებიც მონდომებითა და წარმატებით აგრძელებენ თავიანთი დიდი წინაპრების საქმეებს.

ამ რუბრიკით ჩვენ გაგაცნობთ მსოფლიოს ფეხბურთის პიონერებსაც და იმ დიდ თანამედროვე ფეხბურთელებსაც, რომლებიც ქმნიან მსოფლიო ფეხბურთის ისტორიას.

შანდორ კოჩიში

დაიბადა 1929 წლის 30 სექტემბერს, უნგრეთში.

თამაშობდა კლუბებში: **"ფერენცვაროში", "ჰონვედი"** (უნგრეთი), **"იანგ ფელოუზი"** (შვეიცარია), **"ბარსელონა"** (ესპანეთი).

შანდორ კოშიჩი გახლდათ მარჯვენა ფლანგზე მოთამაშე შემტევი **"ინსაიდი"**, რომელმაც ჯერ კლუბ **"ჰონვედში"** გამოიჩინა თავი, შემდეგ კი მყარად დაიმკვიდრა ადგილი მეოცე საუკუნის 50-იანი წლების **"უნგრეთის დიდ გუნდად"** წოდებულ საფეხბურთო ნაკრებში. კოშიჩი და მისი პარტნიორი, ლეგენდარული პუშკაში ძირითადად თავდასხმის წინა ხაზზე მოქმედებდნენ და მათ საგოლე პასებით ამარაგებდა ოდნავ უკან დახეული ცენტრფორვარდი. სწორედ ამის შედეგი გახლდათ, რომ კოშიჩს ეკუთვნის დღემდე მოუხსნელი რეკორდი: ნაკრების შემადგენლობაში ჩატარებულ 68 მატჩში გატანილი 75 გოლი. იგი სამჯერ გახდა უნგრეთის ჩემპიონატების საუკეთესო ფეხბურთელი, 1954 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე კი საუკეთესო ბომბარდირად დაასახელეს გატანილი 11 გოლით (ეს შედეგი მომდევნო ჩემპიონატზე მოხსნა ფრანგმა ფონტენმა, რომელმაც 13 გოლი გაიტანა. ეს რეკორდი დღემდე მოუხსნელია). მას შემდეგ, რაც საბჭოთა ჯარებმა, 1956 წელს, სისხლში ჩაახშვეს უნგრეთში მომხდარი რევოლუცია, შანდორ კოჩიშმა, ფერენც პუშკაშმა და უნგრეთის ნაკრების კიდევ რამდენიმე **"მოღალატე"** ფეხბურთელმა სამშობლო პროტესტის ნიშნად დასტოვეს და დასავლეთის ქვეყნებს შეაფარეს თავი. კოჩიში ესპანეთის **"ბარსელონაში"** აღმოჩნდა, რომლის შემადგენლობაშიც 1960 წელს მოიპოვა ბაზრობათა თასი. ერთი წლის შემდეგ მისი გუნდი ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალამდე მივიდა, ფინალური მატჩი კი წააგო პორტუგალიის **"ბენფიკასთან"**.

რაიმონ კოპა

დაიბადა 1931 წლის 13 ოქტომბერს, საფრანგეთში.

თამაშობდა კლუბებში: **"ანჟე", "სტად დე რეიმსი"** (საფრანგეთი), **"რეალ მადრიდი"** (ესპანეთი), **"სტად დე რეიმსი"** (საფრანგეთი).

რაიმონდ კოპა, რომელსაც მოგვიანებით მეტსახელად **"ფეხბურთის პროფესორი"** დაარქვეს, გახლდათ პოლონელი ემიგრანტ-მეშახტის შვილი (მისი ნამდვილი გვარია კოპაჩევსკი), რომელიც სიყმაწვილეშივე მამამისთან მუშაობდა შახტში, სადაც მარჯვენა ხელი სერიოზულად დაიზიანა და მამის მიერ არჩეულ პროფესიას სამუდამოდ დაემშვიდობა. დროის მოსაკლავად კოპა საფეხბურთო მოედან მიეძალა და თანატოლებთან თამაშში თანდათან იმაღლებდა კლასს. პირველად იგი საფეხბურთო კლუბ **"ანჟე"**-ს მესვეურებმა შენიშნეს, გუნდში მიუწინეს ადგილი, 1950 წელს კი მიჰყიდეს **"რეიმსს"**. იგი ჯერ თავდასხმის მარჯვენა ფლანგზე თამაშობდა, შემდეგ კი ცენტრალური თავდამსხმელის ადგილი დაიკავა, თუმცა არც ინსაიდის პოზიციაზე თამაშს თაკილობდა. სწორედ მისი შედეგიანი თამაშის წყალობით აღმოჩნდა **"რეიმსი"** ევროპის ჩემპიონთა თასის პირველი გათამაშების ფინალში, 1956 წელს, რომლის შემდეგაც კოპა მადრიდის **"რეალმა"** შეიძინა. კოპას ვარსკვლავმა მთელი სიდიადით გაიბრწყინა 1958 წელს შვეიცარიაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე, სადაც საფრანგეთის ნაკრები ბრინჯაოს მედლებს დაეუფლა. ერთი წლის შემდეგ, როცა კოპა მშობლიურ **"რეიმსს"** დაუბრუნდა, იგი ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. კოპამ 45 მატჩი ჩაატარა ქვეყნის ნაკრების შემადგენლობაში. მისი ფეხბურთიდან წასვლა ხმაურიან სკანდალთან იყო დაკავშირებული – იგი მეტ თავისუფლებას ითხოვდა კონტრაქტით მოთამაშე ფეხბურთელებისათვის.

იოჰანეს (ჰანს) კრანკლი

დაიბადა 1953 წლის 14 თებერვალს, ავსტრიაში.

თამაშობდა კლუბებში: **"რაპიდი"** ვენა (ავსტრია), **"ბარსელონა"** (ესპანეთი), **"ვიენა"** (ავსტრია), **"ბარსელონა"** (ესპანეთი), **"რაპიდი", "ვინერ შპორტკლუბი"** (ავსტრია).

კრანკლი 1978 წლის საფეხბურთო სეზონის დიდი აღმოჩენა გახლდათ – ვენის **"რაპიდის"** შემადგენლობაში თამაშისას მან 41 გოლი გაიტანა და ევროპის საუკეთესო ბომბარდირისათვის დაწესებულ **"ოქროს ბუცს"** დაეუფლა. გარდა ამისა, მან ფეხბურთის სპეციალისტების ყურადღება მიიქცია ამავე წელს არგენტინაში ჩატარებულ მსოფლიო ჩემპიონატზე შედეგიანი თამაშით. მომდევნო 1979 წელს კრანკლი ესპანეთის **"ბარსელონამ"** შეიძინა, რის შედეგადაც ამ გუნდმა პირველივე საფეხბურთო სეზონში ევროპის ჩემპიონთა თასი მოიგო. სამწუხაროდ, საფეხბურთო ოსტატობის პიკზე მყოფი სერიოზულ ავტოავარიაში მოჰყვა და დიდი დრო დაუთმო მკურნალობას, რაც, რა თქმა უნდა, უარყოფითად აისახა მის შემდგომ სპორტულ კარიერაზე. მოგვიანებით კრანკლი კვლავ ავსტრიის **"რაპიდში"** დაბრუნდა. დიდი ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ კრანკლი ამ გუნდის გენერალური მენეჯერი გახდა და დიდი როლი ითამაშა საერთოდ ავსტრიული ფეხბურთის შემდგომი განვითარების საქმეში. საერთოდ, ავსტრიის საფეხბურთო ნაკრების შემადგენლობაში იოჰანეს კრანკლმა 69 მატჩი ჩაატარა და 34 გოლი გაიტანა, რაც ასევე სარეკორდო მაჩვენებელია ამ ქვეყნისათვის. კრანკლი ოთხჯერ იქნა აღიარებული ავსტრიის შიდა ჩემპიონატების საუკეთესო ფეხბურთელად, ხოლო ერთხელ ესპანეთის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულიც მოიპოვა.

გიორგი ჯალაღანია

იუმორი

* *

– რა განსხვავებაა ქალსა და კოღოს შორის?

– კოღო მხოლოდ ზაფხულობით წუის!

* * *

ქალების გულის კარს ყველაზე კარგად "მერსედესის" გასაღები აღებს!

* * *

– შენ ხომ გახსოვს, კაცს ბაყაყი რომ ჩაუწვება ლოგინში, მერე ის ბაყაყი მშვენიერ ქალად რომ გადაიქცევა?

– კი კაცო, მაგისი ვის არ სჯერა?

– აი, ცოლმა მომისწრო და არ სჯერა!

* * *

– ექიმო, ძალიან ვნერვიულობ. ცოლი ხუთი თვის წინ შევირთე და გუშინ იმშობიარა.

– ბავშვი ჯანმრთელია?

– კი... მაგრამ...

– ეგ არაფერი. მთავარია, ბავშვი იყოს ჯანმრთელი, თორემ ეგეთები ხდება დროდადრო.

* * *

– გაიგე, ქართველ ჩინოვნიკებს ახალი დაავადება შეეყარათ – მწვანე სიბრმავე!

– ეგ როგორია?

– დოლარების იქით ვერაფერს ხედავენ!

* * *

ქურდის მონოლოგი: მე სხვისი არაფერი მინდა! ამიტომაც ვყიდი მათ!

რატომ არ დაისაჯა შევარდნაძე?

ცხოვრობს მწვანეში ჩაფლულ, მშვენიერ რეზიდენციაში, წერს მემუარებს, სეირნობს მყუდრო ბაღში, ემსახურება სოლიდური რაოდენობის პერსონალი, პერიოდულად სტუმრობენ ჟურნალისტები, მისი საუბრის თემატიკა მრავალფეროვანია, ხანდახან ფანჯარას აღებს და მხცოვანი ექსპრეზიდენტი უსმენს ყოფილი, შეურიგებელი ოპოზიციის "ნარჩენების" სკანდირებას: "შევარდნაძე, იუდა! შევარდნაძე, გამყიდველი!" და, როგორც თვითონ აღნიშნავს, ხალისობს. მოკლედ, საქართველოს უახლესი ისტორიის ყველაზე ოდიოზური ფიგურის გარშემო სრული სიმშვიდე და იდილიაა.

ამ სურათის აღწერისას, არაინფორმირებულ ადამიანს ნელსონ მანდელას ან ინდირა განდის იმიჯის მქონე, მინიმუმ საკაცობრიო მნიშვნელობის ჰუმანისტად აღიარებული პოლიტიკოსის სიბერე შეიძლება წარმოუდგეს თვალწინ. ცივილიზებული სამყაროს კუთვნილი საზოგადოებისათვის გაუგებარი იქნება ის მოვლენა, თუ რატომ აქვს მსგავსი ცხოვრება დამნაშავეს, რომელიც, ლოგიკურად, კარგა ხანია სახელმწიფოს წინაშე ჩადენილი დანაშაულებების ბრალდებით მართლმსაჯულების წინაშე უნდა წარმდგარიყო პოსტრევოლუციურ საქართველოში.

არც ისე დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც აღმოსავლეთ ევროპას და პოსტსაბჭოთა სივრცეს "ხავერდოვანი რევოლუციების" ტალღამ გადაუარა. ისტორიისათვის ეს პერიოდი სულ ერთი გაელვებაა, რომელიც მოგვიანებით ეპოქის ფურცლებს შორის საკუთარ ადგილს დაიკავებს. თუმცა, ასევე მცირე დრო დასჭირდა იმას, რომ სერბეთსა თუ უკრაინაში ხალხს "რევოლუციურ მონაპოვარზე" უარი ეთქვა და გზის გასაგრძელებლად კომპასის სხვა მიმართულება აერჩია.

წარსულს ჩაბარდა ის დროც, როცა სერბეთის რევოლუციის პიარისთვის დასავლეთი, ტრანსნაციონალური, მართული კორპორაციების დახმარებით, უზარმაზარ თანხებს დებდა დოკუმენტური ფილმების გადაღებაში, ან პრეზიდენტ იუშჩენკოს იმიჯის გადასარჩენად (მისი უცაბედი და გაუგებარი ავადმყოფობის ოფიციალურ მიზეზად მოწამვლის დასახელებაზე უარის თქმის გამო), ავსტრიელ ექიმებს "უჩინარი ხელი" სამსახურიდან აძევებდა.

უკრაინაში "ნარინჯისფერი რევოლუციის" ანტიგმირი დღეს ქვეყნის პრეზიდენტია, ხოლო სერბეთში პოპულარობის ზენიტში კვლავ მილოშევიჩის მიმდევარი ნაციონალისტები არიან, რომლებიც ხელისუფლებაში დაბრუნდნენ. ანალოგიური სიტუაციაა ყირგიზეთშიც, სადაც თავის დროზე დასავლეთმა ვერ გათვალა ადგილობრივი საზოგადოების მენტალიტეტის თავისებურებები და "ხავერდოვანი გადატრიალება" სისხლიან კალოში გადაიზარდა.

მოკლედ, გრანდიოზული მოცულობის ფინანსები წყალში გადაიყარა, თუ კონკრეტულ ეტაპზე თავისი ფუნქცია შეასრულა, ამას დრო და სივრცე გამოაჩენს, მაგრამ რამდენიმე წელიწადში გეოპოლიტიკური რუკა ისე შეიცვალა, დღეს მიმდინარე მოვლენები უფრო პირველი ვერსიის სასარგებლოდ მეტყველებს.

ყველაზე "მდგრადი" რევოლუცია ქართული აღმოჩნდაო – აღნიშნავენ დასავლელი ჩინოვნიკები თუ მედია. "მდგრადი" მართლაც აღმოჩნდა, ოღონდ სხვა კუთხით. წლები გადის, საქართველოში არც სისტემა იცვლება, არც არჩევნები ტარდება დემოკრატიულად, არც შეცდომებზე პასუხის მომთხოვნი ჩანს. ასეთი ტიპის ძალაუფლება ნებისმიერ, დემოკრატიულ ხელისუფლებასაც გაათავხედებდა და ჩვენს შემთხვევაში რა გასაკვირია, რომ წლებს მიჰყვება წლები და მდგომარეობა უარესდება.

ამბობენ, დასავლეთის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა რევოლუციის შემდგომ შევარდნაძის ხელშეუხებლობაც იყო, რათა სხვა "ხავერდოვანი რევოლუციების" შემთხვევაში, შეშინებულ, დასამხობად განწირულ რეჟიმებს ძალა არ გამოეყენებინათ და დასავლეთის კონკრეტული მიზნები არ ჩაეშალათ. "ხავერდოვანი რევოლუციების" ეპოქა გადავარდა და კრწანისში მჯდომი მთავარი დამნაშავის პასუხისგება კვლავ არავის მოსვლია აზრად. თუ ასაკია დაბრკოლება, პინოჩეტის მაგალითი შეგვიძლია გავიხსენოთ, მაგრამ მიზეზები აშკარად გაცილებით განსხვავებულია, ვიდრე ასაკი, ან მსგავსი საბაბი შეიძლება იყოს.

რა შერჩა შევარდნაძეს, ჯერ კიდევ 90-იანი წლებიდან მოყოლებული, რომ გავიხსენოთ, ისეთ სიას მივიღებთ, პოლ პოტას და ბოკასას ხელისუფლებას, თუ სიცილიის მაფიის ბოსებს ერთდროულად შეშურდებოდათ: პოლიტიკური ნიშნით რეპრესიები, მიტინგების და მანიფესტაციების დარბევები, მაფიოზური გარიგებები, მკვლელობები, ადამიანის უფლებათა დარღვევების უმძიმესი ფაქტები, წამება ციხეებში, პირველი პრეზიდენტის დევნა და მკვლელობა, სრული განუკითხაობა და უკანონობა, ზღვარდაუდებელი კორუფცია, არჩევნების ტოტალური გაყალბება, რაც გახდა კიდეც "დიდი ნოემბრის რევოლუციის" საბაბი და ასე შემდეგ.

შევარდნაძემ სხვადასხვა საშუალებებით, მათ შორის, კლანების მოქრთამვით, შეძლო წლების განმავლობაში ძალაუფლების შენარჩუნება და, საბოლოოდ, ტკბილი სიბერეც გაინაღდა. თუ ხელისუფლების საქმიანობას გადავხედავთ, სათაურშივე დასმულ კითხვაზე პასუხიც არ უნდა გაჭირდეს: შევარდნაძეს შერჩა იმიტომ რომ, ეს ხელისუფლებაც ისეთივეა, როგორც მისი წინამორბედი, უბრალოდ, ფასადები აქვთ სხვადასხვა.

ლევან მამალაძის და სხვა კლანებს ახალი კლანები ჩაენაცვლა, ყველა სფეროში დილეტანტიზმი ჰყვავის, დასავლურ სტრუქტურებში დ "ნატოში" ინტეგრაცია ვერ მოხერხდა, რომელსაც დღიდან მოსვლისა აგრესიულად აპიარებდა ხელისუფლება მთელი თავისი პროპაგანდისტული მანქანით.

ასეთი "ორმაგი სტანდარტების" მქონე ქვეყანა ალბათ დედამიწის ზურგზე იშვიათად მოიძებნება. თუ ქართული სისტემის სპეციფიკას გავითვალისწინებთ, მთავარი დამნაშავე ამ პირამიდაში ვინც არის, ყველამ კარგად იცის და დამალულ-დაფარულიც არაფერია. რკინის ოქროდ გასაღება განუკითხაობის ბუდედ ქცეულ სახელმწიფოში უკვე ჩვეულებრივ, და შეიძლება ითქვას, ლოგიკურ მოვლენადაც იქცა და განმკითხავსაც კვლავ ბაზალეთის ტბის სიღრმეში სძინავს უდრტვინველად.

საინფორმაციო სააგენტო

ISSN 1987-8966 ილორი
9771987896009
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული სარეგ. №01018002930

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
მთ.რედაქტორის მოადგილე: დავით ქობალია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია

WWW ilori.ge
e-mail: elisabetthal@yahoo.de
რეკლამის განთავსება
34-32-95 893-51-01-71
899-34-37-27